

I. GWARDJALADZÉ,

ი. გვარჯალაძე

K. MIKÉLADZÉ

კ. მიქელაძე

Proverbes et dictons français
avec leurs traductions
et équivalents géorgiens

ფრანგული ანდაზები და ხატოვანი
სიტყვა-თქმანი ქართული
თარგმანითა და შესატყვისებით



$\Gamma I (+ n) (\Phi p) + 4r + 4n (\Phi p)$
 $4 (\Phi p) + \Gamma I + 81 \cdot 2 \cdot \Phi p + 81 \cdot 2 \Gamma p$
 $84 - 84 + 899 \cdot 962 \cdot 1 - 84 + 44 - 8 (= 99 \cdot 962 \cdot 1)$
ა 449

Г $\frac{70105-070}{M(601) \cdot 08-81}$ 251-81

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1981

წინასიტყვაობა

როგორც ცნობილია, ანდაზები არის ამა თუ იმ ერის, წლების მანძილზე დაგროვილი ხალხური სიბრძნე. მათში ჩაქსოვილია ხალხური სიბრძნის შემცველი ნათელი აზრები და გადმოცემულია სხარტად და მხატვრულ ფორმებში.

ყველა ენას აქვს საკუთარი ანდაზები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ამ მხრივ არც ფრანგული ენა წარმოადგენს გამონაკლისს.

ჩვენ გადავწყვიტეთ ქართველი მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ფრანგული ანდაზებისა და ხატოვან სიტყვა-თქმანთა კრებული. ანდაზებსა და ხატოვან თქმებს, უმეტეს შემთხვევაში, თან ახლავს ქართული თარგმანი და ეკვივალენტური შესატყვისები. ჩვენი კრებულის მკითხველებს, დიდ სარგებლობას მოუტანს შედარებები იმ საშუალებებისა და გამოხატულებებისა, რომლებითაც ორივე ენა გადმოსცემს საუკუნეებით დაგროვილ ხალხურ გამოცდილებასა და სიბრძნეს.

კრებულში თავმოყრილია ყველაზე უფრო გავრცელებული ფრანგული ანდაზები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი, რომლებიც იხმარება ზეპირსა და წერით მეტყველებაში თითქმის ყველგან, სადაც კი ფრანგულ ენაზე ლაპარაკობენ. გარდა ამისა, კრებულში შეტანილია საფრანგეთში გავრცელებული უცხოური, ბიბლიური ან კლასიკური წარმოშობის სხვადასხვა მწერლისა თუ მოაზროვნის მოსწრებელი სიტყვა და ბრძნული გამოხატულება.

კრებული დიდ სამსახურს გაუწევს მოსწავლე-ახალგაზრდობას, მთარგმნელებს, ფოლკლორისტებს, უურნალისტებსა და კულტურულ-განმანათლებელი დარგის ყველა მუშაკს, ვინაიდან ძნელია წარმოიდგინო ცოცხალი, მდიდარი მეტყველება ანდაზებისა და ხატოვანი თქმების გარეშე.

ზოგიერთი ანდაზა მოცემულია რამდენიმე ვარიანტად, თუმცა ყველა არსებული ვარიანტის მოცემა კრებულის შემდგენლების ამოცანა არ იყო.

ყველა ანდაზა და ხატოვანი თქმა დალაგებულია ანბანის მიხედვით. რადგან ანდაზას თან ახლავს სიტყვა-სიტყვითი ან ადეკვატური თარგმანი, ამიტომ კრებულს ცალკე ლექსიკონი არ დაეურთეთ.

— -თი აღნიშნულია თარგმანი, წ-ით კი შესატყვისები.

ზოგიერთ შემთხვევაში, კეთილზმოვანების მიზნით, სიტყვასიტყვით თარგმნის პრინციპი მშობლიურ ენაზე დარღვეულია, რისთვისაც შემდგენლები ბოდიშს იხდიან მკითხველის წინაშე.

A

Abandonner (lâcher) la proie pour l'ombre.

— რაც გაქვს იმის დაკარგვა და მოჩვენებითი ხეირის გამოღვევება.

§ გაყიდა მამული, იყიდა ხრამული.

გაყიდა მარანი, იყიდა ტარანი.

ვარი გაყიდე, დოლი ვიყიდე.

A beau danser à qui fortune sonne.

— ვისაც ბედი უღობის, ის კარგად ცეკვავს.

§ ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდეო.

ბედი მომეც და ქვაზე დამსვიო.

ბედი მომეც და ნეხეთან დამფალო.

A beau jeu beau retour.

§ ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.

მომხედურს დამხედურიც უნდაო.

მომსვლელს დამხვედრიც უნდაო.

A beau mentir qui vient de loin.

— შორიდან მოსულისათვის ტყუილის თქმა ადვილია.

§ სამშობლო თუ შორსა გაქვს, თავის ქება ადვილიაო.

სამშობლო რომ შორსა გქონდეს, თავის ქებას დიდი არა უნდა რაო.

A beau parler qui n'a cure de bien faire.

— კარგად ლაპარაკობს, მაგრამ ცუდად იქცევა.

§ სიტყვით ანგელოზს ემსგავსის, გულით კი ეშმაკ-ფლიღობსო.

სიტყვაბარაქიანიო, საქმეტალახიანიო.

სიტყვით „ვაიმეო“, საქმით „სხვაი მეო“.

A bien faire, nul crainte.

— სიკეთის მქნელს არაფრის ეშინია.

§ პატიოსან კაცს ძილი მშვიდი აქვსო.

პატიოსნება ყველაზე დიდი სიმდიდრეაო.

პატიოსან კაცს ძილი არ გაუფრთხებაო.

A boiteux femme qui cloche.

— კოჭლს კოჭლი ცოლი.

§ რაც ტურა, ის მელო.

რაც ალხანა, ის ჩალხანაო.

რაც ხეა, ნაფოტიც იგივეაო.

როგორც არის ქარხანაო, ისეთი ხარ თარხანაო.

როგორც ბერიო, ისეთი ვერიო.

ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაეღვეაო.

A bon chat, bon rat.

— კარგ კატას კარგი ვირთხა უნდა.

§ მოვიდა სეტყვა—დახვდა ქვაო.

თუმცა კატა მარდია, თავიცი დამბლა როდიაო.

თუ კატა მკვირცხლია, არც თავვია დონდლო.

A bon (grand) cheval, grand gué.

— კარგ (დიდ) ცხენს დიდი ფონი უნდა.

§ დიდ იალქნის დაბერვას დიდი ქარი უნდაო.

დიდ ფელამუშს დიდი გობი უნდაო.

დიდ ხეს დიდი ჩრდილი აქვსო.

Abondance de biens ne nuit pas.

— სიუხვე უბედურება როდია.

§ მოკლას ხარი თივამაო.

აწყინოს ქერმა ლურჯასაო.

ხაკაპურს ბევრი ყველი არ გააფუჭებსო.

ზედმეტი ლუკმა კაცს არ დაახრჩობსო.

გუთანს მომეტებული ხარი არ მოსკარბდება და წისკვილს—მომეტებულა
წყალიო.

Abondance engendre fâcherie.

— სიუხვე უსიამოვნებას იწვევს.

§ საკმარისი სჯობს ქარბსაო.

რაცა გვეოფა, დასჯერდი, მეტი ნუ გინდა მშოვნელსაო.

ბევრი ფული ბევრი დარდიაო.

ბევრის მსურველუ კეთილს ვერ ნახავსო.

მეტისმეტო—თავში რეტიო.

A bon joueur la balle.

— კარგ მოთამაშეს კარგი ბურთი უნდა.

თოფს მსროლელი უნდაო.

A bon vin point de bouchon.

— კარგ ღვინოს საცობი არ უნდა.

§ კარგ ღვინოს რეკლამა არ სჭირდებაო.

A bon entendeur salut.

— სალაში კარგ გამგონეს უნდა უთხრა.

§ ბრძნული სიტყვა ითქვა, ბრძენო ყურო სადა ხარო.

A bon salut, bon accueil.

— კარგ სალამს კარგი შეხვედრა უნდა.

§ როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკლებიო.

ჩონგურს როგორც დამიკრავ, მეც ისე დავითამაშდებიო.

როგორც ტაშსაც უკრავთ, მეც ისე ვცეკვავო.

როგორც დამიტაშდები, ისე დავითამაშდებიო.

A bon vin, bon latin.

— როგორიც ხელფასია, ნახელავიც ისეთია.

A bon vin, il ne faut point de bouchon.

A bon vin point d'enseigne.

— კარგ ღვინოს აბრა (რეკლამა) არ სჭირდება.

§ კარგს ქება ან უნდაო.

კარგი ისედაც კარგიაო.

კარგი კაცი სარკეაო.

საქმემან შენმან გამოგაჩინოსო.

A bonne faim il n'y a pas de mauvaise pain.

— ძლიერი შიმშილის დასაკმაყოფილებლად ცუდი პურა არ არსებობს.

§ თუ კი გშია ზაქარია, ცუდი მქადიც შაქარიაო.

შიმშილმა სანუკვარი არ იცის და ძილმა სასთუმალიო.

მშიერი პურსა აქებდა, უმსა და უმარილოსაო.

A brave, brave et demi.

— გულადს გულად-ნახევარი.

§ რკინა რკინით დაიჭრება, კაცი — კაცთაო.

ქვით ქვას ტეხენ, რკინას რკინით ულესავენ პირსაო.

Absent le chat, les souris dansent.

— როცა კატა შინ არაა, თავები ცეკვავენ.

§ ვინც კატას არ გაიჩენს, თავებს მოძრავლებსო.

როდესაც მეძებარი დაუძღურდება, კურდღელი თავისუფლად დაიწყებს ბოს-ტანში სიარულსო.

ბედაურები დაწყდო, ვირს მოედანი დარჩაო.

A chacun sa propre danger paraît plus grave.

— ყველას თავისი სატკივარი აწუხებს.

§ თავისი გაჭირვებისა ყველამ თვითონ უკეთ იცისო.

ქონის ამბავი კოვზმა იცისო.

ქონის ამბავი ციცხესა ჰკითხეო.

A chacun son compte.

— ყველას დამსახურების მიხედვით.

A chacun son fardeau pèse.

— ყველას თავისი ტვირთი უმძიმს.

§ ყველა თავისას ჩიოდაო.

ყველას თავისი დარდი აქვს, მეწისქვილეს — წყლისაო.
ვისაც გობი და საცერი მიჰქონდა, ყველა კენესოდაო.

A chacun son métier, les vaches seront bien gardées.

— თუ ყველა თავის საქმეს მოუვლის, ძროხებიც კარგად მოვლილები იქნებიან.

§ მუშა უნდა მუშაობდეს, მეომარი ხმალს იქნევდეს,

უნდა იჯდეს ბერიკაცი, პურსა კამდეს, ყბას იქნევდეს.

A chair de loup, sauce de chien.

— მგლის ხორცს ძაღლის კბილები სჭირდება.

§ სოლი სოლით ამოიღებაო.

დიდ ნადირს დიდი ნაგაზები ჰყეფენო.

დიდ სადულარს დიდი სარქველი უნდაო.

დიდ ცეცხლს დიდი ბერვა უნდაო.

დიდ ქვაბს დიდი ქაფქირი უნდაო.

Acheter chat en poche (en sac).

— ჭიბეში დამალული კატის ყიდვა (უნახავად რაიმეს ყიდვა).

§ თევზი წყალში არ დაფასდებაო.

ზღვაში თევზი ვის დაუფასებიაო.

A cheval donné on ne regarde pas la bouche.

— ნაჩუქარ ცხენს პირში არ ჩახედავენ.

§ ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გავსინჯებო.

ნაჩუქარი ტალახიანი ჯოხიც კარგიაო.

A cheval hargneux il faut une écurie à part.

— ავი ცხენი ცალკე თავლაში უნდა მოათავსო.

§ ავი კაცი აქე და ვრიდეო.

კბილი ტკბილია, მაგრამ რომ შეგაწუხებს, მოიგლეჯ და გადაადგებო.

ავი მეზობელი თუ გყავს — მოშორდიო.

გულბოროტ კაცსა ვრიდე, ნუ გაივლი მის არესაო.

A cheval maigre vont les mouches.

— ბუზები გამხდარ ცხენთან მიდიან.

§ ჭირი უბედურსაო.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო.

საწყალ მახარას, რამდენი კაკალიც ჩამოვარდა, ყველა თავზე დაეცაო.

კაცი ხიდან ჩამოვარდა და ძირს გველმა უქბინაო.

დამწვარს მდულარე დაახხესო.

A chien qui mord il faut jeter des pierres.

— მკბენარა ძაღლს ქვა უნდა ესროლო.

§ ბელტისა მსროლელისათვის ქვა თქმულა შესატყორცნებლად.

A chaque fou sa marotte (chacun(a) sa marotte).

— ყოველ სულელს თავისი აკვიატებული აზრი აქვს.

§ ყველა თავისებურად გიჟდებაო.

კაცია და გუნებაო. თავში ებრაგუნებაო.

A charge le revanche.

— ურთიერთმომსახურების პირობებზე.

§ მომციას მიცია უნდაო.

მიგციას მოგცია უნდაო.

ჩუქებას ჩუქება უნდაო.

მითქვიას მოთქვია მოაქვსო.

„გამარჯობას“ „გაგიმარჯოს“ უნდაო.

A chose faite conseil pris.

— საქმე რომ დამთავრდება, რჩევა გვიანა.

§ კაცს თავს კრიდნენ და მუწუჯი არ მატკინოთო.

კაცს ცოლი გაექცა და — ნეტაეი არავინ აკოცოსო.

კაცმა ხელეჩო დაკარგა და ვაითუ გარეთა პირიდან გაღესონო.

ხეს ძირში კრიდნენ და — ფოთოლი არ ჩამოვარდესო.

A chose faite pas de remède.

— დამთავრებულ საქმეს ვეღარ უშველი.

§ გატეხილი მჭადი აღარ გამთელდებაო.

დაღვრილი წყალი აღარ აიხვეტებაო.

ერთხელ გატეხილი კევრცხი აღარ გამთელდებაო.

წამხდარსა საქმეს რას არგებს მერელა თითზე კბენანო.

მკედარი ვის გაუცოცხლებავ ტირილითა და ვიშითა.

A coeur vaillant rien d'impossible.

— გაბედულისათვის შეუძლებელი არაფერია.

§ გაბედულს ბედი წყალობსო.

მხნემან ვით ჩქარმან წყარომან გახეთქოს მთა და გორია.

A chaque jour suffit sa peine.

— ყოველ დღეს თავისი დარდი აქვს.

§ ყველა დღეს თავისი საზრუნავი აქვსო.

ყველა დღეს თავისი უბედურება მოაქვსო.

A chaque oiseau son nid est beau.

— ყველა ჩიტს თავისი ბუდე მოსწონს.

§ ყვავს თავისი სკინტლიანი საბუდარი ქვეყანას ერჩივნაო.

ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო.

ბუს თავისი ბარტყი ფარშეევანგზე ლამაზი ჰგონიაო.

ყველა მელას თავისი კუდი მოსწონსო.

ყველა ღედას თავისი შვილი მოსწონსო.

A`chaque saint`sa`chandelle`(chaque` saint` veut son offrande).

— ყველა წმადანს თავისი ძღვენი უნდა.

§ თუ ქრთამი არ მიეცი, ვერაფერს გახდები.

Adieu paniers, vendanges sont faites.

— მშვიდობით კალათო, რთველი დამთავრდა.

§ ნართელევს კოლოტი შარას ათრის, ვის რად უნდაო.

ნართელევს კოლოტი შარას ააგორესო.

Adresse passe force.

— მოხერხებულობა ძალას სჯობია.

§ ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

ლომს ხერხით კოლო მოერიაო.

თამაშობა ხერხით უნდა, დათემაც იცის ძუნძულიო.

Adore l'écho dans la tempête.

— ერიდეთ პოლიტიკურ ღელვას.

A ennemi pardonné et ami raccommodé ne te fie qu'à moitié.

— შერიგებულ მტერსა და მეგობარს ნუ ენდობი.

§ შერიგებული მეგობარი სანდო არ არისო.

ერთხელ დაკოდილ გულს ველარაფრით გაამთელებო.

კაცის გული მუშა არის, თუ გაიბზარა, აღარ გამთელდებაო.

ერთხელ გატეხილი კვერცხი აღარ გამთელდებაო.

A (entre) eut le débat.

— გაუშვი, თვითონ მოაგვარონ თავიანთი საქმე.

§ ჩვენ არ გვეხებაო.

სხვის საქმეში ნუ ეჩრებიო.

A fol ne faut point de sonnette.

— სულელს ევეანი არ სჭირდება.

§ სულელი თვითონ გამოამქლავნებს თავსო.

A force de mal aller tout ira bien.

— ცუდს კარგი მოსდევს.

§ შარი ხეირად გადაექცაო.

ყველაფერი გაივლისო.

A force de forger on devient forgeron.

— ჰედვაში ვარჯიშით კარგი მჭედელი ყალიბდება.

§ ყველა საკუთარ გამოცდილებაზე სწავლობსო.

ცხოვრებისეული გამოცდილება ცოდნის დედააო.

ერთო გამოცდილება ათ სიბრძნეს სჯობიაო.

განმეორება ცოდნის დედააო.

A fou fortune.

— ბედა სულელსა აქვს.

• ზელი სულელებს წყალობსო.

იღბალი აქვს ლიპლიპასა, ყველა მისკენ მიტლინკაესა.

A gens de village] trompette de bois.

• ჰამა ქონებაზე ჰყიდაო.

საბანი როგორც გაგწვდეს, ფეხიც ისე გაქიფეო.

A grande montée, grande descente.

— რამდენად მაღლა ახვალ, იმდენად მტკივნეული იქნება დაცემა.

• დიდების დაკარგვა ისევე სწრაფად შეიძლება, როგორც მისი დამსახურება.
ვინც თავს მაღლა წაიღებს, ფეხს წაიკრავსო.

A grasse cuisine pauvreté voisine.

— სიღარიბე სიმდიდრის მეზობელია.

• მთელ დღესა მოქვიფესა არა დარჩა-რა ვახშადო.

A haute montée, le fardeau pèse.

— აღმართზე ტვირთი მეტს იწონის.

A jeune cheval, nouvelle selle.

— კვიცს ახალი უნაგირი უნდა.

A jeune cheval vieux cavalier.

— კვიცს გამოცდილი მხედარი უნდა.

• გამოცდილება სიბრძნის დედააო.

A jeune homme—vieux cheval, à cheval jeune-vieil homme.

— ახალგაზრდა კაცს ბებერი ცხენი უნდა, კვიცს—მოხუცი კაცი.

• გაუხედნელ კვიცს გამოცდილი მხედარი უნდაო.

Aujourd'hui en fleurs, demain en pleurs.

— დღეს ყვავილებშია, ხვალ ტრემლებში იქნება.

• სიცილს ტირილი მოსდევსო.

ამდენ სიცილს ტირილის სუნი უღისო.

Aide-toi, le ciel t'aidera.

— ვინც თავისთავს ეხმარება, ღმერთიც იმას ეხმარება.

• ღვთის წყალობა კარგია, მაგრამ ხელიც უნდა შეაშველო.

A la chante on connaît l'oiseau.

— ფრინველი გალობით იცნობა.

• როგორც ტყე, ისეთი ნადირიო.

როგორც ტყე იყო, ნადირიც იმისთანა გამოჩნდაო.

ხილის ხე თავისი ხილით იცნობაო.

A la faim tout est pain.

— შიმშილობისას ყველაფერი პურია.

• თუ კი გვია ზაქარია, ცივი მკაღიც შაქარია.

შიშლიმა ხმელა არ იცის და სიცივემ—ძველაო.
მშიერი პურსა აქებდა, უმსა და უმარილოსა.

A la guerre comme à la guerre.

— ომში ისე უნდა მოიქცე, როგორც ომს შეეფერება.
§ ადამიანი მდგომარეობას უნდა შეეგუოსო.

A l'aigle seul il est permis de regarder le soleil.

— მხოლოდ არწივს შეუძლია მზეს შეხედოს (უტკიროს).
§ რასაც ვერ შესწვდები, ნურც შეეწოდებიო.
რასაც ვერ მისწვდე, ნუ მისდევ, იკმარე შენი მღლევაარი.

A la queue git le venin.

— შხამი კულშია მოთავსებული.
§ ბოლო გამოაჩენს საქმესო.

A l'œuvre on connaît l'artisan.

— ხელოსანი თავისა ნაშრომით იცნობა.
§ ხე ნაყოფით იცნობაო.

A la tannerie tous boeufs sont vaches, et à la boucherie toutes vaches sont boeufs.

§ თუ არ მოატყუე—ვერ გაყიდი.

A l'aventure on met les oeufs couver.

— ალაღბელზე დადეს კვერცხები, შეიძლება გამოიჩეკოსო.
§ კაცი ტერცესა თესდა, თანაც პირში იყრიდა: ან მოვა, ან—არაო.

A laver la tête d'un âne on perd sa lessive.

— ბრიყვს თავს თუ ბან, ღროსაც კარგავ და საპონსაც.
§ ვირის თოფრამ თეირანი მოიარა, მაგრამ ისევ თოფრად დარჩაო.
ვირი ქაბას წავიდა, ისევ ვირად მოვიდაო.
ღორი რამდენიც უნდა ბანო, ისევ ლაჟში ჩაწვებაო.
ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუპა და გუბეში ჩახტაო.
არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეზო ქვიშითა.

A l'impossible nul n'est tenu.

— შეუძლებელს ვერაიხს შეძლებს.
§ ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.
მაგას ვერაფერს გამოჩენიო.
მაგასთან ვერაფერს გახლებიო.

Aller chercher de la laine et revenir tondu.

— მატყლისათვის წასვლა და გაკრეკილი დაბრუნება.

A l'ongle on connaît le lion.

— ღომს ბრკყალეობით იცნობენ.
§ როგორც ტყე, ისეთი ნადირიო.

როგორც ტყე იყო, ნადირიც ამისთანა გამორბოდაო.
ხილის ხე თავისი ხილით იცნობაო.

A longue vole, paille pèse.

— გრძელ გზაზე ჩალაც მძიმეა (ჩალაც ბევრს იწონის).

A ma! enfourer on fait les pains cornus.

— ცუდად ჩაქრული პური კუტი გამოვია.

§ ვინც ცუდად დაიწყო, ის ცუდად დაამთავრებსო.

ცუდ დასაწყისს, ბოლოც ცუდი აქვსო.

A malin, malin et demi.

— ცბიერს ცბიერ-ნახევარი.

§ რკინა რკინით დაიჭრება, კაცი—კაცითაო.

ქვით ქვასა სტეხენ და რკინას რკინით ულესავენ პირსაო.

A mauvais chien on ne peut pas montrer le loup.

— მშიშარა ძაღლისათვის არ შეიძლება მგლის ჩვენება.

Amer à la bouche, doux au coeur.

— პირისთვის მწარე, გულისთვის ტკბილი.

§ მოყვარეს პირში უძრახე, მტერს—პირს უკანაო.

მოკეთებ პირში უთხრა, მტერმა უკან უძრახაო.

პილპილმოყრილი მადლიაო.

A merle soulé cerises sont aînères.

— მაძღარ შაშვს ბალი ემწარა.

§ მაძღარს გემო წაუხდებაო.

ბალი წვერში გამწარდებაო.

კახამბალი კატარში გამწარდებაო.

Ami de plusieurs, ami de nul.

— ბევრის მეგობარი, არავის მეგობარია.

§ სხვისი მაცხონებელიო, დარჩა უცხონებელიო.

ვინც ყველას ემსახურება, მას ჭამაგირს არავინ უხდისო.

ყველას მაზიარებელი, დარჩა უზიარებელიო.

ყველას გულის მომგები დაბადებამდე მოკვდაო.

Ami de table est bien variable.

— სუფრის მეგობარი ცვალებადია.

§ დღეს ჩვენი ღვინო გალაპარაკებს, ხვალ ვნახოთ შენი კაცობაო.

კაი კაცი სუფრაზეო.

ერთი კაცი ცხოვრებიდან დაეცა, კაი ძმა და მეგობარი ყველა განზე გაექცა.

Ami de toutes les heures.

— საიმელო მეგობარი.

§ ამხანაგი თვალთა სინათლეაო.

კარგი ამხანაგობა კარგი ძმობის დარიაო.

Ami jusqu'a la bourse.

— არასაიმედო მეგობარი.

§ ერთი კაცი ცხოვრებიდან დაეცა, კაი ძმა და მეგობარი ყველა განზე გაეჭყა.

A méchant cheval, bon éperon.

— ავ ცხენს კარგი ღეზი მოუხდება.

§ მძიმე მდგომარეობაში ხასიათის სიმტკიცეა საჭირო.

ეაუკაცი, გაჭირვებაში 'არ 'ატირდებაო.

A méchant ouvrier point de bon outil.

— ცუდ ხელოსანს კარგი ხელსაწყო არ ექნება.

§ უხეირო ხელოსანი უხეირო ნაკეთებს უხეირო ხელსაწყოს დააბრალებსო.

პატარძალი ეზოს ვერა გვიდა და ცოცხს დააბრალო.

უხეირო გუთნისდელა მეხრეებს ემუქრებოდაო.

მხელარი ცხენს ვერ მოერია და უნაგირს უწყო მტვრეეაო.

ბატონი ცხენზე ვერ შეჟდა და მეჭინიბეს უწყრებოდაო

A menteur menteur et demi.

— მატყუარას მატყუარა-ნახევარი.

§ რკინა რკინით დაიჭრება, კაცი—კაცითაო.

A messenger de loi: cantez voi: nouvelles.

— შორიდან მოსულს ადვილად მოატყუებ.

§ სამშობლო თუ შორსა გაქვს, თავს ქება ადვლააო.

სამშობლო რომ შორსა გქონდეს, თავს ქებას დიდი არა უნდა რაო.

Ami au prêter, ennemi au rendre.

— სესხების დროს მეგობარი, დაბრუნებისას მტერია.

§ ავი მეზობლის მოშორება თუ გინდა, ფული ასესხეო.

Amour et mort, rien n'est plus fort.

— სიყვარულზე და სიკვდილზე ძლიერი არაფერია.

§ სიყვარული მძლეთა მძლეაო.

სიყვარული ცეცხლი არაა, მაგრამ დაგწვავს და ვერ გააქრობო.

Amuser de belles paroles.

— თვალის ახვევა, ყალბად დაიმედება.

A navire brisé tous vents sont contraires.

— დამსხვრეული გემისათვის ყველა ქარი პირქარია.

§ მაინც არა ხარ, წისქვილო, თუნდა მოგიდრო იორი.

მაინც არა ხარ, წისქვილო, არაგვიც ჩამოგდიოდეს.

Ane affamé ne se soucie pas des coups.

— მშიერ ვირს დარტყმები არ აწუხებს.

§ შიმშილმა ხმელა არ იცის და სიცივემ—ძველაო.

შიმშილმა სანუკვარი არ იცის და ძილმა—სასთუმალიო.

როცა გშია ზაქარია, ცივი მკადიე შაქარია.

Anc avec le cheval n'attèle.

— ვირს ცხენთან არ შეაბამენ.

§ ვირს უნაგირი განა ცხენად აქცევსო.

ვირის ზურგს ვირის კურტანი მოუხდებო.

Ane paré ne laisse pas de braire.

— მორთული ვირი ყროყინს არ მოიშლის.

§ ვირს ოქროს ყელსაბამიე რომ შეაბა, მაინც ვირი იქნებაო.

ვირს უნაგირი განა ცხენად აქცევსო.

ვირი ვირად დარჩებო.

ვირი ფუნდრუკობას არ მოიშლისო.

თათრის ქალი ორჭერაც რომ მონათლო, მაინც^კთათარი^ლ დარჩებო.

Ange à l'église et diable à la maison.

— ეკლესიაში ანგელოზია, სახლში კი — ეშმაკი.

§ სახით მღვდელიო, საქმით მგელიო.

Anneau d'or ne corrige pas le défaut de l'ongle.

— ოქროს ბეჭედი ვერ დათარავს ფრჩხილის ნაკლს.

A nouvel ami et vieillie maison ne pas se fier plus que de raison.

— ახალ მეგობარსა და ძველს სახლს ნუ ენდობი.

§ მეგობარი თუ არ გყავს, ეძიე, როცა იპოვი— ერიდეო.

ახალი მეგობრის ხათრით, ძველ მეგობარს ნუ მოიძულებო.

ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.

A nouvelles affaires nouveaux conseils.

— ახალი საქმე ახალ რჩევას მოითხოვს.

§ ახალი ვითარება ახალ მოქმედებას მოითხოვსო.

Août et vendanges ne se font pas tous les jours.

— ყოველდღე რთველი არ არის.

§ შობა წელიწადში ერთხელ მოდისო.

A parti pris point de conseil.

— გადაწყვეტილ საქმეს რჩევა-დარიგებით ვერ უშველი.

§ გატეხილი მკადი აღარ გამრთელდებაო.

ერთხელ გატეხილი კვერცხი აღარ გამრთელდებაო.

დაღვრილი წყალი აღარ აიხვეტებაო.

A père avare fils prodigue.

— ძუნწ მამას მფლანგველი შვილი ჰყავს.

§ ძუნწის ოქრო მემკვიდრესაო.

A père amasseur fils gaspilleur.

— მოპკირნე მამას მფლანგველი შვილი ჰყავს.

§ ბედაურის მოგებულს ვირი შექამსო.

Appeler un chat un chat.

— საგნისათვის თავის სახელის წოდება.

§ სიმართლის პირში მიხლა.

A petite fontaine on boit à son aise.

— პატარა წყაროზეც შეიძლება წყურვილის მოკვლა.

A petit oiseau, petit nid.

— პატარა ჩიტს—პატარა ბუდე სჭირდება.

§ როგორც არის ქარხანაო, ისეთი ხარ თარხანაო.

როგორც ალხანა, ისეთი ჩალხანაო.

რაც ტურა, ის მელაო.

როგორც ალაგია, ისეთი ალაბიაო.

A petit saint petite offrande (selon le saint l'encens),

— პატარა წმინდანს პატარა ძღვენი უნდა.

§ ყველას თავისი უნდაო.

A petit trou, petite cheville.

— ერთიმეორის შესადარი.

§ დიდ სადულარს დიდი სარქველი უნდაო.

დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდაო.

დიდ ფელამუშს დიდი გობი უნდაო.

დიდი აქლემის შესაყვანად დიდი კიშკარი უნდა გკონდესო.

A peu parler, bien besogner.

— ცოტა უნდა ილაპარაკო და ბევრი იშრომო.

§ ბევრის მოლაპარაკეს ცოტას მთქმელმა აჯობაო.

ცოტა ილაპარაკე, ბევრი იშრომეო.

Après avoir taillé, il faut coudre.

— გამოჭრილს შეეკრვა უნდა.

§ დაწყებულ საქმეს დამთავრება უნდაო.

Après bon vin, bon cheval.

— ღვიხო ადამიანს მეტ გამბედაობას აძლევს.

Après la panse vient la danse.

— ჭამის შემდეგ ცეკვა მოგიწდება.

§ ქერ ჰამა, მერე მხიარულება.
შშიერ ღათეს რა ათამაშებსო.

Après la bataille bien des braves.

— ბრძოლის შემდეგ ბევრი მამატი გამოჩნდება.
§ კვებხა ნაომეესო.

Après dommage chacun est sage.

— ზარალის შემდეგ ყველა ჰკვიანია.
§ კაცი ფეხს რომ მოიწვეს—დაჰკვიანდებაო.

Après la fête, adieu le saint.

— წმინდანებს მხოლოდ საღვთისწაულო დღეებში გაიხსენებენ.

Après la mort le médecin.

— კაცი რომ მოკვდა, ექიმი მერე მოუყვანეს.
§ მოლა რომ მოკვდა, ფლავი მაშინ მიუტანესო.
მოლა მოკვდა და საფლავში ფლავი ჩააყარესო.

Après la pluie (vient) le beau temps.

— აედარს დარი მოსდევს.
§ აღმართს დაღმართი მოსდევსო.

A petite cloche grand son.

— პატარა ზარს დიდი ეღერა აქვს.
§ ოქრო პატარაა, მაგრამ ფასი დიდი აქვსო.
ოქრო პატარაა, მაგრამ რამდენ რკინას სჯობიაო.

Apprenti n'est pas maître.

— შეგირდი ოსტატი როღმე.

Après bon temps on se répent.

— ქეიფის შემდეგ მონანიება.
§ სიცილს ტირილი მოსდევსო.
ამდენ სიცილს ტირილის სუნი უღისო.

Apprendre aux poissons à nager.

— თევზისათვის ცურვის სწავლება.
§ შვილი მამას თამაშს ასწავლიდაო.
როცა შენ სასწავლებელში მიდიოდი, მე ნასწავლი მოვიდიოდი.

Après la mort, le médecin.

— კაცი რომ მოკვდა, ექიმი მერე მოუყვანეს.
§ მკვდარს რალას არგებს წამალო.
მკვდარს ექიმი რას უშველისო.

მოლა რომ მოკვდა, ფლავი მაშინ მოუტანესო.
მოლა მოკვდა და საფლავში ფლავი ჩააყარესო.

Après grand banquet, petit pain.

— დიდი წვეულების შემდეგ, მხოლოდ პურის პატარა ნატეხი დარჩა.
§ გუშინ ჰქონდა წვეულება, დღეს პურიც არ ეგულება.
ხან სულ არაო, ხან სულ ვარხალალო.
მთელ დღესა მოქეიფესა, არა დარჩა-რა ვახშმადა.

Après moi (nous) le déluge!

— ჩემს შემდეგ წარდევნაც ყოფილაო!

Après la pluie le beau temps.

— წვიმას დარი მოჰყვება.
§ აედარს დარი მოსდევსო.
აღმართს დაღმართი მოსდევსო.
დიდ აღმართს დიდი დაღმართი მოსდევსო.

Après grand banquet, petit pain.

— დიდი წვეულების შემდეგ მხოლოდ პურის პატარა ნატეხი დარჩა.
§ მთელ დღესა მოქეიფესა არა დარჩა-რა ვახშმადო.
ხან სულ არაო და ხან სულ ვარხალალო.

Après la bataille bien des braves.

— ბრძოლის შემდეგ ბევრი მამაცი გამოჩნდება.

A passage et à rivière, laquais devant, maître derrière.

— ფონის გადასასვლელზე მოსამსახურე წინ მიდის, ბატონი—უკან.

Argent d'autrui nul n'enrichit.

— სხვისი ფულით არავინ გამდიდრებულა.
§ ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო.
რაც არ მერგება, არ შემერგებაო.
საოხრეზე ნაშოენი, სატიალოზე დაიხარჯებაო.
ნაარმი არ გამოდგებაო.
ლუკმა მამინაა ტკბილი, როცა კაი კაცობითაა ნაშოენიო..

A quelque chose malheur est bon.

§ ზოგი კირი მარგებელიაო.
ზოგი ფათერაკი ყისმათიანიაო.
კატას ჩაართყეს ძეხვიო,—დამეცა კარგი მეხიო.
კატას ძეხვი თავზე დაეცა და—ნეტავ ამნაირი მეხი ყოველთვის დამეცესო.

A qui se lève matin, Dieu (aide et) prête la main.

— ვინც ადრე დგება, იმას ღმერთი ეხმარება.
§ ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწვეპაროო.

ადრე ამდგომი შორს წავაო.

ადრე ამდგომი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარი თვალებს იფშენეტსო.

გვიან მოსადილე და ადრე ამდგომი მოგებულაო.

ვინც დილას ადრე აღგება, საშოვარს იშოვისო.

Assez vaut festin.

— საკმარისი—ლხინის დარია.

§ რაცა გეყოფა, დასჭერდი, მეტი ნუ გინდა შშოვნელსა.

A sot compliment point de réponse.

— სულელური ქათინაური პასუხს არ იმსახურებს.

§ შეურაცხყოფელი სიტყვების საუკეთესო პასუხი დუმილიაო.

A sot auteur sot admirateur.

— სულელ ავტორს სულელი თავყანისმკემელი ჰყავს.

§ აღხანას ჩალხანა არ დაეღევაო.

აღხანას ჩალხანაც უნდაო.

თითო მარიკელას თითო მოსიკელა არ დაეღევაო.

ქიან კაკალს ქიანი მუშტარი ეყოლებაო.

A sott demande sott réponse.

— სულელური კითხვა სულელურ პასუხს იმსახურებს.

§ ავი სიტყვა მის მთქმელსაო.

A table bien servie beaucoup d'amis.

— გაშლილ სუფრაზე ყველა შენი მეგობარია.

§ როცა ბაღში ბალი მქონდა, ვიყავ სალამ-ალეიქუმ,

ბაღში ბალი გამითაედა,—არც სალამ, არც ალეიქუმ.

Attaquer (prendre, saisir) le taureau par les cornes.

— ხარისთვის რქებში ხელის ჩაღება.

§ დაბრკოლების ენერგიულად გადაღება.

A toile ourdie Dieu envoie le fil.

— სურვილი იყოს და დახმარების საშუალება მოიძებნება.

§ სურვილი იყოს და ქადა ორი ხელთ იკმევაო.

თუ გული გულობს, ქადა ორი ხელთ იკმევაო.

A tout péché miséricorde.

— ღმერთი ყველაფერს გაპატიებს; ღმერთი გულმოწყალეა.

A tout seigneur, tout honneur.

§ ყველას თავისი ხედროო.

მგელს მგლურად დაუხვდი და მელას მელურადო.

Au besoin on connaît l'ami.

— მეგობარს გასაჭირში იცნობენ.

§ აღამიანი გაქირეებაში გამოსცადეო.

ძმა ძმისთვისაო, შავი ღღისთვისაო.

კაცი მგზავრობაში გამოიცინობა, მეგობარი გასაქირშიო.

Au bout de l'aune faut le drap.

— არშინის ბოლოს მაუდი მუდამ აკლია.

§ გრძელ გზასაც ბოლო ექნებაო.

Au bout du chemin la culbute.

— გზის ნაპირზე ნუ დადგები, თორემ დაეარდები.

§ ნუ ეძალები ღიდ წყალსა, გირჩევ მოსძებნო ფონია.

Au bout du fossé la culbute.

— ორმოსთან ნუ დადგები, თორემ შიგ ჩავარდები.

§ ნუ ეძალები ღიდ წყალსა, გირჩევ მოსძებნო ფონია.

Au bout le bout.

§ ამ ქვეყნად სამარადისო არაფერიაო.

Au chant on connaît l'oiseau.

— ჩიტი გალობით იცნობა.

§ საუღლე ხარს სასკორეზე შეეტყობაო.

ხელოსანი ნახელავით იცნობაო.

Au danger on connaît les braves.

— გულადი განსაცდელში იცნობა.

§ მამაცი ბრძოლის ველზე გამოჩნდებაო.

თეთრი კბილი, შავი კბილი სიცილის დროს გამოჩნდებაო.

შავი ტანი, თეთრი ტანი აბანოში გამოჩნდებაო.

Au dernier les os.

— დაგვიანებულს ძელები ხედება.

§ ვინც აიკიდა გოდორი, იმან შექამა კოტორი.

ვინ მოხალა ქვევრო, იმას ერგო ბევრიო.

Au lion mort on arrache la barbe.

— მკვლარ ღომს წვერს აგლეჯენ.

§ ღომი დაბერდა და ვირმა წიხლი ჩაქრაო.

მგელი რომ დაბერდება, ძაღლები ხუმრობას დაუწყებენო.

მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათრევი გახდებაო.

ხე რომ წაიქცევა, ცულღანი და უცულო ყველა ზედ შეადგებაო.

Au long aller petit fardeau pèse.

— შორ გზაზე პატარა ტვირთიც მძიმეა.

Au mort et à l'absent, injure ni tourment.

— წიკვალეებულს ცულად ნუ მოიხსენიებ.

§ მეკლარს თუ მოიხსენიებ, კარგად უნდა მოიხსენიო.

Aux derniers les bons (morceaux).

— საუკეთესო დაგვიანებულთ ხედება.

§ ნარჩენი გემრიელიაო.

Au pauvre un oeuf vaut un boeuf.

— ღარიბისათვის ერთი კვერცი ერთ ხარად ღირს.

§ ოდეს მაშვრალს მოწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსო.

Au pays (royaume) des aveugles, les borgnes sont rois.

— ბრმების ქვეყანაში ცალთვალა მეფეა.

§ ბრმათა შორის ცალთვალიო, არს პირველი სარდალიო.

ბრმათა ქვეყანაშიო ცალთვალი ორთვალობდაო.

ბრმათა ქვეყანაში ბრუტიანი თვალანობდაო.

უძალლო ქვეყანაში კატებს აჩხავლებდნენო.

ერთ სოფელში ძალი არ იყო და კატებს აჩხავლებდნენო.

Au plus larron la bourse.

— ქისა ყველაზე დიდ ქურდს მიაბარეს.

§ მგლისათვის ცხვარი ვის მიუბარებიაო.

მგელი და მწყემსად?—სად არის წესად?

Au rire on connaît le fol.

— უმიზეზო სიცილი სისულელის ნიშანია.

Autant de langues l'on sait, autant d'hommes l'on est.

— რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ.

Autant dépense chiche que large.

— თუ კაპიკს დაინანებ მანეთი დაგეხარჯება.

§ ძვირია, მაგრამ მშვენიერია; იაფია, მაგრამ დამპალიაო.

Autant de pays, autant de moeurs.

— რამდენი ქვეყანაცაა, იმდენი ჩვეულებაა.

§ როგორიც ალაგო, ისეთიც ალაბიო.

სადაც მიხვიდე იქაური ქული დაიხურეო.

Autant de têtes, autant d'avis.

— რამდენი თავიცაა, იმდენი აზრია.

§ რამდენი თავიცაა, იმდენი ჭკუააო.

კაცს კაცის ჭკუა არ მოსწონსო.

კაცია მე ვწუნობ, კაცია მე მწუნობსო.

Autant en emporte le vent.

§ ძალი ყვეს, ქარავანი შიღის.

Autant meurt veau que vache.

— ხზოც კვდება და ძროხაც.

§ სიკვდილი ყველას ათანასწორებსო.

სიკვდილი ყველას ყურს უკან გვიდგაო.

ეს ისეთი აქლემია, რომ ყველას კარზე დაიჩოქებსო.

Autant pêche celui qui tient le sac, que celui qui met dedans.

— მომპარავი და შემნახველი ერთნაირად სცოდავს.

§ ქურდი ისე არ ტყუის, როგორც ნაქურდალის შემნახველიო

ქურდის შემნახველი, ქურდზე უარესიაო.

ქურდიც და მისი შემნახველიც ერთი ჯოხით უნდა გაილახოსო.

Autant vaut bien battre que mal battre.

— მაკრად ცემა და მსუბუქად ცემა, ორივე ცემაა.

§ გინდ მკვდარი, გინდ შინ მოუსვლელიო.

გინდ ზღვას დაუღრჩევიარ, გინდ—ცვარსაო.

თუნდ მგელმა შემკამოს, თუნდ—მგლის შეიღმაო.

გინდ მკვდარი, გინდ შინ მოუსვლელიო.

გინდ დანით დაგიკლავარ, გინდ—დუმითაო.

Autant vaut (il vaut autant) être mordu d'un chien que d'une chienne.

— გინდ მამალ ძაღლს უებენია, გინდ—ძუქნას, სულ ერთია.

§ გინდ მგელს შევეუქამივარ, გინდ მგლისფერ ძაღლსაო.

თუნდ მგელმა შემკამოს, თუნდ მგლის შეიღმაო.

გინდ დანით დაგიკლავარ, გინდ დუმითაო.

გინდ კოცნით მოკლა, გინდ იარაღით, შენგან მკვდარიაო.

გინდ ზღვას დაუღრჩევიარ, გინდ ცვარსაო.

Autres temps, autres mœurs.

— სხვა დრონი, სხვა ზნე-ჩვეულებანი (ყველა დროს თავისი ზნე-ჩვეულება აქვს).

§ იცვლება დროება, იცვლება ზნე-ჩვეულებაცო.

დრონი მეფობენ და არა მეფენიო.

Autre ville, autres mœurs.

— სხვა ქალაქი, სხვა ჩვეულებანი (ყველა ქალაქს თავისი ჩვეულება აქვს).

§ როგორც ალაგო, ისეთიც ალაზიო.

რა ქვეყანაშიც მიხვიდე, იქაური ქული დაიხურეო.

Aux absents les os.

— დაგვიანებულს მხოლოდ ძვალი ხვდება.

§ დაგვიანებულს ძვალიო.

ვინც დროზე არ მოდის, ის უსადილოდ რჩებაო.

დროზე მთესველი დროზე მოიმკისო.

ვინც დაიზარაო, არ გაიხარაო.

ვინცა ჩქარო, ის მაძლარო.

Aux bonnes fêtes les bon coups.

— კარგ დღესასწაულებს ძლიერი დარტყმები მოჰყვება.

§ ორაგული თუ გინდა, ტანიც სველი გინდოდესო.

წყალში დაუსველებლად თევზი არ დაიჭირებო.

Aux (à) chevaux maigres vont les mouches.

— გამხდარ ცხენს ბუზები ეხვევა.

§ უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო.

ქვანიც უბედური კაცისაქენ გორავენო.

კაცს რომ ღმერთი გაუწყრება, ქვაც აღმართში მიეწევაო.

Aux grands maux les grands remèdes.

— ძლიერ ტკივილს ძლიერი წამალი უნდა.

§ დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდაო.

დიდ ქებას დიდი ქაფქირი უნდაო.

დიდ ფელამუშს დიდი გობი უნდაო.

დიდ ხეს, დიდი ნაფოტი ავარდებო.

დიდი ძვლიდან დიდი ტვინი გამოვაო.

Aux mariages et aux morts (au mariage et à la mort) le diable fait son effort.

— ხალხს ყველაზე მეტად ქორწილისა და სიკვდილის შესახებ უყვარს წაქორაეება.

Au gueux (au pauvre) la besage.

— ლატაკად დაბადებული, ლატაკად დარჩება.

§ ბედს ვერ გაეკცევიო.

Aux grandes portes soufflent les grands vents.

— დიდ კართან დიდი ქარი ქრის.

§ დიდ გვალვას დიდი აედარი მოსდევსო.

დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდაო.

დიდ ქებას დიდი ქაფქირი უნდაო.

Aujourd'hui en chère et demain en bière.

— დღეს ცოცხალია, ხვალ მკედარი.

§ სიცოცხლე და სიკვდილი ამხანაგები არიანო.

Aujourd'hui en fleurs, demain en pleurs.

— დღეს ყვავილებში, ხვალ ცრემლებში.

§ სიცილს ტირილი მოსდევსო.

ამდენ სიცილს ტირილის სუნი უდისო.

Aussitôt dit, aussitôt fait.

— თქმა და გაკეთება ერთია.

Aux riches va la richesse.

— სიმდიდრე მდიდრებთან მიდის.

§ ფულო ფულთან მივაო.

Aux audacieux Dieu prête la main.

— ღმერთი გაბედულთ უწედას ხელს.

§ ბედი მამაცს შეეღისო.

A un cheval hargneux il faut une étable à part.

— ოჩან ცხენს ცალკე თავლა უნდა.

A vaillant homme courte épée.

— გულად კაცს მოკლე ხმალიც ეყოფა.

§ ხმალსა არ უშლის სიმოკლე, ფეხ წადგი, წაემატებო.

Avec de bonnes cartes on joue à jeu sûr.

— კარგი ბანქო თუ გყავს, კარგადაც ითამაშებ.

§ ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდეო.

ბედი მომეც და ქვაზე დამსვიო.

ბედი მომეც და ნეხეთან დამფალო.

Avec le temps et la paille les nèfles mûrissent.

— დრო და მოთმინება ზღმარტლს ამწიფებს.

§ მოსაწიელს მოცდა უნდაო.

მოთმინება და შრომა ყველაფერს აადვილებსო.

A ventre plein toute viande est amère.

— სასე მუცელს ყველა ხორცი ემწარება.

§ მაძლარს გემო წაუხდებაო.

ბალი წვერში გამწარდებაო.

კახამბალი კატარში გამწარდებაო.

Avant avril ne quitte pas un lil.

— აპრილამდე თბილ ტანსაცმელს ნუ გაიხდი.

§ მარტი რომ წინ გედგას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აგინებო.

Avant de s'engager il est bon de bien s'entendre.

— ვიდრე საქმეს ხელს მოჰკიდებდე, შეთანხმებაა საჭირო.

§ ათჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო.

ათჯერ მოზმანე, ერთხელ მოთხარეო.

ფონი იკოთხე და წყალში ისე შედიო.

Avec un si (des si et des mais) on mettrait Paris dans une bouteille.

— ყველა „რომ“ (და „თუ“) რომ ახდებოდეს, პარიზს ერთ ბოთლში მოათავსებდნენ.

§ ბადრიყანს რომ ფრთები ებას, მერცხალი იქნებოდაო.

A vieille mule frein doré.

— ბებერ ჯორს ოქროს აღვირი არ შეფერის,

§ სად ბებერი ცხენი და სად კრელი უნაგირო.
ბებერი ცხენის კრელი უნაგირი ვის გაუგონაო

A ventre plein toute viande est amère.

— მაძღრისთვის ყველა ხორცი მწარეა.

§ არა გშია ზაქარია, თორემ მკადიც შაქარია.

Avocats se querellent puis vont boire ensemble.

— ვეკილები ჭერ ჩხუბობენ, მერე ერთად ქეიფობენ.

§ ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს გაყრა ეგონაო.

ბრიყვ კაცს ცოლ-ქმრის აშლა გაყრა ეგონაო.

Avoir la parole à la (en) main.

— კარგი მოლაპარაკეა.

§ ენამოსწრებულაო.

Avoir d'autres chats à fouetter.

— უფრო მნიშვნელოვანი საქმეების ქონა.

§ ბევრი თავსატეხი საქმის ქონა.

Avoir de l'esprit en argent comptant.

— ენამოსწრებულა.

§ პასუხი არ გაუქირდება; სიტყვა არ დაეღევა.

Avoir des ailes plus grandes que le nid.

— ბუდეზე უფრო დიდი ფრთების ქონა.

§ ფეხს საბნისდაგეარ გაშლა უნდაო.

როგორც საბანი გაგწვდეს, ფეხიც ისე გაშალეო.

Avoir du pain quand on n'a plus de dents.

— კაკალი მაშინ მიუტანეს, როცა კბილები აღარა ჰქონდა.

Avoir la langue acérée (bien affilée, bien pendue).

— პასუხის გაცემა არ გაუქირდება.

§ ენამოსწრებულაო.

Avoir plus besoin de brides que d'éperons.

— ზოგჯერ წაქეზების ნაცვლად აღვირია საკირო.

§ ახითა და იოლითა, განა სახრითა და ნიორითაო.

Avoir quelque chose au bord (sur le bord) des lèvres.

§ ეს სიტყვა ენის წვერზე მკილიაო.

Avoir l'esprit mal tourné.

— წარყენილი კკუის პატრონია.

Avoir son esprit dans sa poche.

— საკუთარი აზრების დამალვის ცოდნა.

.Avoir son dit son dédit.

— ხშირად თავისთავს ეწინააღმდეგება.

§ კვირაში შვიდი პარასკევი აქვსო.

.Avoir un courage de loup.

— გულადობის გამომკლავლება სუსტების წინააღმდეგ.

§ გული როსტომისა და ბარგი ლოკოკინისაო.

.Avoir un grain (de folie dans la tête).

— გამოსულელება, ამოტყინება.

§ თავის ქკუაზე არააო.

.A vouloir trop on obtient peu.

— ეინც ბევრს მოინდომებს, ის ცოტას მიიღებს.

§ ბევრის მდომმა ცოტაც დაკარგაო.

ბევრის მომღებს ცოტაც დაეკარგებაო.

მეტისმეტის მაძიებელი მოკვდა გაუხარებელიო.

უგვანად დიდთა მძებნელთა პატარაც დაეკარგებაო

ბევრის მკამელმა ცოტაც ველარ ჭამაო.

A vrai dire peu de paroles.

— სიმატლის თქმას ცოტა სიტყვა სჭირდება.

§ სიმატლეს მოკლედ ითქმისო.

როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო.

ბევრი თქვია—ცოტა ჭნიაო.

სიტყვა ბარაქიანიო, საქმე ტალახიანიო.

Ayez toujours deux cordes à votre arc.

— მშვილდზე ორი ლარი უნდა გქონდეთ.

§ რუისელმა გოგომ თქვა: თუ ქარელში გამათხოვებენ, ხომ კარგი,

თუ არა და, ე ბებნისი ხომ აქ არისო.

თუ გავთხოვდი, გავთხოვდი, თუ არა და, ჩვენებიანთ მელორეჯხომ აქ არისო.

B

Bâtir des châteaux en Espagne.

— ესპანეთში კოშკების აშენება.

§ ფუქი ოცნება.

Battre le chien devant le lion (devant le loup).

— ლომის ქკუის სასწავლებლად ძაღლს ცემდნენ.

§ მულა, შენ გეუბნები, რძალო, შენ გაიგონეო.

Battre l'eau avec un bâton.

—ჯობით წყლის ნაყეა.

§ წყალი ნაყეს, ნაყეს და ისევ წყალი დარჩაო.

წყალი რამდენიც გინდა ნაყო, მანც წყალაო.

Beaucoup d'appelés, peu élus.

—მოწვეული ბევრია, რჩეული — ცოტა.

Beaucoup de bruit pour rien.

—აურზაური (დიდი ხმაურობა) არაფრის გამო.

§ ტკაცატკეცი ბევრია, ხავეერჩხალი კი არ ჩანსო.

ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო.

რასაც იჭროლებს, იმდენს არ იწვიმებსო.

რამდენჯერაც დაივრუხუნებს, იმდენჯერ არ გაწვიმდებაო.

Beau chanter souvent ennuié.

— კარგი სიმღერაც მოგწყინდება.

Beaucoup de galants, peu d'épouseurs.

— თაყვანისმცემელი ბევრია, მთხოვნელი — ცოტა.

§ ობოლს კერას ბევრი პირდება, მაგრამ გამომცხოზი არაინ არისო.

Beaucoup lire et ne rien entendre, c'est chasser et ne rien prendre.

— ბევრი წაიკითხო და ვერაფერი გაიგო იგივეა—ინადრო და ვერაფერი მოკლა.

Beau noyau git sous faible écorce.

— კარგი გული სუსტ ნაქუქშიც შეიძლება იყოს.

§ თეთრი თხა მყიდველს მსუქანი ეგონაო.

გარეგნობა ხშირად მაცდურიაო.

ფერი ლალისა, გემო წყალისაო.

სახით მღვდელიო, საქმით მგელიო.

Beau parler n'écorce point la langue.

— კარგი ლაპარაკი ენას არ ატყავებს.

§ ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო.

ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო.

ქვეანმა ბატკანმა ორი დედა მოწოვაო.

ტკბილი ენის მქონე კრავმა დედაც მოწოვა და არადედაცაო.

თქმულა: გამწყრალი სპილოცა სიტკბოთი მოიყვანებისო.

Beau visage apporte sa dot en naissant.

— სილამაზეს მზითვეი დაბადებიდანე თან დაყეება.

§ კარგი საქონელი ადვილად საღდებაო.

Beauté de femme n'enrichit homme.

— ცოლის სილამაზე ქმარს ვერ გაამდიდრებს.

§ ნუ მისდევ ლამაზ პეპელას, გაგიფრინდება, არც არას ხორცი გიხორცებს, არც ტყავი ტყავად გაგივა.

Belles paroles ne font pas bouillir la marmite.

— ლამაზი სიტყვები ქვაბს არ ააღულებს.

§ ცარიელი სიტყვით ვალს ვერ გაისტუმრებო.

ყვეფთა და ყვირილითა სოფელი არ აშენდებაო.

Belle tête, mais de cervelle point.

— ლამაზი, მაგრამ უქკუო თავი.

§ სილამაზეს რა კკუა აქვსო.

გარედან მტერს უბრმავებს თვალს, ახლოდან მოყვარესო.

Belle vigne sans raisin ne vaut rien.

— ლამაზი ვაზი ყურძნის გარეშე რა მოსახმარია.

§ შორიდან მტერს მოუკლავს გულს, ახლოდან მოყვარესო.

Besoin fait la vieille trotter.

— გაჭირვება ბებერს სირბილს ასწავლის.

§ გაჭირვება აღმართში აგახტუნებსო.

გაჭირვებული კაცი ზღვას გავაო.

გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო.

გასაჭირმა დედოფალთან დამაწვინაო.

შიშშილი ცეკვას გასწავლისო.

ვირს თუ მოშივდა, სირბილში ცხენიც ვერ აჯობებსო.

Bête comme un âne (un dindon, une oie).

— ვირივით (ინდაურივით, ბატივით) სულელია.

§ ყყუერია, გამოჩერჩეტებულია.

ბატისტვინაა, ბატივით უტვინოა.

Bien attaqué, bien défendu.

— კარგ იერიშს, კარგი დაცვა სჭირდება.

§ მოვიდა სეტყვა—დახვდა ქვაო.

Bien bas choit qui trop haut monte.

— ვინც ძალიან მაღლდება, ძალიან დაბლა ეცემა.

§ ვინც მაღლა თავს წაიღებს, ფეხს წაიკრავსო.

ვინც თავს მაღლა აიღებს, თავს გაიტეხსო.

Bien commencé, à demi avancé

— კარგად დაწყებული საქმე ნახევრად წინწაწეულია.

§ კარგად დაწყებული საქმე ნახევრად გაკეთებულაო.

მოწადინება ნახევარი საქმეაო.

კარგ საძირკველზე კარგი კედელი ამოვაო.

საქმე თავიდან თუ კარგად არ დაიწყე, კარგად არ დამთავრდებაო.

Bien faire vaut mieux, que bien dire.

— კარგ მთქმელს, კარგი გამკეთებელი სჯობია.

§ კარგ მთქმელს, კარგი მკეთებელი სჯობიაო.

ბევრიც რომ იცოდეს, მაინც ცოტა ილაპარაკეო

ბევრის მოლაპარაკეს არც ერთი არ დაეჭვრებაო.

Bienfait reproché tient toujours lieu d'offense.

— დაყვედრებული სიკეთე შეურაცხყოფას უდრის.

§ სჯობს უქმელობით სიყვდილი საყვედურითა კამასა.

დაყვედრებული ვარდის ყნოსვას — ეკალს ვყნოსო, სჯობიაო.

Bien danse à qui la fortune chante.

— კარგად ცეკვავს ის, ვისაც ბედი უღიმის.

§ ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდევო.

ბედი მომეც და ქვაზე დამსვიო.

ბედნიერს უთოვდეს, უბედურს უქრადეო.

ბედნიერს ცოლი მოუკვდება, უბედურს — ხარიაო.

თუ კაცსა ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკვდებაო.

Bien du tapage pour peu de ch se.

— ბევრი აურზაური არაფრის გამო.

§ ტყაცატყუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არ ჩანსო.

ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო.

რაც იქროლებს, იმდენს არ იწვიმებს.

რამდენჯერაც დაიგრუხუნებს, იმდენჯერ არ გაწვიმდებაო.

კოლაღე, შენ სულ აკაკუნებ, მაგრამ შენი გაკეთებული ხარატულები, ვერა ვნახეო.

Bien mal acquis ne profite pas.

— არმად ნაშოენი არ გამოგაღდება.

§ ნაარმი არ გამოღდებაო.

საოხრებზე ნაშოენი, სატალღოზე დაიხარჯებაო.

ქარის მოტანილს, ქარი წაიღებსო.

არმად ნაშოენი, არმად წახდებაო.

ლუკმა მაშინაა ტკბილი, როცა კაი კაცობთაა ნაშოენი.

Bien perdu, bien connu.

— დაკარგული ქონება ყოველთვის დიდია.

§ დაკარგული ძროხა ცხრა ლიტრას იწველიდაო.

გაღმოვარდნილი ძროხა ბევრს იწველიდაო.

გაქცეული თევზი დიდი გამოჩნდებაო.

დაკარგული ძროხა კარგი მეწველიაო.

გვაქვს — არ ვაფასებთ, დავკარგავთ — ვტირითო.

Bien repu, on oublie qu'il est des affamés.

— მაძლარს მშვიერები ავიწყდება.

§ მაძლარს მშვიერიც მაძლარი ეგონაო.

მაძლარს ხუცესს დიაკონიც მაძლარი ეგონაო.

გამაძლარ თხას თიკანიც გამაძლარი ეგონაო.

მდიდარს ლარიზიც მდიდარი ჰგონიაო.

გულმტკივანისა ტკივილი, რა იცის გულდადებულმაო.

Bien servir fait amis et vrai dire ennemis.

— პატივისცემა მეგობარს გძენს, სიმაართლის თქმა—მტერს.

§ მართლის მთქმელს ბევრი მტერი ჰყავსო.

მართლის მთქმელ მტრედს ნისკარტი მოაჭრესო.

გამოუღექ სიმაართლესო, გამოგიღევეს სინათლესო.

Bien volé ne profite jamais.

— ნაქურდული ქონებით ვერ გამდიდრდები.

§ არმად ნაშოენი არმად წავაო.

ოხრად ნაშოენი ქონება ხმარდება სატიალოსა.

საოხარზე ნაშოენი სატიალოზე დაიხარჯაო.

სავერანოში აღებული სატიალოში გაივლისო.

ნაარმი არ გამოდგებაო.

Bois tortu fait le feu droit.

— მრუდე ხე სწორ აღს იძლევა.

§ გარეგნობა ხშირად მაცდურიაო.

თეთრი კბილი და შავი გულიო.

ფერი ლალისა, გემო წყალისაო.

Bois tortu ne se redresse pas.

— მრუდე ხე არ გასწორდება.

§ კუზიანს სამარე გაასწორებსო.

წითელი ცხენი წითელ ტყავში მოკვდებაო.

Bon accueil vaut bien un mets.

— კარგი მიღება კარგ კერძს სჯობია.

§ ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო.

ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო.

კეკანმა ბატკანმა ორი ღედა მოწოვაო.

ტკბილი ენის მქონე კრავმა ღედაც მოწოვა და არადედაცაო.

გველსა ხერეღით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

თქმულა: გამწყრალი სპილოცა სიტკბოთი მოიყვანება.

Bon berger tond et n'ecorche pas.

— კარგი მეცხვარე ისე გაკრეკს, რომ არ გაკაწრავს.

§ ხელოსანი თავის ნახელავითაო.

Bon cavalier monte à toute main.

— მარჯვე კაცი ყველაფრის გაკეთებას ასწრებს.

§ მარჯვე კურდღელი თავისთვისაც იშოვის და სხვისთვისაცაო.
გარჯილობასა მოჰქონდა საწუთრო დაუღვეელი.

Bon champ semé, bon blé rapporté.

— კარგი ყანა კარგ მოსავალს იძლევა.

§ რასაც დათეს, იმას მოიქიო
რასაც დასთეს მიწისა პირსა, იგიე ამოვა, გაიდგამს ძირსა.

Bon chien chasse de race.

— ძალღი თავისი ჯიშის მიხედვით ნადირობს.

§ კვიცი გვარზე ხტისო.

ცხენი გვარზე გაიქევაო.

Bon compagnon de voyage fait les lieues courtes.

— კარგი თანამგზავრი გზას ამოკლებს.

Bon droit a besoin d'aide.

— ღმერთის იმედი გქონდეს, მაგრამ შენც მარჯვედ უნდა იყო.

Bon fruit vient de bonne semence.

— კარგი ნერგისაგან კარგი ხილი გამოვა.

§ რასაც დათეს, იმას მოიქიო.

კაცი რასაც დასთესს, ღმერთიც იმას მისცემს.

რასაც გაანესხებ, იმასვე ჩაისესხებო

კარგი თესლი კარგ მიწაში არ დალბებაო.

კარგ მოხსულზე თესლი ერთიანად მოიძეებაო.

Bonjour lunettes adieu fillettes.

— გამარჯობათ, სათვალეებო, მშვიდობით ქალიშვილებო.

§ სათვალეები და ქალარა განკურნავს სიყვარულისგანო.

Bon lièvre vient toujours mourir au gîte.

— კარგი კურდღელი სახლში მოდის, რომ იქ მოკვდეს.

§ ნელო და თბილო—თავის სასახლეო.

კარგო და ტკბილო—ჩემო სასახლეო.

ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადიც იქ არისო.

Bon marché coûte cher.

— იაფი უფრო ძვირი ღირს.

§ იაფი ყველაზე ძვირიაო.

იაფი ყველაზე ძვირად დაგიჯდებაო.

იაფუასიან ხორცს წვენი არ გაუყვთდებაო.

იაფი ფასისაო, წვენი ძალისაო,
იაფფასიან ხარს უღელი არ დაედგმებო.
იაფფასიან ხორცს ძალიც არ შეჰამსო.

Bon marché ruine (coûte cher).

— იაფი ძვირად ჯდება.
§ ყველაზე იაფი, ყველაზე ძვირიაო.

Bonneur passe mérite.

— ბედი სჯობია დამსახურებას.
§ ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდო.
ბედი მომეც და სიპ ქვაზე დამსვიო.
თუ კაცსა ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებაო.

Bon pays, mauvais chemin.

— კარგი ქვეყანაა, მაგრამ გზაა ცუდი.

Bon renard ne se prend pas deux fois au même piège

— კარგი მელა ერთსა და იმავე მახეში ორჯერ არ გაეზმება.
§ სულელია ის თევზი, რომელიც ერთსა და იმავე ბადეში ორჯერ მოხედებაო.
ერთხელ ბადეში ნაცეში თევზი მეორედ არ ეცემაო.
ვირი სადაც ერთხელ ლაფში ჩაეფლობა, იქ აღარ გაივლისო.
ნახაფანგარი მელა ადვილად აღარ გაეზმისო.

Bon soldat doit vaincre ou mourir.

— კარგი ჯარისკაცი ან იმარჯვებს, ან კვდება.
§ ან ვირი, ან ვირის პატრონო.
ან ყველაფერი, ან არაფერიო.
ან გამარჯვება, ან სიკვდილი.

Bons mots n'épargnent nul.

— მახვილი სიტყვა არავის ინდობს.
§ ხუმრობა თავს ვერ დაიჭერსო.

Bonté passe beauté.

§ გულკეთილობა სილამაზეს სჯობია.

Bon vin donne bon vinaigre.

— კარგი ღვინო კარგ ძმარს იძლევა.
§ კაი ყმის ნასახლარში ყორე არ დაიშლება და შუშა არ გათავდებაო.
კაი ყმის ნასადგომარს შეეტყობაო.
კაი კაცის ნაცოლარი, კაი ღვინის ნაძირალი.

Bonne amitié vaud mieux que tour fortifiée.

— კარგი მეგობრობა გამაგრებულ კოშკს სჯობია.
§ კარგი მეგობრობა კარგი ძმობის დარიაო.
მეგობარი თვალის სინათლეაო.

Bonne est la poule qu'un autre nourrit.

— სხვის მიერ გასუქებული დედალი კარგია.

Bonne est la maille qui sauve un denier.

— თავის დროზე შემონახული, გროშიც კარგია.

§ ახალგაზრდობით მოგებული სიბერის დროს ხმალით

სიჭილით მოგებული ფული, დაკეცილი ქამხაო.

ზატხულში შენახული, ზამთარში ცივი ქვეც თბილიაო.

ზატხულში დაფხენილი ზამთარში გამოგადგებაო.

Bonne marchandise trouve toujours son marchand (acheteur).

— კარგი საქონელი ყოველთვის შოულობს მკიდევლს.

§ კარგ საქონელს რეკლამა არ უნდაო.

კარგი საქონელი თავის თავს აქვებსო.

კარგ ქალს მთხოვნელიც კარგი ჰყავსო.

Bonne renommée vaut mieux que ceinture dorée.

— ოქროთი მოვარაყებულ ქემარს კარგი სახელი სჯობია.

§ სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.

სახელგატეხილს თავგატეხილი სჯობიაო.

პატიოსნება ყველაზე დიდი სიმდიდრეაო.

პატიოსნება ფულით არ შეიძინებაო.

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

საქმელი ერთი დღისაო, სახელი ასი წლისაო

Bonne terre a besoin de bon cultivateur, aussi bon maison de bon administrateur.

— კარგ მიწას კარგი მზენელ-მთესველი უნდა, ისე როგორც კარგ ოჯახს—კარგი მმართველი.

§ კარგმა სახლმა, კარგმა კარმა, კარგად გამადედაკაცა.

ოჯახი ვისიაო და, — ვინც მოიხმარს — მისიაო.

ოჯახობა ვისიაო და—ვინც მოუვლის მისიაო.

Bonne terre, mauvais (méchant) chemin.

— სადაც მიწა რბილია, იქ გზა ცუდია.

Bonnes sont les dents qui retiennent la langue.

— კარგია კბილები, რომლებიც ენას იჭერს.

§ ენას კბილი დააჭირეო.

Bouche baisée ne perd pas sa fraîcheur.

— დაკოცნილი პირი სახეს სიჭორფეს არ უქარგავს.

§ შრომა კაცს არ მოკლავსო.

Bouche de miel coeur de fiel.

— ენამთაფლული, მაგრამ გულმოწამლული.

§ თეთრი კბილი და შავი გულიო.

შავ გულს თეთრი კბილი ფარავსო.

გული შავი, კბილი თეთრი არავისთვის მშურსო.

ენით ცხვარია, საქმით ცხარიაო.

Bouche en coeur au sage, coeur en bouche au fou.

— სულელს გული ენაზე აკერია, კკვიანს—ენა გულზედ.

§ ბრიყვი უწინ იტყვისო.

სანამ კკვიანი მოიფიქრებდა, სულელი ფონს გავიდაო.

სანამ კკვიანი დაფიქრდებოდა, უკკვომ მთები გადავლოო.

Bouche serré, mouche n'y entre.

— ღახურულ პირში ბეზი ვერ შედის.

§ სოფრთხილეს თავი არა სტკივაო.

ჭერ ფონს იკითხავენ, მერე წყალში შევლენო.

Buisson a oreilles.

— ბუჩქსაც ყურები აქვს.

§ სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

ტყე უყურო ნუ გგონია და მდინარე უთვალოო.

დღეს თვალი აქვს და ღამეს ყურიო.

კედელს ყური აქვს, მინდორს თვალიო.

Brasser l'or (des écus).

— ფულის მოხვეტა.

§ ფული ჩეჩქივით აქვსო.

Brebis comptées, le loup les mangent.

— დათვლილი ცხვარიც შეიძლება მგელმა შეკამოს.

§ შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო.

შიში თავს ზევით არ წავაო.

მოსახდენი უნდა მოხდესო.

გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდესო.

მოსაპრელი თითი უნდა მოიპრასო.

Brebis galeuse gâte le troupeau.

— ერთი ქვეციანი ცხვარი მთელ ფარას გასერის.

§ ერთმა წუწკმა ღორმა ასი ღორი გასვარაო.

ერთმა ღორმა ჭავახეთი ამოაგლოო.

წუწკი ღორი სხვებსაც გასერისო.

ქვეციანი ცხვარი მთელ ფარას გააქვეციანებსო.

ცული მაგალითი გადამდებიაო.

Brebis qui bêle perd sa goulée.

— მოკიკინე ცხვარი თავის ლუქმას კარგავს.

§ კამის დროს ძალლიც გაჩუმდებო.
მოკაქანე კაკაბი მახეში ჩავარდება.
რაც მოვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.
ვისლა შესჩივი, რაც გიქირს, შენავ ნაქნარმა გიწიაო.

Brider l'âne par la queue.

— ცხენისათვის ალვირის კუდში ამოდება.

§ საქმის უკუღმად დაწყებაო.

სახლის სახურაიდან დაწყებაო.

საქმე თუ თავიდან არ დაიწყო, ბოლო რა მოსახმარი იქნებაო

Brûler la chandelle par les deux bouts.

— სანთლის ორივე ბოლოდან წვა

!ცხოვრების ქეიფში (ლხინში) გატარება.

Brûler le bord des lèvres.

§ ეს სიტყვა ენაზე მკიდიაო.

Brûler sa poudre aux moineaux.

— ბელურასათვის თოფის წამლის დაწვა.

§ ბელურას ზარბაზანს არ ესერაიანო.

ჩიტი დევნად არ ღირდა, დევნა—ბლღენადო.

ჩიტი ბლღენად არ ღირდა, დევნა სულ მეტი იყოო.

ერთი კაკლისათვის ჯოხს არ ისერაიანო

C

Ca fait ma balle.

— ეს ჩემი ბურთია.

§ ეს ჩემი საქმეაო.

ეს მხოლოდ მე შეხებაო.

Calomniez, calomniez, il en restera toujours quelque chose.

— ცილისწამება ხშირად გაიმეორეთ, თუ გინდათ დაგიქერონ.

Capitole est proche de la roche Tarpéienne (la roche Tarpéienne est près du Capitole).

§ დიდებულად თავის შერცხვენამდე ერთი ნაბიჯია.

Caresse de femme, caresse de chatte.

— ქალის ალერსი კატის ალერსსა ჰგავს.

§ კატამ ალერსი იცის, მაგრამ თუ გააჭაერე—ბრკვეალებს გაგკრავსო.

Cas sur cas n'a point lieu.

— შემთხვევა შემთხვევას არ ემთხვევა.

§ ბულბულმა კარგი გალობა იცის, მაგრამ ხორცი არ უვარგაო.

ლორს რომ რქები მისცა, მთელ ქვეყანას გადააბრუნებსო

Casser la (unc) croûte.

— წასაუზმება, წახემსება.

‡ ჭიის მოკვლა.

Cela ne marche pas ensemble.

— ეს შეუთავსებელია.

Cela n'est pas (fait) pour les chiens.

— ეს ყველასათვის მიუწვდომელია.

‡ გონიერისათვის ხელმისაწვდომიაო.

Cela n'est pas tant chien.

— ეს არც თუ ისე ცუდია.

Cela ne vaut pas un clou.

— ეს ერთ ლურსმნადაც არ ღირს.

§ პაწა ძღვენო, საღ მიხვალო,—საიდანაც დიდს გამოველო.

ცოტავ, საღ მიდიხარო და —ბევრთანაო.

ცოტავ, საღ იყავ და—ბევრის მოსატანალო.

დღეს ქათამს გავცემ, ხვალ კვერცხი და ვარია მომივო.

შიგ ჩავაგდე ოთნისტელა, ამოვიღე ქოთნისტელაო.

Double jeûne, double morceau.

— მარხვა მაღას აორკეცებს.

§ შშიერი აღამიანი ორის ნორმას კამსო.

Du char la plus méchante roue est celle que crie toujours.

— ეტლის ყველაზე ცუდი თვალი ის არის, რომელიც მუდამ ხმაურობს.

§ ცარიელი ქვევრი მეტს ხმაურობსო.

Du dit au fait il y a grand trait.

— სიტყვიდან საქმემდე დიდი მანძილია.

§ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარიაო.

D'un côté le loup nous menace, de l'autre le chien.

— ერთი მხრით მგელი გვაშინებს, მეორეთი—ძაღლი.

§ ორ ცეცხლშუა ვარო.

D'un homme qui ne parle et d'un chien qui n'aboie, garde-toi.

— ერთდუ კაცს, რომელიც არ ლაპარაკობს და ძაღლს, რომელიც არ იყეფება.

§ მიმპარავი ძაღლი მყეფარაზე უარესიაო.

ჩუმჩუმათობა ოჯახის დამქცევეიაო.

ჩუმჩუმა და კუდაგრძელიო.

D'un sac charbon il ne saurait sortir blanche farine.

— ნახშირის ტომრიდან თეთრ ფქვილს ვერ გაღმოყრი.

§ კოკასა შიგან რაცა ღვას, იგივე წარმოდინდებისო.

Du sublime au ridicule il n'y a qu'un pas.

— ამღლებიდან სასაცილო მდგომარეობამდე ერთი ნაბიჯია.

§ ღღიდ გვალვას დიდი ავღარი მოსდევსო.

E

Eau stagnante devient puante.

— დამღვარი წყალი ყროლდება.

§ მგორავ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო.

წყალი რომ დაგუბდება—აყროლდებაო.

Eau trouble, gain du pêcheur.

— მღერიე წყალი მეთევზისათვის ხეირია.

§ მღერიე წყალში თევზი აღვილად დაიჭირებაო.

კალმახი მღერიე წყალში ხედება ნემსკავსაო.

Economie vaut profit.

— მომჭირნეობა იგივე შემოსავალია.

§ კარგი შემნახავი სჭობია კარგ მომგებსაო.

კარგ მშოენელს კაი შემნახველმა აჯობაო.

კარგ მუშაობას კარგი გაკვლევა სჭობიაო.

კარგ მოსავალს კარგი გამრიგე უნდაო.

მარტო შემოსავალი კაცს არ გაამღიდრებს, თუ დაზოგეამაც ხელიარ შეუწყუო

Ecorcher son chien pour en avoir la peau.

— ტყავის გულისათვის, ძალლისთვის ტყავის გახდა.

§ ოქროს კვერცხის მღებელი ღედლის დაკვლა.

Ecraser comme un oeuf.

— ბუზივით გაქყუტა.

Ecu changé, écu mangé. }

— ფულის დახურდაეება და გაფლანგვა ერთია.

§ წვრილი ფული სწრაფად იხარკებაო.

Echanger un cheval borgne contre un aveugle.

— ცალთვალა ცხენის ბრმაში გაცვლა.

§ გაყიდა მამული, იყიდა ხრამული.

გაყიდა მარანი, იყიდა ტარანი.

ვირი გაყვიდე, დოლი ვიყიდეო.

გაყიდა ხარი, [ითხოვა] ქალი.

თხა გაყვიდე, თხა ვიყიდე, სარგებელი ვერა ენახეო.

Elle fait bien valoir ses choux.

— ის ძვირად აფასებს თავის კომბოსტოს.

§ თავს იწონებს მწვანე კიტრიო.

ტანიხილური კიტრი თავს იქებდაო.

თავის ქება კიტრად ღირსო.

თავის ქება კიტრადაო, კიტრი კაპეიკადაო.

Employer toutes les herbes de la Saint Jean.

— ევლა საშულაღბის გამოცენება.

§ ზოგან თავით, ზოგან ხრიკით, საქმე წავა თ.ოხარიკით.

En cas hatif, n'y a avis.

— სასწრაფო საქმის დროს რჩევას ნუ დაელოდები.

En coffre ouvert le juste pêche.

— ღია სკივრია ქურდობის მიზეზი.

§ ცუდი შემნახავი ქურდზე უარესიაო.

En dépit qu'il en ait.

— მისი სურვილის მიუხედავად.

§ მიუხედავად ყველაფრისა.

En la fin se chante la gloire.

— ღიდებას ბოლოს უმღერიან.

§ ზეცას წერო მიფრინაედა, ძირსა თლიდნენ შამფურებსო.

ბავშვი არ დაბადებულყო, აბრამს არქმეედნენო.

ფონი გასაეალს დალოცეო.

1. ფონი გასელის შემდეგ უნდა აქოო.

დათვის მოკელამდე, მის ტყავს ნუ გაყიდო.

Enfant par trop caresse, mal appris et pis réglé.

— ბებრი ფერებით აღზრდილი ბავშვი უზრდელი იქნება.

§ ფერებით კარგი შვილი არ გაიზრდებაო.

შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება ძმურადა.

შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო.

Enfermer (introduire, laisser entrer) le loup dans la bergerie.

— მგლის ფარეხში დამწყვედევა.

§ მგელი და მწყემსად? სად არის წესად?

ორაგული დასაჯეს და მორეეში გადაადგესო.

მგელი ფარეხშიო, ვირი ბოსტანშიო.

En fuyant le loup rencontrer la louve.

— შამალ მგელს თავი დააღწიო და დედალ მგელს გადაეყარო.

§ დამწვარს მდულარე დაახეხო.

ვაის გაეყარე, ვუის შეეყარეო.

ვაის გავექეცე, ვუის შევექეცეო.

ცეცხლიდან გაქცეული წყალში დაიხრჩოო.

En hiver les jours n'ont point d'heures.

— ზამთარში მოკლე დღეებია.

§ ზამთრის დღე მოკლეაო.

En jouant on perd l'argent et le temps.

— ბანქოს თამაშით ფულსაც ფლანგავ და დროსაც.

En mettre son doigt au feu.

§ თავს მოვიჭრი, თუ ასე არ არისო.

En moisson et en vendange il n'y a ni fête, ni dimanche.

— მკამ და რთელმა არც კვირა იცის, არც—დღესასწაული.

§ ქვეყანა იქცეოდა, ქლიბაძე ბუქნას უვლიდაო.

ქვეყანა წყალს მიქონდა და ქალი ბანზე ლეკურს უსვამ დაო.

ქვეყანა იქცეოდა და ქეციანი აბანოში გარბოდაო.

ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს ექცეოდაო.

En moissonnant se passe l'août.

— აგვისტო მკაში გადის.

§ მუშაობაში დრო მალე გადისო.

ერთად შრომა ხალისია, ერთად უქმად დგომა—სირცხვილაო.

En ne faisant rien, on apprend à mal faire.

— არაფრის კეთებით, ცუდის გაკეთება ისწავლა.
§ სიზარმავე ბოროტების დედააო.

En parlant du loup on en voit la queue.

— მგელზე რომ ლაპარაკობენ მის კუდს ხედავენ.
§ ძალღი ხსენებაზედაო.
ძალღი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირო.
ძალღი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო.

En parlant du soleil on voit ses rayons.

— მზეზე რომ ლაპარაკობენ, მის სხივებს ხედავენ.
§ ძალღი ხსენებაზედაო.
ძალღი ახსენე და ჯოხი გვერდზე მოიდგო.
ძალღი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო.

En petits sacs sont les meilleures épices.

— საუკეთესო სანელებელი პატარა პარკებშია.
§ ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირად ფასობსო.
ოქრო პატარაა, მაგრამ ფასი ღირსი აქვსო.

En petite tête git grand sens.

— პატარა თავში შეიძლება დიდი აზრი იყოს.
§ ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირად ფასობსო.
ოქრო პატარაა, მაგრამ რამდენ რკინას სჭობაო.

En ruisseau ent et coi ne mets ni main ni doigt.

— ნელსა და წყნარ წყალში ნურც ხელს ჩაყოფ და ნურც თითს.
§ თავჩაღუნული და კუდაბზეკილიო.

En tout il faut garder la mesure.

— ყველაფერში ზომიერებაა საჭირო.
§ მეტისმეტო—თავში რეტო.
მეტი სიტყვა თავს აგვატყენს, მეტი კამა—კუქსაო.

En toute chose il faut considerer la fin.

— ყველაფერში საქმის ბოლოზე უნდა იფიქრო.
§ ნუ შეტოპავ, ვიდრემდის საფონე ადგილს არ ნახავო.
ჯერ ფონს იკითხვენ და მერე წყალში შეველნო.
საქმეს რომ იწყებდე, ბოლოზე იფიქრო.

En tout pays, il y a une lieue de mauvais chemin.

— ერთი მილი ცუდი გზა ყველა ქვეყანაში შეიძლება იყოს.
§ თითო გობი ლაფი ყველგან დგასო.

თითო კოვზი ძაღლის ფინთი ყველგან არისო.
თითო მუგუზალი ყველგან ბოლავსო.

Entre amis tous biens sont communs.

— მეგობრების ქონება საერთოა (მეგობრების ქონება რამ გაყო).
‡ მეგობარს თუ აქვს, შენცა გაქვსო.

Entre l'arbre et l'écorce il ne faut pas nettre le doigt.

— ხესა და მის ქერქს შორის თითი არ უნდა ჩაღო.

‡ სხვის საქმეში ნუ ერეეო.

არამკითხე მოამბეო, მიტყუებ და მიაგდეო.

Entre la chair et la chemise, il faut cacher le bien qu'on fait.

— ნამოქმედარი სიკეთე კანსა და პერანგს შორის უნდა დაიმალოს.

‡ სამადლო საქმეს გახმაურება არ უხდებაო.

ტრახბახი უგვანო კაცის საქმეაო.

ყველაფერი დაიქცევა კეთილი საქმის მეტეო.

კეთილი იმას ჰქვია, ვინც სიკეთეს მალეით აკეთებსო.

Entre promesse et l'effet il y a grand trait.

— დაპირებასა და შესრულებას შორის დიდი მანძილია.

‡ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარია.

სიტყვის მიცემა ადვილია, შესრულება კი—ძნელია.

სიტყვა ადვილია, საქმე კი—ძნელია.

Entre vouloir et pouvoir, il y a de la marge.

— სურვილსა და შეძლებას შორის ზღვარია.

‡ სურვილი შეძლებას არ ნიშნავსო.

მოისურვო, არ ნიშნავს—შეძლო. |

Entrer par une oreille et en sortir par l'autre.

— ერთ ყურში შევიდა, მეორედან გავიდა.

‡ ერთ ყურს ჰქვია შეიღინე, მეორეს—გაიღინეო.

ერთ ყურს ჰქვია ისმინეო, მეორეს კი—ისხლიტეო.

Envie est la racine où tous les maux prennent origine.

— ყოველგვარი უბედურების წყაროა.

‡ შურთან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ეღებოდანო

Envie passe avarice.

— შური ძუნწობაზე უარესია.

‡ შურმა დაამხო ქვეყანა, ბაძილმა ააშენაო.

Erreur n'est pas compte.

— შეცდომა ანგარიშში მისაღები არაა.

‡ არცოდნა არცოდნააო.

Est mauvais berger qui aime le loup.

— უღლა ის მწყემსი, რომელიც მგელს დაუმეგობრდება.

Etre à cent pieds au-dessus des autres.

— სხვებზე ერთი თავით მაღლა დგომა.

Etre amoureux des onze cents (des onze mille, de cent mille) vierges.

— ქალების ღენა.

Etre amoureux d'une chèvre coiffée.

— გონჯზე შეყვარება.

§ ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არისო.

სიყვარული ბრმააო.

Etre assis (demeurer, ses trouver) entre deux chaises.

— ორ სკამზე ჯდომა.

§ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.

ერთი ძაღლი ორ კურდღელს ერთად ვერ დაიჭერსო.

ქორი მრავლისა მდევარი ბევრჯერ დარჩება მშვიდრიო.

Etre aussi chanceux que le chien à Brusquet.

— ბრუსკეს ძაღლის ბედის ქონა (ბრუსკეს ძაღლი ტყეში წაეცა და იქ მგელმა შეჭამა).

§ უბედურს ბედი არ წყალობსო.

უბედურ ვარსკვლავზეა გაჩენილიო.

Etre belle à la chandelle.

— სინათლის შუქზე ლამაზად გამოყურება.

§ სიბნელეში მზეთუნახავად ჩაითვლებაო.

Etre comme poisson dans l'eau.

— თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

§ მის ბედს ძაღლი არ დაყუფსო.

Etre comme un poisson hors de l'eau.

— თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი ქვიშაზე.

Etre (se trouver) dans de beaux draps.

— უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენა.

§ ხათაბალაში ჩავარდნა.

Etre dans ses roses.

§ კარგ გუნებაზე ყოფნა.

Etre entre l'enclume et le marteau.

— გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნა.

§ ორ ცეცხლზეა არისო.

წინ წყალი, უკან მეწყერიო.

Etre hardi comme un coq sur son fumier.

— თავს ისე გრძნობს, როგორც მამალი ნეხვზე.

§ თავს საკუთარ სახლში გრძნობსო.

Etre le chien du Jardinier qui ne mange point de choux et n'en laisse pas manger aux autres.

— მებაღის ძაღლი კომპოსტოს არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს.

§ ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო.

ღათვი მეველედ დადგა, არც ვინ შეუშვა და არც ვინ გაუშვაო.

Etre logé aux quatre vents.

§ ცარიელ-ტარიელაო

ავიხედავ—ცას შევხვდავ, დავიხედავ—მიწასაო.

სახლში კატა ვერას შეუჭამს და გარეთ ძაღლო.

Etre maître de sa langue.

— ენისთვის კბილის დაკერა.

§ სიტყვის ბატონიაო (პატრონიაო).

Etre né sous une bonne étoile.

§ კარგ ვარსკვლავზეა დაბადებულიო.

ქუღბეღიანიაო.

Etre pris comme dans le blé.

— მახეში გაბმა.

§ ისე გაება, როგორც ჩიტი კაკანათშიო.

Etre réduit à la chandelle bénite.

— სიკვდილის პირას ყოფნა.

§ სულსა ლევსო.

სულთმობაჲიაო.

Etre sur la chaise percée.

— გახერტილ სკამზე ჯდომა.

§ მოუსვენრად ყოფნა.

ეკალზე ჯდომა.

Expérience fait le maître.

— გამოცდილება ქმნის ოსტატს.

§ სხოვრებისეული გამოცდილება ცოდნის დედააო.

ერთი გამოცდილება ათ სიბრძნეს სჯობიაო.

ყველა საკუთარი გამოცდილებით სწავლთბსო.

განმეორება ცოდნის დედააო.

დალაქმა ხელობა ჩვენს თავზე ისწავლაო.

Expérience passe science.

— ცოდნას გამოცდილება სჯობია. |

§ ერთი გამოცდილება ათ სიბრძნეს სჯობიათ.

სიბრძნე გამოცდილების შეილააო |

ცხოვრებისეული გამოცდილება სიბრძნის დედააო.

გამოცდილება გონიერების სარკეაო.

F

Fagot cherche bourrée.

— ფიჩხის კონა წნელის კონას ეძებს.

§ ავი დასაჭერი ცხენი, აე დასაჭერს მონახავსო.

თხა თხას მისდევს, ცხვარი—ცხვარსაო.

ფარაში თხები თხებთან წაველენო.

ცხვარი ცხვართან მივა, თხა—თხასთანო.

Faire balai neuf.

— პირველ ხანებში გულმოდგინეობის გამომვლანება.

§ ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასა.

ახალი ცოცხიაო.

Faire bon marché de sa peau.

— სიცოცხლის დაუფასებლობა.

§ სიცოცხლე არად უღირსდო.

სიცოცხლე ჩალის ფასად უღირსო.

Faire bonne mine à (au) mauvais jeu.

— უსიამოვნების შეუმჩნელობა.

§ იხტიბარს არ იტეხსო.

Fai e (être) comme le chien du jardinier.

— ისეთი, როგორც მებაღის ძაღლია.

§ ავი ძაღლი არც თვითონ ჰამს, არც სხვას აკმევსო.

Faire comme saint Jean qui donnait le baptême sans l'avoir reçu.

— წმინდა ივანესავით მოკმედება, სხვას ნათლავდა, თითონ კი მოუნათლავი იყო.

§ სხვას ასწავლო ის, რაც თვითონ არ იცო.

Faire de la terre le fossé.

— მიწისგან ორმოს გაკეთება.

§ თხა ვიყიდე, თხა გაყიდე, სარგებელი ვერა ენახეო.

თხა იყიდა, თხა გაყიდა, რა წაავო, რა მიიგოო.

Faire des charres à sa femme.

— ცოლის მოტყუება.

§ ცოლის ღალატი.

Faire du cuir d'autrui large courroie.

— სხვის ანგარიშზე ხელგაშლილობა.

§ დათვი დათვს პატივობდა, სხვის ვენახში მიჰყავდაო.

სხვისი თხა სხვის ბაღჩაში ოდელიას 'იძახდაო.

სხვისი სახრე სხვის კამეჩზე ოროველას იძახდაო.

ჩიტები სხვის კალოზე ლეკურს უვლიდნენო.

სხვისი ხელით კინკარი ადვილი მოსათხრელიაო.

ხარი სხვისაო, სახრე ტყისაო.

Faire d'une mouche un éléphant.

— ბუზის სპილოდ მოჩვენება.

§ რწყილს კამეჩად მოგაჩვენებსო.

რწყილს დააწვენს და აქლემს აშობინებსო.

Faire d'une pierre deux coups.

— ერთი ქვის სროლა და ორისათვის მოხვედრება.

§ კვიცსაც გავხედნი და მამიდასაც ენახავო.

Faire et défaire, c'est toujours travailler.

— კეთება და გადაკეთება ორივე მუშაობაა.

§ რაც გინდა გააკეთე, უქმად ყოფნას სჯობიაო.

Faire plus de bruit que de besogne.

— ბევრი ლაპარაკი და ცოტას გაკეთება.

§ ენატარტარა— ხელებპატარაო.

ლაპარაკი ლაპარაკსა, ცხენი გაჰყვა ამხანაგსაო.

ლაპარაკ-ლაპარაკშიო, ღორი შევიდა ყანაშიო.

ამბავი ამბავს მამიყვა, ცხენი ქარავანს გამიყვაო.

როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო.

Fais ce que dois, advienne que pourra.

— გააკეთე რისი გაკეთებაც შეგიძლია (მოხდეს, რაც მოსახდენია).

§ რაც მოსახდენია, მოხდებაო.

რაც გამოსასვლელი სისხლია, უნდა გამოვიდესო.

გამოსაშვები სისხლი ღროზე უნდა გამოუშვავო.

გოგიაო, გოგიაო, რაც მოგივა, მოგივაო.

დასაკლავ ხარს რაღა ლოდინი უნდაო.

Faites cela, je vous servirai le jour de vos nocces.

— თქვენ ეს გააკეთეთ და ქორწინებისას მე მოგემსახურებით.

§ სამსახური სამსახურისათვისო.

მომფხანე და მოფუხანო.

Faites-vous miel, les mouches vous mangeront.

- თაფლად თუ გადაიქცევი, ბუზები შეგკამენ.
§ თაფლი იყოს და ბუზი ბალდადიდან მოფრინდებოდეს.
თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდან მოვაო.
ღოვი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდან მოვა და ჩაიხრჩვებაო.

Faute avouée est à demi pardonnée.

- აღიარებული შეცდომა ნახევრად შეწყენარებულია.
§ გულწრფელად აღიარებული შეცდომა კაცს ეპატიებაო.

Faute d'argent, c'est douleur nonpareille.

- ყველაზე დიდი უბედურება უფულობაა.

Faute de boeuf—contente—toi d'une âne.

- თუ ხარი არა გყავს, ვირით უნდა დაკმაყოფილდე.
§ უძალლო ქვეყანაში კატებს აყუფებდნენო.
თეირანს ქალი არ იყო, ვირს ვარდისახარს ეძახდნენო.
უხუცესო ქვეყანაში ყვავს ხუცესი დაუძახესო.
უთევზო ქვეყანაში კიბოს თევზს ეძახდნენო.
უპურო ქვეყანაში ქერი პურად მოიძებნებო.

Faute de bois, le feu s'éteint.

- უშეშობის გამო ცეცხლი ქრება.
§ ცეცხლს თუ არ შეუკეთებ, ჩაქრებაო.

Faute de mieux, le roi couche avec sa femme.

- უკეთესის უყოლობის გამო, მეფეს თავის ცოლთან სძინავს.
§ ღერბიანი ქალაღლის უქონლობის გამო, უბრალოზე ეწერთო.

Faute de grives on mange (on prend) des merles.

- როცა შაშვი არაა, ნამგალასაც კარგად ჭამენ.
§ უძალლო ქვეყანაში კატას აჩხაელებდნენო.
უპურო ქვეყანაში ქერი პურად მოიძებნებო.
თეირანს ქალი არ იყო, ვირს ვარდისახარს ეძახდნენო.
უხუცესო ქვეყანაში ყვავს ხუცესი დაუძახესო.
უთევზო ქვეყანაში კიბოს თევზს ეძახდნენო.

Faute de souliers, on va nu-pieds.

- ფეხსაცმლის უქონლობის გამო ფეხშიშველნი დადიან.
§ საბანი როგორც გაგიწვდეს, ფეხი ისე გაკიბეო.
საბანი ისე დაიხურე, როგორც გაგიწვდებოდესო.
ფეხს საბნისდაგვარ გაშლა უნდაო.
ღუქანში შედი ჭიბის-და კვალად, წაწე საბნის-და კვალადო.

Faute de pain on mange de la brioche.

- უპურობის გამო ფუნთუშას ჭამენ.

Faute d'un point Martin perdit son âne.

— ცოტა რამ დააბრკოლებს საქმის დამთავრებას.

‡ ზღვაში ლელი გახმა, რაკი ცის ნამი არ მთხედაო.

Faveurs, femmes et deniers font de vachers chevaliers.

— ქალებით, მოწყალებითა და ფულებით ყველაფერს მიაღწევ.

Femme de marin, femme de chagrin.

— მეზღვაურის ცოლს მძიმე ცხოვრება აქვს.

Femme prudente et bien sage est l'ornement du ménage.

— ფრთხილი და კვეიანი ქალი ოჯახის მშვენიერებაა.

‡ კვეიანი ქალი ოჯახის თვალაო.

ქკუამ მოქამა სოფელი, ამოღებულმა ხმაღმა—ვერაო.

კარგი ცოლის პატრონის სახლში მუდამ ქორწილაო.

კარგმა ქალმა ამოღებული ხმალი ჩააგებინა ქმარს, ავმა ქალმა შენახულა მოაღებინაო.

Femme querelleuse est pire que le diable.

— ანჩხლი დედაკაცი ეშმაკზე უარესია.

‡ ანჩხლი დედაკაცი (ცოლი) ქმარს კკუიდან შეშლისო.

ავი დედაკაცი და ეშმაკი—ორივე ერთაო.

Femme rit quand elle peut et pleure quand elle veut.

— ქალი იცინის, როცა შეუძლია, ხოლო ტირის, როცა—უნდა-

‡ ქალის ტირილს არ დაეჭვებო.

არა მჭამს რა დაცისა, არცა მოწმენდილი ცისა.

Femme sage reste à son ménage.

— კვეიანი ქალი ოჯახისათვის ყველაფერს აიტანს.

‡ კვეიანი ქალი ოჯახის თვალაო.

Fermer l'écurie lorsque les chevaux n'y sont plus.

— ცხენის დაკარგვის შემდეგ თავლის დაკეტვა.

‡ ჯარი წაიდა და თოფები მერე დასცალესო.

ერბო რომ გაღმოვა, ციცხესა და ჩამჩას ფასი დაეკარგებო.

ჯარი წავდა და თოფებს უტკაცუნებდნენო.

როცა გაქურდეს, პატარაღმა მერე დაკეტა კარიო!

Ferveur de novice ne dure pas longtemps.

— გამოუცდელი კაცის სიბეჭითე დიდხანს არ გასტანს.

‡ ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს კვიშასაო.

ახალი ცოცხი კარგად გვის, ბოლოს კაწვრა იცისო.

ახალი ცოცხაო.

Filer des jours de soie et d'or.

— ბედნიერი ხანის განცდა.

§ სიოცხლის განცხრომით გატარება.

Fille et ville qui parlementent sont à moitié rendues.

— ქალიშვილი და ქალაქი, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ ნახევრად აღუბულაა (დაპყრობილია).

Fin contre fin n'est pas bon à faire la doublure.

— ცბიერი ცბიერს ვერ შეეწყობა.

§ ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაიგებაო.

ორი ნესვი ერთ ხელში არ დაიჭირებაო.

ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერო.

ორი ჭამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებსო.

ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო.

Fol est qui dit tout ce qu'il pense.

— სულელი თავის ყოველ ნაფიქრალს იტყვის.

§ შაე ლუდსა, წითელ ღვინოსა, განა სუყველას სმა უნდა?

პირში მოსულსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?

Fol semble sage quand il se fait.

— სულელი ქვეანად გვეჩვენება, როცა დუმს.

§ გუეს ნურც ეტყევი და ნურც ათქმევინებო.

Fripons entre eux ne font pas leurs affaires .

— გაიძვერა გაიძვერასთან საქმეს ვერ გაჩარხავს.

§ ერთ ქარქაშში ორი ხანჯალი არ ჩაიგებაო.

ორი ნესვი ერთ ხელში არ დაიჭირებაო.

ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერო.

ორი ჭამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებსო.

ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო.

Fumée, pluie et femme sans raison chassent l'homme de la maison.

— როცა კვამლია, ჭერიდან წყალი ჩამოდის და ცოლი ამოსუნთქვის საშუალებას არ იძლევა, ქმარი ოჯახიდან გარბის.

§ წვიმა, კვამლი და ანჩხლი ცოლი ქმარს სახლდან გააქცევსო.

ანჩხლი ცოლი ქმარს ჭკუიდან შეშლისო.

G

Gai comme une porte de prison (ირონ.).

— სატუსაღოს კარივით მხიარული.

Garde (-toi) d'un Gascon ou Normand, l'un hâble trop et l'autre ment.

— ერიდეთ გასკონელსა და ნორმანდიელს, ერთი ტრაბახაა, მეორე კი—მატყუარა.

Garder quelque chose pour la bonne bouche.

— გემრიელ ლუქმას დესერტისთვის ინახავენ.

§ გემრიელი ბოლოსაო.

Garde-toi tant que tu vivras de juger les gens sur la mine.

— სანამ იტოცხვებ, ერიდე ადამიანების შეფასებას მათი გარეგნობის მიხედვით.

§ კაცი შეხედულებით არ გაისინჯებაო.

Gardez-vous de l'homme qui ne connaît qu'un livre.

— უფრთხილდით კაცს, რომელმაც მხოლოდ ბიბლია იცის.

Généreux du bien d'autrui.

— სხვისი ქონების ხარჭზე ხელგაშლილობა.

§ დათვი დათვის პატიეებდა, სხვის ვენახში მიჰყავდაოდ.

სხვისი პურით და მარილით ბატონს გაუმარჯოსო.

სხვისი ხელით კინკარი ადვილი მოსათხრელიაო.

სხვისი ხელით ჯობი მსუბუქი სასროლიაო.

Gens de bien aiment le jour et les méchants la nuit.

— კეთილ ადამიანებს დღე უყვართ, ავის მქნელებს—სიბნელე (ღამე).

§ ქურდს რა უნდა და—ბნელი ღამეო.

Glisser sur une pelure d'orange (sur une peau de banane).

— მარცხის განცდა უმნიშვნელო დაბრკოლების გამო.

Goute à goutte l'eau use la pierre.

— წვეთწვეთობით წყალი ქვას ხვრეტს.

Gouverne ta bouche selon ta bourse.

— ჭამა ქონებაზე ჰკიდია.

§ საბანი ისე დაიხურე, როგორც გაგიწვდებოდესო.

საბანი როგორც გაგიწვდეს, ფეხი ისე გაქიმეო.

ფეხს საბნისდაგეარ გაშლა უნდაო.

ღუქანში შედი ჯიბის-და კეალადო, წაწეე საბნის-და კეალადო.

კიაცელა რომ გველს წაეზმანებაო, გაწყდებაო.

ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო.

Gracieuseté et propreté valent mieux que sale beauté.

— თავაზიანობა და სისუფთავე სჯობია კუჭყიან სილამაზეს.

§ სისუფთავე იგივე სილამაზეაო.

სისუფთავე სილამაზეს უღრისო.

Grain à grain, la poule remplit son ventre.

- თითო-თითო მარცვლით ქათამი მუცელს ივსებს.
§ ცვარი ცვარს მიუმატე—ზღვად იქცევაო.
ცვარი ცვარს ეცა, ზღვად გადაიქცაო.
ზღვა წვეთობით გაივსოო.
თითო ცვარითა ტბა შედგაო.

Graissez les bottes d'un vilain, il dira qu'on les lui brûle.

- ბრიყვს ჩექმებს თუ გაუპოხავ, იტყვის—შიწეავენო.
§ ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.
შავ ღორს გინდ აღვა აფხანე, გინდ დაღმა დაფხანე, მაინც ღორიაო.
ღორი ზღვის ვალმაც ღორიაო.

Grande cage ne veut pas un petit oiseau.

- დიდ გალიას პატარა ჩიტო არ შეჟფერის.
§ დიდ ხეს დიდი ნაფოტი ავარდებო.
დიდ ფელამუშს დიდი გობი უნდაო.
დიდ გვალვას დიდი აედარი მოსდევსო.
დიდ ცეცხლს დიდი ბერვა უნდაო.
დიდ ქეაბს დიდი ქაფქირი უნდაო.

Grande fortune, grande servitude.

- სიმდიდრემ სიმშვიდე არ იცის.
§ ბევრი ფული, ბევრი დარღიაო.

Grand merci ne remplit pas la bourse.

- მადლობით ქისას ვერ აივსებ.
§ ყანას სიტყვებით არ თესავენო.
სიტყვა არც იქმევა და არც ისმევაო.
„შენი კირიმეთი“ შვილი არ გაიზრდებო.

Grand péché ne peut demeurer caché.

- დიდი ცოდნა არ დაიმალება.
§ კაცმა კირი მალა, მალა, კირმა თაეი არ დამალა.

Grand prometteur, petit donneur.

- ბევრის დამპირებელი და ცოტას მომცემი.
§ სიტყვით ყველაფერი, საქმით არაფერო.
როცა სიტყვა ხშირდებო, მაშინ საქმე მცირდებო.
ბევრი თქვა: ცოტა ქნიაო.
ენატარტარა—ხელგებატარაო.
ენატარტარა—საქმე პატარაო.

Grand vanteur, petit faiseur.

- დიდი მკვეხარა ცოტას გამკეთებელია.

§ კეხნა საქმეს არ აკეთებსო.
ბევრის მოქმელს ცოტას მოქმელმა აჯობაო.
სიტყვა ბარაქიანიო, საქმე ტალახიანიო.
ტაყატყუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არ ჩანსო.

Grêler sur le persil.

— სუსტებზე ძალის გამოჩენა.

Gros-Jean en remontre à son curé.

— სულელი ივანე თავის მღვდელს ჰკუას ასწავლიდა.
§ შვილიშვილი ბაბუას ძველ დროს ასწავლიდაო.
შვილი მამას თამაშს ასწავლიდაო.

Grosse tête, peu de sens.

— დიდი თავი დიდ ჰკუას როდი ნიშნავს.
§ თავი დიდი, ჰკუა მოკლეაო.

Guenille si l'on veut, ma guenille m'est chère.

— მართალია ძონძება, მაგრამ ჩემთვის ძვირფასიაო.
— დათვს თავისი მახრჩობელა უყვარდაო.

Guerre est bien forte quand les loups se mangent.

— მგელი მგელს არ დაინდობსო.

Guerre et pitié ne s'accordent pas.

— ომი და სიბრალული შეუთავსებელია.
§ ომს სისხლი უყვარსო.

Guetter sa proie comme un chat guette la souris.

— ნადავლის ისე დადარაჯება, როგორც კატა თავეს უდარაჯებს.

Gueux comme un rat d'église.

— ეკლესიის ვირთხასავით ღარიბი.
§ ცარიელ-ტარიელიაო.
სულს იქით არათფერი აბადლაო.

H

Habit de velours, ventre de son.

— ხავერდი კი აცვია, მაგრამ შიმშილით კუჭი უხმება.
§ გარედან მტერს უბრმავებს თვალებს, შიგნიდან—მოყვარესო.
შორიდან მტერს მოუკლავს გულს, ახლოდან მოყვარესო,
ფერი ღალისა, გემო წყალისაო.
ზევით ზიზილ-პიპილიო და ქვევით ტანი ტიტველიო.
ზევით ღობილ-ძმობილიო, ქვევით გამოწყობილიო.

Hardiment heurte à la porte qui bonne nouvelle y apporte.

— კარგი ამბის მომტანი, კარსაც გაბედულად შემოაღებს.
‡ კარგი ამბის მომტანი ღიდ გულზეაო.

Hasard n'est pas sans danger.

— რისკი ხიფათთან არის დაკავშირებული.
‡ ალაღბელზე ცხოვრება, არცხოვრებისთანა არისო.
‡ მოულოდნელი კუნძი ურემს გადააბრუნებსო.

Heure du matin, heure du gain.

— დილის საათი, მოგების საათია.
‡ ადრე ამდგომი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარა—თვალებს იფშენვტსო.
‡ ადრე ამდგომი შორს წაეაო.
‡ ვინც დილას ადრე დგება, საშოვარს შეხედებაო.
‡ ადრე ამდგომსა ყმაწვილსა, ღმერთი უშზადებს საღილსაო.
‡ ადრე ამდგარსა კურღლელსა ვერ დაეწევა მწევეარიო;

Heureux au jeu, malheureux en amour.

— ვისაც ბანქოში ბედი სწყალობს, ის სიყვარულში უიღბლოა.
‡ ბანქოში ბედნიერი, სიყვარულში უბედურიო.

Homme affamé ne pense qu'à pain.

— შშიერი კაცი მხოლოდ პურზე ფიქრობს.
‡ შშიერი ქათამს ყველგან ფეტვი ელანდებოდაო.
‡ მელას ძილშიაც ქათამი ესიზმრებოდაო.
‡ წიწილას ფეტვის მარცვალი ელანდებოდაო.

Homme chiche n'est jamais riche.

— ძუნწი კაცი ვერასოდეს გამღიდრდება.
‡ ძუნწი მაინც ღარიბია, გინდ კქონდეს და გინდ არაო.

Homme seul est viande à loup.

— მარტოხელა კაცი მგლის ღუკმაა.
‡ ძალა ერთობაშიაო.
‡ მარტოხელა კაცი კამაშიაც ბრალაო.
‡ ერთი კამაშიც შესაბრალისაო.
‡ ორი კაცი ერთ კაცზე ღაშქარაო.

Honni soit qui mal y pense.

— რცხენოდეს მას, ვინც ამაზე ცუდი იფიქროს.
(ინგლისური წვივსაკრავის ორდენის დევიზი).

Ici les conseillers n'ont point de gages.

— დაუპატრეებელი მრჩეველები საჭირო არაა.

§ არამკითხე მიაშვეო, მიტყიპე და მიაგდეო.

Il cherche son âne et Il est monté dessus.

— კაცი სახედარს დაეძებდა და თვითონ ზედ იჭდა.

§ კაცი ცხენზე იჭდა და ცხენს დაეძებდაო.

კაცი დათვის კვალს ხედავდა და მის კვალს დაეძებდაო.

დათვის ხედავდნენ და კვალს ეძებდნენო.

ცხენი ვნახე, კვალი ვერაო.

კვალს რას ეძებ, აი, ნადირიო.

Il croit qu'il m'y a qu'à souffler et à remuer les doigts.

— ის თქობს, რომ ერთი დასტყენა საჭირო, რათა ყველაფერი თავისთავად გაკეთდეს.

Il a beau se taire de l'écot qui rien n'en paie.

— ნაჩუქარ ცხენს კბილებში არ ჩახედავენ.

§ ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო.

Il a du crédit comme un chien à la boucherie.

— მისთვის ისე არ შეიძლება მინდობა, როგორც მგლისათვის—ფარეხის მინდობა.

§ მგლისათვის ცხვარი ვის მიუბარებიაო.

Il a engrené, c'est à lui de moudre.

— მარცვალი იმან უნდა დაფქვას, ვინც ჩაყარა.

§ ვინც კამსო, ის ზღვაესო.

ძალი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო.

ვინც ძალს მოკლავს, იმასვე გადათრევენებო.

ვინც „ანი“ თქვა, იმან „ბანიც“ უნდა თქვასო.

Il a été déferré des quatre pieds.

— ოთხივე ფეხზე ნალი აპყარეს.

§ ორთავე ფეხით გაება მახეშო.

Il aimerait une (il serait amoureux d'une) chèvre (chienne) colffée.

— ის მზად არის, ყველა ქალს გამოეკიდოს.

§ ჭობს რომ კაბა ჩამოაცვა, ისიც კი მოეწონებაო.

ქალების მოყვარულიაო.

დიდი დონეუანიაო.

Il a mangé de plus d'un pain.

— მას ბევრი პური აქვს ნაჭამი.

§ ბერის მომსწრე ვარო.

ჩემს თავზე მართო წისქვილის ქვა არ დატრიალებულაო.

Il a ouï braire une vache et il ne sait où.

— გაუგონია ძროხის ბლავილი, მაგრამ არ იცის, სად.

§ გაუგონათ, ალია მომკედარაო, ის კი არ იციან, რომელი ალია.

გაუგონათ, ზარს რეკავენო და ის კი არ იციან. რომელ ეკლესიაშიო.

გაუგონათ ალია მომკედარაო, ის კი არ იციან, თავი საით უქნეს.

Il arrive beaucoup de choses entre la bouche et le verre.

— გაუთვალისწინებელმა ვითარებამ შეიძლება ყველაფერი შეცვალოს.

§ კაცი ბჭობდა, ღმერთი აცინოდაო.

კაცი ფიქრობდა, ღმერთი გულს აცინებდაო.

Il arrive comme un chien dans un jeu de quilles.

— ისე მოვიდა, როგორც ძაღლი კეგლის თამაშობისას.

§ დაუპატიებელს სტუმარი ძაღლზე უარესიაო.

დაუპატიებელ სტუმარს აბუჩი ჰქვიაო.

დაუპატიებელ სტუმარს აბუჩად აიგდებენო.

Il attend que les alouettes lui tombent toutes rôties dans la bouche.

— ელის, როდის ჩაუვარდება შემწვარი ტოროლა პირში.

§ თავისით არაფერი მოვაო.

წყალი რომ წყალია, იმასაც მოტანა უნდაო.

Il en faut autant qu'il faut de pelotes de neige à chauffer un four.

— ეს საესებით გამოუსადეგარია.

§ ეს ისეა საჭირო, როგორც ცხენისათვის მეხუთე ფეხიო.

Il en porte le nom, mais n'en mange pas les chapons.

— ის პასუხს აგებს, მაგრამ არავითარი უპირატესობით არ სარგებლობს.

§ სახელი ჩემი, სახრავი სხვისიო.

Il est aisé d'aller à pied quand on tient son cheval par la bride.

— ადვილია ფეხით სიარული, თუ ცხენი ხელზე გამობმული გყავს.

§ იმედნანი შიმშილიც კარგიაო.

ცხენის მოლოდინში კაცი სიარულით არ დაიღლებო.

Il est bête à manger du foin.

— ისე სულელია, რომ შეიძლება თივა ჰამოს.

§ ბატისტინააო.

დიდი ნიჭის პატრონი არ არისო.

დიდი ჰკუის არ არისო.

Il est bien de son village.

— მან არაფერი იცის; (ის მიამიტო აღამიანია).

§ ცხვირს იქით ვერაფერს ამჩნევსო.

Il est bien larron qui larron dérobe.

— ეშმაკია ის ქურდი, რომელიც ქურდს მოპარავს.
§ ქურდმა ქურდს მოპარა და ღმერთმა გაიცინაო.

Il est bon d'avoir des amis partout, en paradis et en enfer.

— მეგობრის ყოლა ყველგან კარგია, როგორც სამოთხეში, ისე — ჯოჯოხეთში
§ მეგობარი თვალთა სინათლეაო.
მეგობარი ნუ გძულსო, ნაშოვარი ნუ გშურსო.
მეგობარი შენი სახელიაო.
კარგი მეგობრობა კარგი ძმობის დარაო.

Il est bon de tenir à deux ancrés.

— ორი ღუზა ხომალდს კარგად იჭერს.
§ ორი ძალღს ლომის გაქცევაც შეუძლიაო.
ძალა ერთობაშიაო.
ცალი ხელით ტაში არ დაიყვრისო.

წისქვილს ქვეა რაჟ ერთჟანეთს არ ეხმარებოდნენ, ცალი ვერაფერს დაჟქავსო.

Il est bien partout où il n'est pas.

— ყველგან კარგია, სადაც ის არ არის.
§ ყველგან კარგია, სადაც ჩვენ არ ვართო.

Il est chargé d'argent comme un crapaud de plumes.

— ის ძალიან ღარიბია.
§ ეკლესიის თავცივით მშვიერიაო.
შიღის, მოღის ტარიელი, მუცელი აქვს ცარიელიო.
სულს იქით არაფერი აბადლაო.
შინ კატა ვერაფერს შეუჭამს და გარეთ ძალღო.

Il est comme la mule du pape qui ne boit et ne mange qu'à ses heures.

— ის მამის ჭამს და სვამს, როცა მოეპრიანება.

Il est cousu d'argent.

— ის ფულეებითაა ნაკერი.
§ ფული ჩეჩქივითა აქვსო.
ქერის ორმოშია ჩაეარდნილიო.

Il est des sots de tout pays.

§ სულელი სულელად დარჩებაო.
ვარსკვლავებთაც რომ შემოსო, ვირი ვირად დარჩებაო.
არ გათვთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა.
ვირის თოფრამ თეირანი მოიარა, ისევე თოფრად დარჩაო.
ვირის ცხრა სკოლა გამოატარეს, ისევე ვირი იყოო.

Il est jeune que si on lui pressait le nez, il en sortirait du lait.

— ის ძალიან ახალგაზრდაა, ტუჩებზე ჭერ რძე არ შემორობაო.

Il est là comme rat en paille.

— თავს ისე ვრძნობს, როგორც ვირთხა ჩალაში.

§ ქერის ორმოში ჩავარდაო.

ერბოს ქილაში ჩავარდაო.

Il est plus facile de gouverner un royaume qu'une femme.

— სახელმწიფოს მართვა უფრო ადვილია, ვიდრე—საკუთარი ცოლის.

Il est plus facile de tomber que de se relever.

— დაცემა უფრო ადვილია, ვიდრე წამოდგომა.

Il est plus facile de menacer que de tuer.

— დამუქრება უფრო ადვილია, ვიდრე მოკვლა.

§ რომელი ძალლიც არ კბენს, შორიდან იყეფებაო.

მჩხავანა კატა თავს ვერ დაიპერსო.

ძალლი იყეფებს, იყეფებს, დაილლება და დაღვებაო.

Il est riche qui est content.

— მდიდარი ის არის, ვინც ბედით კმაყოფილია.

Il est toujours congé pour les paresseux.

§ ზარმაცისათვის ნიადაგ უქმეაო.

უსაქმო კაცისათვის ყოველდღე უქმეაო.

Il est tout cousu des pistolets.

— ის ფულეებითაა ნაკერი.

§ მის ბედს ძალლი არ დაყვებსო.

ქერის ორმოში ჩავარდაო.

Il est rûeux comme un rat d'église.

— ეკლესიის ვირთხასავით ლატაკაა.

§ მიდის, მოდის ტარელი, მუცელი აქვს ცარელიო.

სულს იქით არაფერი გააჩნაო.

შინ კატა ვერაფერს შეუჭამს და გარეთ ძალლიაო.

Il fait bon aller à pied quand on tient son cheval par la bride.

— ფეხით სიარული მაშინაა კარგი, თუ ცხენი ადვირით მიყვავს.

§ იმედნანი შიმშილიც ვარგაო.

ცხენის მოლოდინში კაცი სიარულით არ დაიღვებაო.

Il fait bon faire fête après besogne faite.

— ჭერ საქმე გააკეთე, შემდეგ—გაოსეირნე.

§ ჭერ სწავლა, მერე გავლაო.

Il fait toujours bon tenir son cheval par la bride.

- შენი ცხენის სადავე ყოველთვის მაგრად უნდა გეჭიროს.
- ‡ შენი საკუთარი საქმის ამბავი შენ უნდა იცოდეთ.

Il faut apprendre à obeir pour savoir commander.

- ჯერ დამორჩილება უნდა ისწავლო, თუ გინდა მბრძანებლობა იცოდე.
- ‡ ვინც დამორჩილება იცის, იმას მბრძანებლობაც შეუძლიაო.

Il faut aimer ses amis avec leurs défauts.

- მეგობრები უნდა გიყვარდეს თავიანთი ნაკლოვანებებით.

Il faut avoir mauvaise bête par douceur.

- ბოროტი ადამიანი სათნოებით უნდა დამორჩილო.
- ‡ გველსა ხერელთ ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო.
- ‡ ტკბილი სიტყვითა მთას ირემი მოიწველაო.
- ‡ კვანძა ბატკანმა ორი დედა მოწოვაო.
- ‡ ტკბილი ენის მქონე კრავმა დედაც მოწოვა და არადედაცაო.
- ‡ ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო.

Il faut battre le fer pendant qu'il est chaud.

- ‡ რკინა სანამ ცხელია, მანამ გაჭედეთ.
- ‡ თონე როცა ცხელია, პური მაშინ იყვრისო.
- ‡ სანამ კეცი ხურს, ცომი დააკარო.
- ‡ სანამ თონე ცხელია, პურ მანამ ჩააკარო.
- ‡ ცივი თონე პურს არ დაიკრავსო.

Il faut bien faire et laisser dire.

- დაე, ილაპარაკონ, შენ შენი საქმე აკეთე.
- ‡ ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.
- ‡ წისქვილს ჩემი ეყაროს და ვინც რა უნდა თქვასო.
- ‡ ვინც რა უნდა თქვასო, ჩვენ კი ჩვენი ვქნათო.

Il faut bien se baisser où l'on ne peut se tenir debout.

- სადაც ფეხზე დგომა არ შეიძლება, სჯობს მოიხარო.
- ‡ თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო
- ‡ სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგანო.

Il fait bon faire la fête après la besogne faite.

- სეირნობა საქმის დამთავრების შემდეგ უნდა.
- ‡ ჯერ შრომა, მერე ხტომაო.
- ‡ ჯერ სწავლა, მერე გავლაო.

Il faut coudre la peau du renard à celle du lion.

- საჭიროა შეაერთო მელისა ეშმაკობა და ლომის გულადობა.
- ‡ ძალა მდევისა, გახტომა ფურ-ირემისაო.

Il faut donner (il faut laisser) quelque chose au hasard.

— ყველაფერს წინასწარ ვერ გაითვალისწინებ.

Il faut écorcher l'angille quand on le tient.

— გველთვეზა მანამ უნდა გაატყავო, სანამ ხელში გიჭირავს.

§ თონე როცა ცხელია, პური მაშინ იკერისო.

სანამ თონე ცხელია, პური მანამ ჩააქარო.

სანამ კეცი ხურს, ცომი დააქარო.

ცივი თონე პურს არ დაიქრავსო.

Il faut garder une poire pour la soif.

— წყურვილის დასაკმაყოფილებლად ერთი მსხალი უნდა შემოინახო.

§ ახალგაზრდობით მოგებული, სიბერის ღროს ხმალიაო.

სიჭიელთ მოგებული, დაკეცილი ჭამხაო.

ფლანგეთ თუ იცხოვრე ახალგაზრდობისას, შიმშილთ მოკედები სიბერისას.

Il faut faire le pas selon la jambe.

§ ფეხი იქამდის გაქიმე, სადამდისაც საბანი გაგწედსო.

როგორც საბანი გაგწედეს, ფეხი ისე გაშალეო.

ფეხს საბნისდაგეარად გაშლა უნდაო.

Il faut hurler avec les loups.

— უნდა იღმუველო, თუ მგლებთან მოხვდი.

§ სადაც მიხვიდე, იქაური ქული დაიხურეო.

რომელ ქვეყანაშიც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქული დაიხურეო.

მგლებში მაცხოვრებელი ღმუილს ისწავლისო.

Il faut être compagnon de sa femme et maître de son cheval.

— ცოლს აღერსიანად უნდა მოეპყრო, ცხენს—მკაცრად.

Il faut être marchand ou larron.

— ვაჭარი პატიოსანი უნდა იყოს.

Il faut finir par un bout.

— სიკვდილს ვერ დაემალები.

§ ყველა სიკვდილის შეილიაო.

Il faut laisser les morts en paix.

— მკვდრები ცუდად არ უნდა მოიხსენიო.

§ მკვდარსაც კი დაასვენებენო.

Il faut laisser parler.

— ლაპარაკი უნდა აცალო.

§ თუ დამაცლი, მახარა ვარ, თუ არა და—მასხარაო.

თუ მკითხავ მიხა ნქეა, თუ არა და—მიხრინკეო.

Il faut iier e sac avant qu'il soit plein.

— სურვილს გაზომიერება უნდა, დროზე უნდა შეიოკო.

Il faut laisser chacun vivre à sa guise.

— დაე, ყველამ თავისებურად იცხოვროს.

Il faut louer la mer et se tenir en terre.

— ზღვა აქე და ხმელეთზე დარჩი.

‡ სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

Il faut payer qui veut acheter.

— ვინც ყიდულობს, საფასურსაც ის იხდის.

‡ ვინც ძალს მოკლავს, იმანვე გადაათრიოსო.

ვინც კამსო, ის ზღავსო.

ვინც რომ ასეა არაყო, მისი სახლის ალაგო.

თუ ლხინი გვინდა ამქვეყნად, კირიცა შევიწყნაროთა.

Il faut placer le clocher au milieu de la paroisse.

— ეკლესიის ზარი მრევლის შუა ადგილას უნდა მოთავსდეს.

‡ ადათია და წესია, ფეტვი ნახნავეში თესიაო.

ჩვენში ასეთი წესია, ფეტვი ალაგზე თესიაო.

სადაც მინახავს წისქვილი, წყალზე მინახავსო.

სადაც გამიგონავე—წისქვილი წყალზედაო. .

Il ne faut point chômer les fêtes avant qu'elles soient venues.

— ნუ გიხარია დღესასწაულები, სანამ არ მოვა.

‡ ფონი გასავალსაო.

ფონი გასვლის შემდეგ უნდა აქოო.

ფონი გასავალს დალოცოო.

Il faut prendre le bénéfice avec la charge.

— შემოსავალი თავისი ხარჯით უნდა აიღო.

‡ ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო.

მეთევზეს თევზი უნდაო, ფეხი სველი უნდაო.

მეთევზეს საჯდომი სველი უნდაო.

თუ ლხინი გვინდა ამქვეყნად, კირიცა შევიწყნაროთა.

ვინც კამსო, ის ზღავსო.

Il faut puiser tant que la corde est au puits.

— უნდა იმოკმედო, სანამ ხელსაყრელი პირობებია.

‡ თონე როცა ცხელია, პური მანამ იკვრისო.

სანამ თორნე ცხელია, პური მანამ ჩააქაროო.

Il faut que chacun garde sa queue.

- ყველამ თავის საკუთარ კუდს მოუაროს.
§ ყველამ საკუთარ თავს მოუაროსო.
არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო.

Il faut que jeunesse se passe.

- ახალგაზრდობამ ახალგაზრდობა უნდა ნახოს.
§ ახალგაზრდა გადაირეყა, ღრო მოეა—დადინჯდებო.

Il faut mesurer son vol à ses ailes.

- გაფრენა ფრთების შესაბამისად უნდა მოზოძო.
§ საბანი ისე დაიხურე, რომ ფეხებამდე გაგწედესო.
კაცმა ფეხი ისე უნდა გაკიმოს, საბანს გარეთ არ დარჩესო.
კამა ქონებაზე ჰკლდაო.
ღუქანში შედი ჯობის-და კვალადო, წაწეკ საბნის-და კვალადო

Il faut que le prêtre vive de l'autel.

- მღვდელი ეკლესიის შემოსავლით უნდა ცხოვრობდეს
§ ყველამ საკუთარი შრომით უნდა იცხოვროსო.

I faut que tout le monde vive.

- საჭირია ყველამ იცოცხლოს.
§ შენც იცოცხლე, მეც მაიცოცხლო.
შენი სვი და შენი კამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო.

Il faut qu'on l'ait (qu'il a été) changé en nourriture

- ალბათ აქენაში შეეცვალათ (არც ღედანა ჰკავს და არც მამას).

Il faut qu'un menteur ait bonne mémoire.

- მატყუარას კარგი მენსიერება უნდა ჰქონდეს.
§ ტყუილს მოკლე ფეხი აბიაო.
ტყუილს ყველგან კუდი გარეთა რჩებაო.
ტყუილს გრძელი კუდი და მოკლე ფეხები აბიაო.

I faut qu'une porte soit ouverte ou fermée.

- კარი ან ღია უნდა იყოს, ან დახურული.
§ ან ვირი უნდა გახდეს, ან ვირის პატრონიო.

Il faut reprendre le poil de la bête.

- რამაც გაწყინა, იგივე მოვარჩენსო.
§ რაც გატყენს, ის მოვარჩენსო.
ძაღლის ნაკბენს, ძაღლის ბალანივე მოვარჩენსო.
ქვა ქვის წამალიაო.
ნაქვევის წამალი ქვა არისო.

Il faut rire avec ceux qui rient et pleurer avec ceux qui pleurent.

— მტირალეთთან უნდა იტირო, მცინარებთან კი იცინო.

§ სადაც მიხვიდე იქაური ქული დაიხურეო.

რომელ ქვეყანაშიც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქული დაიხურეო.

მგლებში მაცხოვრებელი ღმუილს ისწავლისო.

Il faut saisir l'occasion aux cheveux.

— შემთხვევას თმაში უნდა ჩააელო ხელი.

§ დაინახო მელია—თოფი მოარტყიო, დაიჭირო—ტყავი გააძრეო—

Il faut se défier de son premier mouvement.

— ნუ აპყვები პირველ გულის წადილს.

§ ნუ აჩქარდებო.

აჩქარებულის დედა ტიროდა, დინჯისა—იციოდლაო.

ვინც გაიქცა, ის წაიქცა.

წინ წასული თხაო—უკან დარჩებო.

Il faut avoir son linge sale en famille.

— ჭუჭყიანი სარეცხი საკუთარ სახლში უნდა გაირეცხოს.

§ შინაური ამბის გარეთ გატანა არ შეიძლებაო.

Il faut se lever bien matin pour le surprendre.

— დილით ადრე უნდა ადგე, რომ მიუხსწრო.

§ ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწვევარიო.

ადრე ამდგომი შორს წავაო.

ადრე ამდგომი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარე—თვლებს იფშენეტსო—

ადრე—ამდგომს უხაროდეს, გვიან—მოსადილესაო.

Il faut semer pour récolter.

— უნდა დათესო, რომ მოიმკო.

§ რასაც დათეს, იმას მოიმკო.

Il faut souffrir ce que l'on ne peut empêcher.

— რისი მოშორებაც არ შეგიძლია, უნდი აიტანო (მას უნდა გაუძლო)—

Il faut tailler le menteau selon le drap.

— პალტო მაუდის მიხედვით უნდა გამოჭრა.

§ საბანი ისე დაიხურე, რომ ფეხებამდე გაგწვედესო.

კამა ქონებაზე ჰკიდიაო.

დუქანში შედი ჯიბის-და კვალადო, წაწეე საბნის-და კვალადო.

კაცმა ფეხი ისე უნდა გაკიშო, საბანს გარეთ არ დარჩესო.

Il faut tendre voile selon vent.

— აფრა ქარის შესაბამისად უნდა გაიშალოს.

§ ხიდი წყლის ზომა უნდა იყოსო.

ქამა ქონებაზე ჰკილაო.

ქამა-სმა ქონებამ იცისო.

ქამა ღებასა ჰკილაო.

Il faut tondre la brebis sans l'écorcher.

— კრავი ისე უნდა გაკრიჭო, რომ ტყავი არ გაეაწრო.

§ ერთი საქმე ისე უნდა გააკეთო, რომ მეორე არ გააფუქოსო ერთი საქმე რომ გააკეთო, მეორე არ უნდა გააფუქოო.

Il faut tourner sept fois sa langue dans sa bouche avant de parler.

— ენა შეიღჯერ უნდა მოატრიალო პირში ლაპარაკის დაწყებამდე.

§ სიტყვას თქმამდე დიდი აწონ-დაწონვა უნდაო.

ბეერის მთქმელს ცოტას მთქმელმა აჯობაო

სიტყვამ ცხრა კარი უნდა გაიაროსო.

ასკერ გაზომე, ერთხელ გასქერიო.

წლის საფიქრებელი და წამის საკეთებელიო.

Il faut travailler en jeunesse pour reposer en vieillesse.

— უნდა იმუშაო ახალგაზრდობისას, რომ დაისვენო მოხუცებულობისას.

§ ახალგაზრდობით მოგებული სიბერის დროს ხმალიაო.

ყმაწვილობით მოგებული დაკეცილ ქამხალ ითქოო.

სიყიელით მოგებული ფული დაკეცილი ქამხაო

Il faut travailler qui veut manger.

— ვისაც ქამა უნდა, უნდა იმუშაოს.

§ ვინც არ გაირჩებაო, პურსაც ვერ მისწვდებაო.

ვინც აიკიდა გოდორი, იმანე შექამა კოტორიო.

ვინც არ შრომობს, არცა ქამსო.

ასწიე გოდორსაო, დაკმეიქე კოტორსაო.

ვისაც თეუზი უნდაო, ფეხიც სველი უნდოდესო.

Il faut trois sacs à un plaideur, un sac de papier, un sac d'argent et un sac de patience.

— მოდავეს სამი რამ სჭირდება: ქალაღი, ფული და მოთმინება.

Il faut une aiguille pour la bourse et deux pour la bouche.

— საფულესთვის ერთი ნემსია საჭირო, პირისთვის—ორი.

§ ენას კბილი დააჭირეო.

სიტყვის თქმასაც თავისი ზომა აქესო.

სიტყვის თქმაც რიგით არისო.

Il faut un temps à ne pas laisser un chien (à ne pas mettre un chrétien) dehors.

— ისეთი ცული დარია, რომ პატრონი ძაღლს არ გააგდებს გარეთ.

Il faut vieillir ou mourir jeune.

— თუ დაბერება არ გინდა, ახალგაზრდა უნდა მოკვდე.

§ სიბერეს ვერ ასცდებო.

Il faut vivre à Rome comme à Rome.

— რომში რომაულად უნდა იცხოვრო.
§ სადაც მიხვიდე, იქაური ქული დაიხურეო.

Il dit cela de bouche, mais le coeur n'y touche.

— ის ამას პირით წარმოთქვამს, მაგრამ გული უარს ამბობს.
§ ერთს ამბობს და სხვას კი ფიქრობსო.

Il lui revient du bien lorsqu'il n'a plus de dents.

— მაშინ გამდიდრდა, როცა კბილები აღარა აქვს.
§ მოლა კედებოდა, ფლავი მაშინ ჩააყარეს პირშიო.
მოლა რომ მოკვდა, ფლავი მაშინ მიუტანესო.
მოლა მოკვდა და საფლავში ფლავი ჩააყარესო.
ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანო.
ცოცხალს იმღურებენ და მკვდარს იმადლიერებენო.

Il mourrait plutôt quelque bon chien de berger.

— მწყემსს კარგი ძაღლი უფრო აღრე მოუკვდება, ვიდრე—ცუდი.
§ კირი მართალსაო.

Il n'aura pas de langue pour la moitié de sa vie.

— თუ ასე ბევრს ილაპარაკებს, მას არ ეყოფა სიტყვები სიცოცხლის ბოლომდე..

Il n'a qu'a s'en lécher les barbes.

— ისლა დარჩენია, ნერწყვი ყლაპოს.
§ ჭამამ ვერ გამაძლო, ლოკვა რას გამაძლებსო.
ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო.
ლოკვით ვინ გამძლარა, თუ არა ჭამითაო.

Il ne faut jamais juger une affaire sur l'étiquette du sac.

— საქმეზე წარწერის მიხედვით არ უნდა იმსჯელო.
§ ღორმა თქვა: დამკარ და დამაფასეო.
ლორი როცა დაიკვლება, მისი წონა მაშინ გამოჩნდებაო.
პურის გამოცხოზამდე ფქვილი არ შეფასდებაო.

Il ne faut jamais remettre au lendemain ce qui peut être fait le our même.

— ნუ გადასდებ ხვალისათვის იმას, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია..
§ დღევანდელ საქმეს სახელოდ ნუ გადასდებო.
დღე-მეხვალე კაცსაო თოვლი მოუვა კარსაო.
მედღეხვალეს ხან უთოვს, ხან უწვიმსო.
დღესხვალობით თოვლი მოვდიო.
გადადებული საქმე გადაგდებულიაო.

Il ne faut pas aller à la guerre qui craint les horions.

— ესაც მჯიღის ეშინია, ომში არ უნდა წაეიდეს.
§ ესაც რახა-რუხი ეზარება, სამკედლოში ნუ შევაო.

თავგო, კატისა გეშინია და სოროდან კი ძვრებიო.
ნუ შეხვალ—ნუ ებანები, ნუ გამოხვალ—ნუ თრთოო.

Il ne faut pas atteler les ânes avec les chevaux.

— ეირები ცხენებთან ერთად არ უნდა შეაბა.
§ ბედაურ ცხენს. გაკრეპულ კეიცს არ შეუჭობრებენო.
სადაც შეეარდენი ბუღობს, მწყერი ვერ გაიხარებსო.
შევარდნის ახლოს ქედანი ვერ იბოგინებსო

Il ne faut pas badiner avec le feu.

§ ცეცხლთან ხუმრობა არ შეიძლებაო.
ცეცხლი და წყალი არც ერთი სანდო არ არისო.
ცეცხლს ნუ ეხუმრები და წყალს ნუ ერწმუნებო.
ცეცხლის პატარა ნაპერწყალი მთელ ხორას გადასწვავსო—

Il ne faut pas bâtir sur le sable.

— ქვიშაზე აგება არ შეიძლება.
§ ქვიშაზე აგებული მყარი ვერ იქნებაო.

Il ne faut pas courir deux lièvres à la fois.

— ერთდროულად ორ კურდღელს არ უნდა გამოედევნო.
§ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.
ერთი ძაღლი ორ კურდღელს ერთად ვერ დაიჭერსო.
ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერო.
ორი ნესვი ერთ ხელში არ დაიჭირებაო.
ერთ ქარქაშში ორი ხანჭალი არ ჩაიგებათ.
ორი ჯამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებსო.

Il ne faut éveiller le chat qui dort.

— მძინარე კატა არ უნდა გამოაღვიძო.
§ ნაგყარს რომ სოფიე მოაგონო, ისევე გააფლდებაო.
ნაგყარს სოფიე არ მოაგონო, თორემ კიდევე გააფლდებაო—

Il ne faut pas juger les gens par la mine.

— კაცი გარეგნობით არ შეფასდებაო.
კაცი შეხედულებით არ გაისინჯებაო.
სახით მღვდელიო, საქმით მგელიო.

Il ne faut jurer de rien.

— ნურც დაიფიცებ, ნურც დაიჩემებ.
§ ნუ დაპირდები იმ დათვის ტყავს, რომელაც არ მოგიკლავსო—
სიბერემდის სიქარლეს მოელოდეო.
რასაც არ ფიქრობ, ის მოხდებაო.

Il ne faut pas changer d'attelage au milieu d'un gué.

— შუა ფონში ცხენი არ უნდა შეცვალო.

§ კრიტიკულ მომენტში გეგმა არ შეიცვლებაო.

Il ne faut pas chanter victoire avant le temps.

— გამარჯვებას მისი მოპოების შემდეგ უნდა უმღერო.

§ ფონი გასაეალს დალოცეო.

ზეცას წერო მიფრინადა, ძირსა თლიდნენ შამფურებსო.

ბავშვი არ დაბადებულყო, აბრამს არქმევდნენო.

ფონი გასელის შემდეგ უნდა აქოო.

დათვის მოკვლამდე, მის ტყავს ნუ გაყიდო.

Il ne faut pas chanter avant la victoire.

— გამარჯვებამდე გამარჯვება არ უნდა იდღესასწაულო.

§ ბავშვი არ დაბადებულყო და აბრამს არქმევდნენო.

ფონი გასაეალს დალოცეო.

ფონი გასაეალსაო.

ქერ თხრილზე გადახტი და მერე თქვი: ყოჩალი ვარო.

Il ne faut pas clocher devant le boiteux.

— კოკლის დასანახავად არ უნდა იკოკლო.

§ უბედურ კაცთან უბედურებაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო.

ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკი არ იხსენებო.

Il ne faut pas courroucer la fée.

— ფერია არ უნდა გააჩავრო.

Il ne faut pas défier les fous.

— სულელი სანდო არ არის.

§ სულელისათვის კანონი არ არსებობსო.

სულელს ჭკუა არ მოეთხოვებაო.

Il ne faut pas dire: Fontaine, je ne boirai de ton eau.

— არ უნდა თქვა: ამ წყაროს წყალს არ დავლევო.

§ ნუ ჩააფურთხებ წყაროში, თორემ კიდევ მოგწყურდებაო.

ყველა წყალში რომ ჩააფურთხო, რომელიღა უნდა დალიოო.

ქაჩალიც მივა დალაქთანაო.

ქაჩალი ისე არ მოკედება, დალაქი არ დასკირდესო.

სიმაძღრით საგზალს ნუ დატოვებ და სიღარით მოსასხამსაო.

Il ne faut pas disputer des goûts.

— გემოვნებაზე არ დაობენ.

§ ყველას განსხვავებული გემოვნება აქესო.

კაცა და გუნებაო.

ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს—მღვდლის ცოლიო.

ზოგს მეფე ეყვარება, ზოგს—დედოფალიო.

Il ne faut pas émouvoir les frélons.

— კრაზანა არ უნდა გააღზიანო.

Il ne faut pas faire crier la vache avant que de la traire.

— ხმაური დროზე ადრე არ უნდა ატეხო.

§ ჭერ ფონს იკითხავენ და შერე წყალში შევლენო.

ნუ შეტოპავ, ვიდრემდის საფონო აღვიღს არ ნახავო.

Il ne faut pas juger la marchandise sur l'étiquette du sac.

— საქონელზე იარლიყის მიხედვით მსჯელობა არ შეიძლება.

Il ne faut pas laisser de semer par crainte des pigeons (on ne laisse pas de semer, quoiqu'on craigne les pigeons)

— მტრედების შიშით თესვას თავს არ ანებებენ.

§ ვისაც ფოთლის შრიალის ეშინია, ტყეში არ უნდა შევიდესო.

ვისაც მგელის ეშინია, ტყეში არ უნდა წავიდესო.

Il ne faut pas manger son blé en herbe.

— მოწვეამდე ხორბლის კამა არ შეიძლება.

§ მოსავალს მოცდა უნდაო.

Il ne faut pas mesure les autres à son aune.

— სხვები საკუთარი არშინით არ უნდა გაზომო.

§ საკუთარი არშინით ზომავსო.

ქურდს ყველა ქურდი ჰგონიაო.

ავს სხვაც ავი ჰგონიაო.

გიეთ ყველა გიყად ეჩვენებათო.

მაძლარ ხუცესს დიაკონიც მაძლარი ეგონაო.

მაძლარს მშვიერიც მაძლარი ეგონაო.

Il ne faut pas mettre la charrue avant des boeufs.

— ხარებს გუთანი წინიდან არ უნდა გაუქეთო.

§ საქმე ბოლოდან არ უნდა დაიწყოო.

სახლის აშენება სახურავით არ დაიწყებაო.

ადათია და წესია, ფეტვი ალაგზე თესიაო.

თევზს ბოლოთი ვერ დაიჭერო.

Il ne faut pas mettre la faucille dans la moisson d'autrui.

— სხვის სამკალში შენი ნამგალი არ უნდა შეიტანო.

§ შენი ჭაგლაგი გერჩიოს სხვის ბედაურსაო.

საკუთარი კვიცი გერჩიოს სხვის კარგ ცხენსაო.

შენი ხმელი პური გერჩიოს სხვის ფლავსაო.

ჩემი ჭაგლაგი სხვის იორლას მირჩვენიაო.

ნუ ძღვები სხვისა რძითა, ნუ იმოსები სხვისა მატყლითაო.

Il ne faut pas jeter le manche après la cognée.

— ცულის თუ გადაადგებ, ტანიც არ უნდა მიაცილო.

§ ყველაფერზე ხელი არ უნდა აიღო.

გული არ უნდა გაიტეხო.

კაცს წყალში ცული გადაუვარდა, წალდიც თან გადააყოლაო.

კაცმა ცული დაჰკარგა და ნაჯახიც მიაცილაო

Il ne faut pas mettre le doigt entre l'arbre et l'écorce.

— ხელი არ უნდა ჩადო ხესა და ქერქს შუა.

§ სხვის საქმეში ნუ ჩაერევიო.

არამკითხე მიმბევი, მიტყიპე და მიგდევი.

Il ne faut pas mettre tous les oeufs dans le même panier.

— ყველა კვერცხს ერთ კალათში ნუ ჩააწყობ.

§ დიდ რისკს ნუ გასწევო.

სიფრთხილეს თავი არა სტკივაო.

Il ne faut pas parler latin devant les clercs.

§ ნასწავლს სწავლა არ უნდაო.

Il ne faut pas prendre la médecine en plusieurs fois.

— მწარე წამალი ერთბაშად უნდა დალიო.

§ არასასიამოვნო საქმეს ერთი დარტყმით უნდა მოუღო ბოლო

Il ne faut pas louer un homme avant sa mort.

— ადამიანი სიკვდილამდე არ უნდა აქო.

§ ფონი გასავალს დალოცეო.

ფონი გასვლის შემდეგ უნდა აქოო.

ფონი გასავალსაო.

Il ne faut pas remettre la partie au lendemain

— ნუ გადადებ სათამაშო პარტიას შემდეგი დღისათვის.

§ გადადებული საქმე გადადებულაო.

დღე-მეხვალე კაცსაო, თოვლი მოუვა კარსაო.

დღევანდელ საქმეს სახვალოდ ნუ გადადებო.

მედღეხვალეის ხან უთოვს, ხან უწეძსო.

დღესხვალეობით თოვლი მოვიდაო.

Il ne faut pas remuer (troubler) les cendres des morts.

— გარდაცვალებულთა გვამები არ უნდა შეაწუხო (გარდაცვალებულთა ცუდად ხსენება).

§ მკვდარს თუ ახსენებ, კარგად უნდა მოიხსენიოო.

Il ne faut pas réveiller le chat qui dort.

— მძინარე კატას ნუ გააღვიძებ. |||

§ ნუ გააღვიძებ ძველს კრილობებსაო.

Pour qui jouit seul le plaisir boite.

— ვინც მარტო მხიარულობს, ნახევრად მხიარულობს.

Pour se dire ami, il faut avoir mangé ensemble un minot de sel.

— კაცი რომ გაიცნო, მასთან ერთი ფუთი მარილი უნდა შექამო.
§ კაცი გამოსცადე და მერე ეძმეო.
კაცს საქმე გამოცდის, ცხენს—გზაო.

Pour un (faute d'un) moine l'abbaye ne chôme pas.

— მონასტერს ერთი ბერიც რომ აკლდეს, მაინც მონასტერია.
§ შეიღნი ერთს არ ელოდებიანო.

Pour un moine l'abbaye ne se perd pas.

— ერთი ბერის დაკლება მონასტერს ვერაფერს დააკლებს.
§ იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა.
ვაი ბატონო, მეღვინე მოგიკვდაო, ვაი მეღვინეს ბრალი, თორემ ბატონი
მეღვინეს კიდევ იშოვისო.

Pour un monde (pour rien au monde; pour tout 'or du monde).

— არამც და არამც, არაფრის გულისათვის.
§ არავითარ შემთხვევაში.

Pour un perdu deux retrouvés.

— ერთი დაკარგულის მაგიერ ორი ნაპოვნი.

Pour vanter un beau jour attends sa fin.

— კარგი დღე დღის ბოლოს გამოჩნდება.
§ ფონი გასავლის შემდეგ უნდა აქოო.
ფონი გასავალსაო.
მარტი რომ წინ გედვას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
აღდგომა და ხვალეო.

Premier venu, premier chaussé.

— ვინც პირველი მოვა, პირველადაც ის ჩაიცვამს.
§ დროზე მთესველი დროზე მოიძკისო.
ვინც მოხადა ქვევრიო, იმას ერგო ბევრიო.
ვინცა ჩქარი, ის მაძლარიო.

Prendre à crédit cause dépit.

— ვალის აღება უსიამოვნების გრძნობას იწვევს.

§ ვალი კუქრუტანიდან შეძერება და კარიდანაც ვედარ გამოეტყუაო.

ვალი არ ღჩიალებს, მაგრამ ძილს არ გაძლევსო.

Prendre la lune avec les dents.

— მთვარის კბილებით მოტაცება.

§ შეუძლებლის ვაკეთება.

Prendre son nez pour ses fesses.

— ჩაფლავება, სირცხვილის კამა, თავის მოჭრა.

Prendre une massue pour tuer une mouche.

— ბუზის მოსაკლავად კეტის აღება.

§ ბელურას ზარბაზანს არ ესერიანო.

ჩიტი ბღღენად არა ღირსო.

ჩიტი დვენად არ ღირდა, დვენა—ბღღენადო.

კოლოს თოფით არ კლავენო.

Prenez maison faite et femme à faire.

— სახლი დახურული სჯობს, ქალი ხელუხლებელი.

Promesse de grands n'est pas héritage.

— დიდი კაცის დაპირება მემკვიდრეობა როდია.

§ სიტყვა ქარიაო.

სიტყვა უსაქმოდ ქარიაო.

Promettre des monts (des monceaux).

— ბევრის დაპირება.

§ ოქროს მთებს ჰპირდებაო

Promettre et tenir sont deux (entre promettre et tenir il y a un chemin).

— დაპირებასა და შესრულებას შორის დიდი ზღვარია.

§ დაპირებულიო—დაჩრჩილებულიო.

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარიაო.

სიტყვის თქმა ადვილია, მინი შესრულება კი—ძნელიო.

Proverbe ne peut mentir.

— ანდაზა არ ტყუის.

§ საჭვეახური ხუმრობა ნახევარი მართალიაო.

ის ხუმრობა შევარცხვინე, რომელიც ნახევრად მართალი არ იქნებაო.

Puisque le vin est tiré, il faut le boire.

— დასხმულ ღვინოს შესმა უნდა.

§ წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვებება ხანისაო.

რაკი უღელი დაიდგი, ქაპანიც შენვე უნდა გასწიო.
ბევრი ყოყმანი კაცს წაახდენსო.
სათქმელი დროზე უნდა ითქვასო.

Q

Quand Jean bête set mort, il a laissé bien des héritiers

— როცა სულელი ივანე მოკვდა, მან ბევრი მემკვიდრე დატოვა.
‡ სულელებს არ თესენ, ისინი თავისით იბადებიანო.

Quand il neige surles montagnes, il fait bien froid dans les vallées.

— როცა მთებში თოვს, ბარში ცივა.
‡ აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისესო.
‡ აქლემები წაიკიდხენ, ვაი კოზაკის ბრალიო.
‡ ბატონს ზურგი სტკიოდა, ყაზახები ტიროდნენო.

Quand il pleut sur le curé, il dégoutte sur le vicaire.

— თუ მღვდელს აწვიმს, შხეფები ქორეპისკოპოსსაც მოხვდება.

Quand il pleuvrait (quand i tomberait) des haliebardes.

— კოკისპირულმაც რომ დაუშვას.
‡ მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა.

Quand la chèvre saute aux choux, le chevreau y saute itou.

— როცა თხა კომბოსტოს კვალში ჩახტება, თიკანიც იქვე ჩახტება.
‡ გოკი ღრუტუნს ღორისაგან ისწავლისო.
‡ კვიცი გვარზე ხტისო.
‡ ცხენი გვარზე გაიქცევაო.

Quand la coupe est pleine, elle déborde.

— ფილა რომ აივსება, გადმოიღვრება.
‡ მოთმინების ფილა აივსოო.

Quand la fille est mariée, on trouve toujours des gendres.

— ქალიშვილი რომ გათხოვდება, სასიძოები მაშინ გამოჩნდებიან.

Quand la maison est trop haute il n'y a rien au grenier.

— როცა სახლი ძალიან მაღალია, სხვენში არაფერია.
‡ მაღალი და სულელიო.
‡ სიმაღლეს ქკუა არა აქვსო.

Quand l'arbre est tombé, chacun court aux branches.

— ხე რომ წაიქცევა, ყველა ტოტებს მივარდება.
‡ ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა ზედ შეადგებაო.

მგელი რომ დაბერდება, ძალღეზის სათრევი გახდება.
ლომი დაბერდა და ვირმა წიხლი ჩაჰკრაო.
ქვეყანა მაშინ წახდაო, დათვი რომ საძალღე გახდაო.
დათვის დრო მაშინ წახდაო, როდესაც სამგლედ გახდაო.

Quand l'arc est trop tendu, il casse.

— როცა სიმი ძალიან დაკიმულია, წყდება.

Quand l'aveugle porte la lanterne, mal pour ceux qui marchent derrière.

— როცა დროშა ბრმას მიაქვს, მის მიმყოლთ კარგი დღე არ დაადგებათ.

§ ბრმ . ბრმას ეკიდებოდა, ორივე სამარეში ვარდებოდაო.

Quand le chat dort (n'est pas là) les souris dansent.

— როცა კატას სძიხავს, თავეები ფერხულს უვლიან.

§ უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო.

როცა მეძებარი დაუძლურდება, კურდღელი თავისუფლად დაიწყებს ბოსტანში სიარულსო.

ბედაურები დაწყდაო, ვირს მოედანი დარჩაო.

უპატრონო ცხენზე ვინ არ გადაჰდებაო.

Quand le chat est hors de la maison, souris et rats ont leur saison.

— როცა კატა შინ არ არის, თავეები ცეკვავენ.

§ ვინც კატას არ გაიჩენს, თავეები მომირაველებსო.

ბედაურები დაწყდაო, ვირს მოედანი დარჩაო.

როდესაც მეძებარი დაუძლურდება, კურდღელი თავისუფლად დაიწყებს ბოსტანში სიარულსო.

Quand le diable devient vieux il se fait ermite.

— ეშმაკი რომ მოხუცდება, ვახდეგილი გახდება.

§ გიჟი მოზვერი კარგი ხარი გახდებაო.

ღვარი რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ვგრეცა წყნარიაო.

Quand le foin manque au râtelier, les chevaux se battent.

— ცხენები მაშინ ჩხუბობენ, როცა თაელაში თივა შემოაკლდებათ.

‡ სიმინდი რომ შემოელევათ, ძმები მაშინ გაიყოფიანო.

ძმებს რომ სიმინდი შემოელევათ, მაშინ გაიყრებიანო.

Quand le loup est pris, tous les chiens lui lardent les fesses.

— დაჭერილ მგელს ძაღლები დუნდულეებზე ჩხვლეტენ.

§ ლომი დაბერდა, და ვირმა წიხლი ჩაჰკრაო.

მგელი რომ დაბერდება, ძაღლები ხუმრობას დაუწყებენო.

მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათრევი გახდებაო.

მგელი რომ დაბერდება, თხები ზედ დაასხდებიანო.

Quand le loup prêche, prenez garde à vos moutons.

— როცა მგელი ქადაგებს, მაშინ უნდა გაუფრთხილდეთ თქვენს ცხვრებს.
§ მგლისათვის ცხვარი ვის მიუბარებიაო.

Quand le renard se met à prêcher, gare aux poules.

— როცა მელია ქადაგებას დაიწყებს, ქათმები მაშინ უნდა იყენენ ფრთხილად.
§ ბერა სარძლოდ მორთულა, უფრთხილდი — მოერიდევო.

Quand le puits est sec, on sait ce que vaut l'eau.

— ქაში წყალი რომ ამოშრება, წყლის ფასს მაშინ მიხვდებიან.
§ გვაქვს არ ვაფასებთ, დაეკარგავთ—ეტერიოთო.

Quand le vase est trop plein, il faut qu'il déborde.

— მოთმინების ფიალა აივსო.
§ ყველაფერს ბოლო აქვსო.

Quand le vin est tiré, il faut le boire.

— ღვინოს რომ ამოიღებ, უნდა დალიო კიდევო.
§ სათქმელი დროზე თქვიო.
დაწყებულ საქმეს დამთავრება უნდაო.

Quand les ânes parleront latin.

— როცა ვირები ლათინურ ენაზე ილაპარაკებენ.
§ არაოდეს, არასოდეს.
როცა ვირი ხეზე ავა.
როდინობის კვირაშა.

Quand les chiens s'entre-pillent le loup fait ses affaires.

— როცა ძაღლები ერთმანეთს შორის კინკლაობენ, მგელი თავის საქმეს აკეთებს.
§ სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო.
სანამ ხარი გახარდაო, პატრონი გათავდაო.
სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოჭრაო.

Quand les cochons sont souls, ils renversent leur auge.

— ღორი რომ გაძლება, ვარცლს გადმოაბრუნებსო.
§ მიმინო რომ გაძლება, ხელზე აღარ დადგებაო.

Quand les mots sont dits, l'eau bénite est faite.

— როცა სიტყვები თქმულია, წყალი ნაკურთხია.
§ თორმეტ კბილს რომ სიტყვა გადმოსცდება, თორმეტ მთას გადაივ ლისო.
რამაც ცხრა კბილი გადაიარა, იმან ცხრა მთა გადაიარაო.
ისარი და თქმული სიტყვა, გასტყორცნი არ დაგიბრუნდებაო.

Quand les poules auront les dents.

— როცა ქათმებს კბილები ამოუვთ.
§ არაოდეს, არასოდეს.

§ როცა ვირი ხეზე ავა.
როდინობის კვირაში.

Quand l'un veut du mou, l'autre veut du dur.

— როცა ერთს მწიფე უნდა, მეორეს—მკვამბე.

§ ყველას გულს ვერ მოიგებო.

კაცია და გუნებაო.

ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლიო.

კაცია—ხუცესი უყვარს, კაცია—ხუცესის ცოლიო.

ზოგს მეფე ეყვარება, ზოგს—დედოფალიო.

Quand nous serons morts, fera les vignes qui pourra.

— ჩვენ რომ დავიხოცებით, ვენახს ის მოუელის, ვინც შეძლებს.

§ ჩემს იქით თოფი გინდ კუნძს მოხედეს, გინდ კაცსაო.

შენს იქით კაცის ისრის კვრა ბუკის ცემას დააღარეო.

ჩემს იქით თოფი რომ კაცს მოხედეს, ვითომ კუნძს მოხედრიაო.

Quand on a pressé l'orange, on jette l'écorce.

— როცა ფორთოხალს გამოწურავენ, კანს გადააგდებენ.

§ ლამემ გაიარაო, ამაგმატ ჩაიარაო.

ავადმყოფი რომ მორჩება, ექიმი შესძულდებაო.

Quand on doit, il faut payer ou agréer.

— ვალს გადახდა უნდა.

§ მიციას მოცია უნდაო.

ჩუქებას ჩუქება უნდაო.

Quand on est bête, c'est pour longtemps.

— სულელი სულელად დარჩება.

§ სულელი ქვეყანას შემოივლის და მანც სულელად დარჩებაო.

არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო.

ძალის კული არ გასწორდებაო.

ვირს ცხრა სკოლა გამოატარეს, ისევ ვირი იყოო.

ვირი ქაბას წავიდა, ისევ ვირად მოვიდაო.

Quand on est bien, il faut s'y tenir.

— როცა კარგად ხარ, კარგად ყოფნას მაშინ გაუფრთხილდი.

§ რაცა გეყოფა, დასჭერდი, მეტი ნუ გინდა მშოვნელსა.

მეტისმეტიო, თავში რეტიო.

მეტისმეტის მაძიებელი მოკვდა გაუხარებელიო.

მეტისმეტი სიხარბით მელამ კული მოიჭამაო.

როცა პატარას იშოვის, მერე დიდს მოეკიდებაო.

Quand on met la main à la pâte, il en reste toujours quelque chose aux doigts.

— როცა ცომში ხელს ჩადებ, თითებზე აუცილებლად დარჩება რამე.

ჭკიას უთქვამს: ისე პურს ვერ მოიმკი, რომ ჩემი საჩუჯო არ დარჩესო.
ცოტა ყოველთვის დარჩებაო.

Quand on n'a pas ce que l'on aime, il faut aimer ce que l'on a.

— თუ ის არა გაქვს, რაც გიყვარს, ის უნდა შეიყვარო, რაცა გაქვს.

ჭ თუ სარკე არა გაქვს, წყალში ჩაიხედო.

თუ სახლში უფროსი არა გყავს, დედაბოძს დაეკითხო.

ურემი შეშას თუ ვერ მოიტანს, თვითონ ზომ შეშა არისო.

Quand on n'a pas de quoi s'accommoder on s'accommode de ce qu'on a.

— როცა არა აქვთ, რაც უნდათ, უნდა დაკმაყოფილდნენ იმით, რაცა აქვთ.

ჭ კაცი თუ არა გყავდეს, კერიას გამოელაპარაკეო.

კაცს თუ მრჩეველი არა ჰყავს, კედელს დაეკითხო.

Quand on n'est pas plus fort, il faut être le plus malin.

— როცა ძლიერა არა ხარ, ეშმაკი უნდა იყო.

ჭ ხერხი სჭობია ღონესა, თუ კაცი მოგონებსაო.

რაც მგელმა მელას თავზე დაეკმით უყო, ის მელამ მიპარვით გადაუხადაო.

Quand on n'a pas de tête, il faut avoir les jambes.

— როცა თავი არა აქვთ, საჭიროა ფეხების ქონა.

ჭ გლახა თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევსო.

Quand on n'a pas bonne tête, il faut avoir bonnes jambes.

— ვისაც კარგი თავი არა აქვს, მას კარგი ფეხები უნდა ჰქონდესო.

ჭ ცუდი თავის დანაშაული ფეხებმა უნდა გამოისყიდოსო.

ცუდი თავის გამო, ფეხებს ძალა ადგიაო.

Quand on parle du diable on en voit les cornes.

— როცა ეშმაკზე ლაპარაკობენ, მის რქებს ხედავენ.

ჭ ძალლი ახსენე და ჭოხი ხელში დაიჭირეო.

ძალლი ახსენე და ჭოხი მოიმარჯვეო.

ძალლი ხსენებაზეო.

Quand on parle du loup on en voit la queue.

— როცა მგელზე ლაპარაკობენ, მას ხედავენ.

ჭ ძალლი ახსენე და ჭოხი ხელში დაიჭირეო.

ძალლი ახსენე და ჭოხი მოიმარჯვეო.

კარგი კაცი ხსენებაზედაო.

Quant on sème le vent, on récolte la tempête.

— როცა ქარს თესენ, ქარიშხალს იმკიან.

ჭ სხვისთვის ორმოს გამოხრელი, ორმოში თვით ჩავარდებაო.

რასაც დათესავ, იმასვე მოიმკო.

რასაც გაასესხებ, იმასვე ჩაისესხებო.

კაცი რასაც დათესს, ღმერთიც იმას მისცემსო.
რასაც დათესს მიწისა პირსა, იგავ ამოვა, გაიღვამს ძირსა.

Quatre yeux voient mieux que deux.

— ოთხ თვალზე უკეთ ორი ხედავს.

§ ერთი ქვეა კარგია, ორი უკეთესიაო.

ორი კაცი ერთ კაცზე ლაშქარიაო.

ერთი მუგუზალი ხრჩოლავს, ორს ცეცხლი უკიდიაო.

ორი კაცი სოფელიაო.

ორი კაცი რომ გეტყვის, მთვრალი ხარო, უნდა დაიჭერო.

Que chacun balaie devant sa porte.

— ყველამ საკუთარი კარის წინ დაგავოს.

§ შენი სვი და შენი ქამე, ჩემსას ჟვარი დამიწერო.

Querelles d'amants, renouvellements d'amours,

— შეყვარებულების ჩხუბი სიყვარულის განახლებაა.

§ სიყვარული უჩხუბრად სრულყოფილი არ არისო.

ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო.

ცოლ-ქმრის ლაპარაკი რეგვენს გაყრა ეგონაო.

Que ta main gauche ne sache point ce que fait ta main droite.

— ნუ ილაპარაკებთ თქვენ მიერ გაკეთებულ სიკეთეზე, ქველმოქმედი თვალქე-
რილი უნდა იყოს.

§ დაე, შენმა მარცხენა ხელმა არ იცოდეს, რას აკეთებს მარჯვენა.

Qui a âge doit être sage.

— ვინც წლებშია, ის ქვიანიც უნდა იყოს.

§ ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნაო.

ბებრისა სარძლოდ მორთულსა უფრთხილდი, მოერიდო.

დედაბერი ბუქნას უვლიდა, არც მთა უმადლოდა, არც—ბარიო.

Qui a assez d'argent, a assez de parents.

— ვისაც ბევრი ფული აქვს, მას არც ნათესაეები მოაკლდება.

§ ფული პატარა ღმერთიაო.

ვისაც ფული აქვს, იმას მეგობრები არ მოაკლდებაო.

ფული ქვასაც კი დაადნობსო.

Qui a bon voisin, a bon matin.

— ვისაც კარგი მეზობელი ჰყავს, მას დილაც კარგი ექნება.

§ კარგი მეზობელი ამომავალ მზეს სჯობსო.

მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო.

მეზობელთან ჭირიც ღხინაო.

Qui a bu boira.

— ვისაც დაუღუპია, ის კვლავაც დაღუპს.

§ კუზიანს სამარე გაასწორებსო.
ჩვეულება რჭულზე უმტკიცესიაო.
მელა საქათმის კარზე მოკედებაო.

Qui a compagnon, a maître.

— ვისაც ამხანაგი ჰყავს, მას ბატონიც ჰყავს.
§ ამხანაგის ყოლა ხშირად დათმობას მოითხოვსო.

Qui a crainte, a honte.

— ვისაც ეშინია, იმას სირცხვილიც გააჩნია.

Qui a de l'argent a des coquilles.

— ვისაც ფული აქვს, ის კარგადაც იცხოვრებს.
§ ფული პატარა ღმერთიაო.
ფული კლდეს გაანგრევსო.
ფული ქეასაც კი დაადნობსო.
ფული ჯოჯოხეთს ანათებსო.

Qui a de l'argent a des pirouettes.

— ვისაც ფული აქვს, მას სიამოვნებაც არ მოაკლდება.
§ ფული პატარა ღმერთიაო.
ვისაც ბევრი ერბო აქვს, ის კომბოსტოსაც ერბოში მოხრაკავსო.
ფული კლდეს გაანგრევსო.

Qui a des noix, en casse, qui n'en a pas s'en passe.

— ვისაც კაკალი აქვს—ტეხს, ვისაც არა აქვს—უიშისოდაც იოლად მიდის.
§ როცა მქონდა ფულეზიო, ეჭამე ხაჭაპურეზიო, აღარა მაქვს ფულეზიო, ჩამოე-
ყარე ყურეზიო.

Qui a du pain, nargue le chagrin

— ვისაც პური აქვს, ის მწუხარებასაც ადვილად გადაიტანს.

Qui a fait la faute, la bois (il a fait la faute, qu'il en boive la sauce).

— ვინც დააშავა, იმან გამოასწოროსო.
§ ძალი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო.
ვინც ძალს მოკლავს, იმასვე გადაატრევენებენო.

Qui a félon voisin par maintes fois a mauvais malin.

— ვისაც ვერავი მეზობელი ჰყავს, მას ხშირად ცუდი დილა უთენდება.

Qui a honte de manger, a honte de vivre.

— ვისაც კამის რცხვენია, იმას სიცოცხლისაც რცხვენია.

Qui aime bien, châtie bien.

— ვისაც ძალიან უყვარს, ის ძლიერადაც დასჯის.
§ დათემა სიყვარულით თავისი ბელი მოკლაო.

Qui aime labeur, parvient au bonheur.

- ვისაც შრომა უყვარს, ბედნიერებას მიაღწევს.
§ გარჯილობასა მოჰქონდა საწუთრო დაუღველიო.
თუ ტკბილი პურის ქამა გინდა, შრომაც უნდა გინდოდესო.
ვინც არ გაირჩებაო, პურსაც ვერ მისწვდებაო.
ვინც აიკიდა გოდორი, იმან შექამა კოტორიო.

Qui a la jaunisse, voit tout jaune.

- ვისაც სიყვითლე აქვს, ის ყველაფერს ყვითლად ხედავს.
§ ქურდს ყველა ქურდი ჰგონიაო.
გივს ყველა გივად ეჩვენებაო.
აეს სხვადა ავი ჰგონიაო.

Qui a la panse pleine, il lui semble que les autres sont saouls .

- § მაძლარს მშვიერიც მაძლარი ეგონაო.
მაძლარ ხუცესს დიაკვანიც მაძლარი ეგონაო.
მაძლარსა მშვიერი ემთერალებისო.
გამაძლარ თხას ციკანიც მაძლარი ეგონაო.

Qui a marâtre, a le diable en l'âtre.

- ვისაც დედინაცვალი ჰყავს, მას კერაში ეშმაკი უზის.
§ დედინაცვალი, გერიო—ერთმანეთისა მტერიო.
დედინაცვალიო—თვალში ნაცარიო.

Qui a métier a rente.

- ვისაც ხელობა აქვს, მას შემოსავალიც აქვს.
§ ხელობა კარგი მარჩენალიაო.
ვინც თონეს გაახურებს, პურიც მისიაო.

Qui a peur de feuilles, n'aille point au bois.

- ვისაც ფოთლებისა ეშინია, ტყეში არ უნდა შევიდეს.
§ ვისაც რახა-რუხი ეზარება, სამკედლოში ნუ შევაო.
თავვო, კატისა გეშინია და სოროდან კი ძვრებიო.
ნუ შეხვალ—ნუ ებანები, ნუ გამოხვალ—ნუ თრთიო.

Qui a pris un oeuf prendra un boeuf.

- ვინც კვერცხს მოიპარავს, ის ხარსაც მოიპარავს.
§ აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი—ორივე ქურდიაო.
ნემსის ქურდობას აქლემის ქურდობა სჯობიაო.

Qui art a, partout part a.

- ვინც ოსტატობა იცის, მას გზაც ხსნილი აქვს.
ხელობა კაცისათვის დიდი სიმდიდრეაო.
კაცმა რამდენი რამეც იცი, იმდენი რამე ხარო.
ისეთი პატარა ხელობა არ არსებობს, ხელოსანი არ გამოკვებოსო.
კარგი ხელოსანი შიმშილით არ მოკვდებაო.

Qui arrive tard est mal lodé.

- ვინც გვიან მოდის, მას ცუდად აბინავებენ.
- § დროზე მთესველი დროზე მოიძისო.
- ვინც მოდიოდა—ფქვადა, ვინც არა და ჭერს ელოდაო.
- ვინც ჩქარი, ის მაგარიო.
- ვინც დაიზარაო, არც გაიხარაო.

Qui a temps a vie.

- ვისაც დრო აქვს, ის ყოველთვის იპოვის მდგომარეობიდან გამოსაქალს.

Qui a tiré le vin le boit.

- ღვინო ვინც დაასხა, იმან დალიოს.
- § ძალი ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოსო.
- ძალს ვინც მოკლავს, იმანვე გადაათრევენებენო.

Qui bien aime. tard oubliée.

- ვისაც ძალიან უყვარს, ის გვიან ივიწყებს.
- § პირველი სიყვარული დაუვიწყარიო.
- ძველი სიყვარული და ძველი კუნძი ყოველთვის აინთებაო.
- სიყვარული ცეცხლი არაა, მაგრამ დაგწვავს და ვერ გააქრობო.
- ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არისო.

Qui bien chante et qui bien danse fait un métier qui peu avance.

- ვინც მღერის და ცეკვავს, ის შორს ვერ წავაო.
- § ვინც დაიზარაო, არც გაიხარაო.
- ვინც არ გაირჩება, პურსაც ვერ მისწვდებაო.

Qui bien chasse, trouve.

- ვინც კარგად ნადირობს, ის პოულობს.
- § ვინც ეძებს—პოულობსო.
- ეძიებდე და ჰპოვებდეო.
- კაცსა ქარვისა მძებნელსა, ხელთ შეხვდა იაგუნდიო.
- ვინც აკაკუნებს, იმას უღებენო.
- დააკაკუნე და გაგიღებენო.

Qui bien commence. bien avance.

- ვინც კარგად იწყებს, კარგადაც ამთავრებს.
- § კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიო.
- კარგად დაწყებული საქმე ნახევრად გაკეთებულიო.
- კარგ დასაწყისს კარგი ბოლო მოსდევსო.
- საქმე თუ თავიდან კარგად არ დაიწყე, წაგებულიო.
- კარგ საძირკველზე კარგი კედელი ამოვაო.

Qui bien fera, bien trouvera.

- ვინც სიკეთეს დასთესს, სიკეთეს გადაეყრება.
- § კარგი ქენი—ქვას დადევ, გაიარე—წინ დაგხვდებაო.

ერთი ფული გაცემული საიქიოს დაგიხვდებაო.
სან თელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო.
გაცემულ სიკეთეს ხალხი არ იფიწყებსო.
რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულოო.
რასაც გაასესხებ, იმას ჩაისესხებო.

·Qui bien se défie, bien se fie.

— ვინც ფრთხილობს, ის აღვილადაც არ ენდობა.

§ სიფრთხილეს თავი არ ასტკივო.

თუ მეგლმა დაგპატივოს, ეწვიე, მაგრამ ძალი თან წაიყვანეო.
ძალს მოფიქრე, მაგრამ ჯოხს ხელიდან ნუ გააგდებო.

Qui bête va à Rome, tel en retourne.

— სულელი როგორიც მიდის რომში, ისეთივე ბრუნდება უკან.

§ კუზიანს სამარე გაასწორებსო.

ვირი ქაბას წავიდა, ისევ ვირად მოვიდაო.

ვირი ვირად დარჩება, ვარსკვლავებითაც რომ შემოსო.

არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო.

ვირს ცხრა სკოლა გამოატარეს, ისევ ვირი იყო.

Qui bon l'achète, bon le boit.

— კარგის მყიდველი მოგებულა.

§ კარგის მყიდველი ძვირადო, მოგებულა ხშირადო.

კარგისა ყიდვა ძვირად სჯობს, ზედ გამოლება ფასისა.

Qui bon maître a, bon loyer a.

— თუ სახლის პატრონი კარგია, სახლიც კარგია.

§ როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო.

ცარიელი ალხანა, ცარიელი ჩალხანაო.

რაც ტურა, ის მელაო.

როგორიც არის ქარხანაო, ისეთი ხარ, თარხანაო,

Qui borne ses desirs est assez riche.

— ვინც საკუთარ სურვილებს ზღუდავს, ის საკმარად მდიდარია.

§ ღორმუცელა კაცის აშენება არ შეიძლებაო.

Qui casse les verres, les paie.

— ვინც კიქას გატეხს, ის გადაიხდის.

§ ვინც კამსო, ის ზღავსო.

ძალი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო.

ვინც ძალს მოკლავს, იმასვე გადაათრევივნებნო.

Qui cesse d'être ami, ne l'a jamais été.

ვინც მეგობრობას წყვეტს, ის მეგობარი არასოდეს ყოფილა.

§ დროებითი მეგობარი—იგივე მტერიაო.

Qui chapon mange, chapon lui vient.

— ვინც ყვერულს ჭამს, ყვერულიც მასთან მოდის.

§ ნადირი მონადირეს ეტანებაო.

Qui cherche le péril y périt.

— ვინც ხიფათს ეძებს, ის იღუპება.

§ ხიფათის მძებნელი თხაო, მგელს შეეყარაო.

Qui cherche, trouve.

— ვინც ეძებს, ის პოულობს.

§ ეძიებდეს და პოუვებდესო.

კაცსა ქარვისა მძებნელსა, ხელთ მოხვდა იაგუნდ იო.

Qui choisit, prend pire (Qui choisit a pis).

— ვინც ბევრს არჩევს, მას ყველაზე ცუდი ხდება.

§ მარჩიელას ნარჩიელაო.

ბევრის მდომმა ცოტაც დაკარგაო.

მეტისმეტის მაძიებელი გაუხარებელი მოკვდაო.

საუკეთესოს მძებნელი გლახას გადაეურებაო.

Qui compte sur les souliers d'un mort, a le temps d'aller pieds nus.

— ვინც მკვდრის ფეხსაცმლის იმედით იქნება, ის ფეხშიშველი ივლის..

§ ვინც მეზობლის იმედით იქნება, უვახშმოდ დარჩებაო.

სხვისი ცოლის მოიმედეს ლოგინს ნუ იფართოებო.

Qui conduit au fossé y tombe le premier.

— ვისაც სხვა მიჰყავს ორმოსკენ, ის პირველი ჩაეარდება შიგ.

§ სხვას ორმოს ნუ უთხრი, თორემ შიგ თვითონ ჩაეარდებიო.

Quiconque aime une biche prend cette biche pour Minerve.

§ ვისაც ვინ უყვარს, იმისი ლამაზიც ის არისო.

Qui conque se sert de l'épée périra de l'épée.

— ვინც ხმაღს გამოიყენებს, ხმლითვე დაიღუპება.

Qui coupe son nez, dégarnit son visage

— ვინც ცხვირს წაიჭრის, თავს დაიღუნოებს.

§ აღამიანი წინდაუხედავად არ უნდა მოიქცესო.

Qui crache en l'air reçoit le crachat sur soi.

§ ვინც ქარს შეაფურთხებს, თავის თავს შეაფურთხებსო.

მზეს რომ ტალახს ესერი, თავზე დაგეცემაო.

მზეს ბევრი აფურთხებს, თავზე დასდისო.

Qui craint le danger ne doit pas aller en mer.

— ვისაც ხიფათის ეშინია, ის ზღვაზე არ უნდა წავიდეს.

§ მგლის თუ გეშინია, ტყეში ნუ წახვალო.

ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო.
თავო, კატისა გეშინია და სოროდან კი ძვრებიო.

Qui creuse la fosse à un autre, y tombe lui-même.

— ვინც სხვას უთხრის სამარეს, შიგ თვითონ ჩაეარდება.

§ ვინც სხვას ორმოს უთხრიდეს, თავისი ზომა მოთხაროსო.
ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ თვითონეუ ჩაეარდებო.
სხვისი ორმოს მთხრელმა, თავისი ზომა ორმო მოთხარაო.

Qui de tout se fait, de tout a paix.

§ დუმილი—ოქროაო.

Qui deux choses chasse ni l'une ni l'autre ne prend.

— ვინც ორზე ნადირობს, ვერც ერთს ვერ დაიჭერს.

§ ორი კურდღლის მადეიარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.
ერთი ძალი ორ კურდღელს ერთად ვერ დაიჭერსო.
ორი წამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებსო.
ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო.

Qui doit a tort.

— ვალს ვინც იღებს, მანვე უნდა გადაიხადოს.

§ ვალს გადახდა უნდაო.

Qui donne à crédit, perd son repos, son bien et son ami.

— ვინც ასესხებს, ის კარგავს სიმშვიდეს, ფულსა და მეგობარს.

§ თუ ვინდა მეგობრის დაკარგვა, ფული ასესხეო.

Qui donne au commun ne donne à pas un.

— ვინც ყველას ასაჩუქრებს, ის არავის ასაჩუქრებს.

§ ყველას პატივისმცემელი, არავის პატივისმცემელიო.

Qui donne au pauvre prête à Dieu.

— ვინც საწყალს აძლევს, მას ღმერთი უბრუნებს.

Qui dort, dine

— ვისაც სძინავს, ის სადილობს.

ძილი ადამიანს ძალასაც აღუდგენს და საკვების მაგივირობასაც გაუწევს.

Qui dort en août, dort à son cout.

— ვისაც ზაფხულში სძინავს, ის ზამთარში იხტუნებს.

§ ვინც დაიზარაო, არ გაიხარაო.

კურდღელმა რაც იკუჯა, იხტუნაო.

Qui dort grasse matinée, trotte toute la journée.

— ვისაც დილის ძილი უყვარს, ის მთელი დღე დარბის.

§ ვინც დაიზარაო, ვერც გაიხარაო.

კურდღელმა რაც იკუჟა, ის იხტუნაო.

კურდღელმა რაც იდგომილა, ის იხტომილაო.

სიზარმაცე სიღარიბის გასაღებიაო.

შემოაკლდეს მძინარესო—შეემატოს მღვიძარესო.

Qui dort jusqu'au soleil levant, vit en misere jusuqu'au couchant .

— ვისაც მზის ამოსვლამდე სძინავს, ის მზის ჩასვლამდე ღარიბდება.

§ ვინც დაიზარაო, არ გაიზარაო.

ვინც არ გაირჩება, პურსაც ვერ მისწვდებაო.

ვინც არ შრომობს, არ ჭამსო.

სიზარმაცე სიღარიბის გასაღებიაო.

Qui en avant ne regarde en arriere tombe.

— ვინც წინ არ იხედება, ის უკან ეცემა.

§ სეაგი ძვალს გაზომავს და ისე გადაყლაპავსო.

სეაგი ძვალს კისერს დაზმანებს და ისე ჩაყლაპავსო.

სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე იფიქრეო.

არ ასცილდების დაემა უფრთხილოდ გზაზე მარებასა.

გზასა, რომელსა ხვიდოდე, წინ დახედეო.

Qui entre pape au conclave en sort cardinal.

— რომის პაპად ნუ ჩათვლით თავს კონკლავის გადაწყვეტილებამდე.

§ ფონი გასავალს დალოცეო.

ფონი გასვლის შემდეგ უნდა აქოო.

ფონი გასავალსაო.

Qui épouse la femme (la veuve) épouse ses dettes.

— ვინც ქვრივს შეირთავს, იმის ვალეზსაც ის გადაიხდის.

§ ვინც ჭამსო, ის ზღავსო.

Qui est né pour le gibet ne se noiera jamais.

— ვისაც ჩამოხრჩობა უწერია, ის წყალში არ დაიხრჩობა.

§ სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენისო.

სადაც სიკვდილი გიწერვის, ფეხნიც იქ მიგიყვანენო.

Qui est oisif en sa jeunesse, peinera dans sa vieillesse.

— ვინც ცუდლუტობაში გაატარებს ახალგაზრდობას, ის მოხუცებულუობისას დაისჯება.

§ ახალგაზრდობით მოგებული სიბერის დროს ხმალიაო

ყმაწვილობით მოგებული დაკეცილ ჭამხად ითქოო.

სიჭიელით მოგებული ფული დაკეცილი ჭამხააო.

Qui est propre à tout, n'est propre à rien.

— ვინც ყველაფრისათვის გამოდგება, ის არაფერში გამოდგება.

§ სიტყვით ყველაფერიო, საქმით არაფერიო.

ყოველ კაცს თითო რამის შნო აქვსო.

Qui fait le mal craint la lumière.

— ავის მქმნელს სინათლის ეშინია.

§ ქურდს რა უნდა და—ბნელი ღამეო.

ღამის ქურდს ღღისით დაიპყრენო.

Qui femme a, guerre a.

— ვისაც ცოლი ჰყავს, ის მყუდროებასაც უნდა გამოემშვიდობო ს.

Qui fol envoie, fol attend.

— სულელის გამგზავნი სულელს ელოდება.

§ კრელი ღორი გინდა ზღვის გაღმა გაიყვანე, გინდ გამოღმა, მაინც კრელი ღორიაო.
ღორი ზღვის გაღმაც ღორიაო.

შავ ღორს გინდ აღმა აფხანე, გინდ დაღმა დაუხანე, მაინც ღორია.

ვირი ვირად დარჩება, ვარსკვლავებითაც რომ შემოსო.

არ გათვთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო.

Qui garde de son dîner, il a mieux à souper.

— ვინც სადილიდან მარაგს მოიტოვებს, ის უკეთ ივახშეპებს.

Qui garde sa bouche garde son âme.

— ვინც ლაპარაკს უფრთხილდება, ის გულს უფრთხილზე ბა.

§ დუმილი ოქროაო.

ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქვითაც დაშავების.

ცბედს სიტყვაძვირმა აჯობაო.

პირში მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?

Qui goûte de tout se dégoûte de tout.

— სიუხვემ მოყირკება იცის.

§ ყველაფერი მოყირკებული აქესო.

Qui jeune n'apprend vieux ne saura.

— ვინც ახალგაზრდობაში არ სწავლობს, მას არც სიბერეში ეცოდინება რამე.

§ ახალგაზრდობაში შეძენილი სიბერის დროს ხვალაიაო.

Qui langue a, à Rome va.

— ვისაც ენა აქვს, რომში ჩავა.

§ კითხვა-კითხვით იერუსალიმს მივლენო.

Qui m'aime, aime mon chien.

— მე თუ გიყვარვარ, ჩემი ძაღლიც უნდა გიყვარდეს.

§ ძაღლის ხათრი თუ არა გაქვს, პატრონს მაინც დამხატრეო.

ყურძნის სიყვარულით ღობესა კოცნიდნენო.

ერბო-კვერცხის სიყვარულით ტაფას კოცნიდნენო.

Qui mal commence, mal achève.

— ვინც ცუდად იწყებს, ცუდადაც ამთავრებს.

§ ცუდად დაწყებული საქმე, ცუდად მთავრდებაო.
საქმე თუ თავიდან კარგად არ დაიწყე, წაგებულიაო.

Qui mal veut, mal lui tourne.

— ვისაც სხვისთვის ცუდი უნდა, მას ცუდი არ აშორდება.
§ რასაც სხვისთვის მოინდომებ, შენ თავს გადაგხდებაო.
ვინც სხვას ორმოს უთხრიდეს, თავისი ზომა მოთხაროსო.
ნუ უთხარი სხვას ორმოს, თორემ თვითონეე ჩაეარდებაო.
სხვისი ორმოს მთხრელმა თავისი ზომა უნდა მოთხაროსო.
რაც რომ ავი საქმე ვქენი, ყველა თავზე დამიბრუნდა.
ორმო ეთხარე, თვით ჩავეარდი, დამეყარა ქვა და გუნდა.

Qui monte la mule, la ferre.

— ვირზე ვინც შეჯდება, ის დაქედავს მას.
§ ვინც სანადიროდ მიდის, თოფს ის წმენდავს.

Qui n'a point d'argent en bourse ait au moins miel en bouche.

— ვისაც საფულეში ფული არა აქვს, მას პირში თაფლი უნდა ჰქონდეს.
§ ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო.
ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო.
ტკბილი ენის მქონე კრავმა დედაც მოწოვა და არადედაცაო.
ქვეიანმა ბატკანმა ორი დედა მოწოვაო.

Qui naquit chat court après le souris.

— კატად დაბადებულმა თავგები უნდა დაიჭიროს.
§ მგელი მგლობას არ მოიშლისო.
მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასაო.
არ მოშლის ბერი არწივი მთის ყურეთ ნადირობასაო.

Qui n'a rien, rien ne doit.

— ვისაც არაფერი აქვს, ის არაფერს იხდის.
§ ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.
მაგას ვერაფერს გამოჩეხებო.
მაგასთან ვერაფერს გახდებო.

Qui n'a rien, ne craint rien.

— ვისაც არაფერი აქვს, მას არც არაფრის ეშინია.
§ ლარბს პერანგს ხდიდნენ, ხდიდნენ, რაც არ ეცეა, რას გახლდნენო.

Qui ne dit mot, consent.

— ვინც არაფერს ამბობს, ის თანახმაა.
§ ღუმელი თანხმობის ნიშანიაო.

Qui ne hasarde rien, n'a rien.

— ვინც ვერ გაბედავს, მას არც არაფერი ექნება.
§ ცდა ბედის მონახევრეაო.

Qui ne nourrit le petit n'aura jamais le grand.

— ვინც პატარას არ გამოკვებავს, მას დიდიც არასოდეს ეყოლება.

Qui n'entend qu'une cloche, n'entend qu'un son.

— ცუდი მოსამართლე მხოლოდ ერთ მხარეს უსმენს.

§ ცალ-ცალკე მომჩივანი ბატონს მართალი ეგონაო.

Qui ne risque. ne gagne.

— ვინც რისკზე არ წავა, მას არაფერი ექნება.

§ ცდა ბედის მონახვერეაო.

Qui ne sait danser, ne doit aller au bal.

— ვინც ცეკვა არ იცის, მეჯლისზე არ უნდა წაეიღეს.

§ ცუდსა მეთევზეს შერჩება უბრალოდ წყალთა მღვრეენი.

Qui ne s'aventure, perd cheval et mule.

— ვინც ვერ გაბედავს, ის ცხენსაც დაკარგავს და ჭორსაც.

§ ცდა ბედის მონახვერეაო.

გაბედე და სოფელიც შენ გიშველისო.

გაბედულთ ღმერთი სწყალობსო.

Qui ne songe qu'à soi quand la fortune est bonne, dans la malheur n'a point d'amis.

— თუ ბედნიერებაში მართა შენს თავზე ფიქრობ, გასაჭირში მეკობარი არ გეყოლება

§ უგუნურს მოყვარე გაკირვებაში მოაგონდებაო.

Qui n'est point jaloux n'aime point.

— ვინც არ ეჭვიანობს, მას არ უყვარს.

§ სადაც სიყვარულია, იქ ეჭვიანობაცაა.

Qui ne travaille pas, ne mange pas.

§ ვინც არ მუშაობს, არცა ჭამსო.

ვინც არ გაირჩება, პურსაც ვერ მისწვდებაო.

ვინც აიკიდა გოდორი, იმან შექაპა კოტორიო.

ასწიე გოდორსა, დაკმევე კოტორსაო.

Qui ne vient à l'heure, dine par coeur.

— დროზე ვინც არ მოდის, ის უსადილოდ რჩება.

§ დროზე მთესველი, დროზე მოიძისო.

ვინც დროზე არ მოდის, ის უსადილოდ რჩებაო.

ვინც მოხადა ქვეერიო, იმას მისცეს ბუერიო.

ვინცა ჩქარი, ის მაგარიო.

ვინც დაიზარაო, არ გაიზარაო.

Qui nous doit, nous demande.

— ჩვენ მისი დახმარება გეინდოდა, ის კი ჩვენ გეთხოვს დახმარებას.

Qui oblige, fait des ingrats.

— ვინც იმადღიერებს, ის უმადურებს იმრავლებს.

§ ქვეყნის მახიარებელი დარჩა უზიარებელიო.

დედაბერს ყველა უყვარდა და დედაბერი ყველას სძულდაო.

დედაბერს შეიდი სოფლის დარდი აწუხებდა, მისი დარდი კი არავისა ჰქონდაო.

Qui ose prendre le veau osera prendre vachie et troupeau.

— ვინც ხბოს მოიპარავს, ის ძროხასაც მოიპარავს და ნახირსაც.

§ აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი—ორივე ქურდიოაო.

Qui parle beaucoup, ment beaucoup.

— ვინც ბევრს ლაპარაკობს, ის ბევრს ტყუის.

§ ენატარტარა—საქმე პატარაო.

ენას ძვალი არა აქვსო, სიტყვას—ბაიო

ბევრის მოლაპარაკეს არც ერთი არ დაეჭვებოაო.

Qui parle—sème, qui écoute—récolte.

— ღრც ლაპარაკობს—თესავს, ვინც ისმენს—იმკის.

Qui paie (p·ye) ses dettes s'enrichit.

— ვინც ვალს იხდის, მდიდრდება.

§ ვალი ქუქრტანიდან შეძვრება და კარებიდანაც ვერ გამოეტყუაო.

ვალის მოშორება ღიდი ბელნიერებოაო.

Qui peu endure (bien) peu dure.

— შრომითა და მოთმინებით ყველაფერს მიაღწევ.

Qui peut le plus, peut le moins.

— ვისაც ღიდი საქმის გაკეთება შეუძლია, ის პატარასაც გააკეთებს.

§ სადაც ღიდი გამოეტყუა, იქ პატარაც გამოეტყუაო.

სადაც ქვეყნის ნახირი, ბებრის ხბოც იქაო.

სადაც ყოჩის თავი გაეტყუა, ყოჩის ტანიც გაეტყუაო.

Qui prend femme prend maître.

— ვინც ცოლს ირთავს, ბატონს იჩენს.

Qui prend se vend.

— ვინც საჩუქრებს იღებს, ის თავის თავს ყიდის.

§ საჩუქრების მიღება—იგივე ქრთამიოაო.

Qui prend un oeuf, peut prendre un boeuf (qui vole un oeuf, vole un boeuf).

— ვინც კვერცხს იპარავს, ის ხარსაც მოიპარავს.

§ აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი—ორივე ქურდიოაო.

ნემსის ქურდობას აქლემის ქურდობა სჯობიოაო.

Qui quitte la partie la perd.

— ვინც საქმეს ტოვებს, ის სამუდამოდ კარგავს მას.

§ ვინც თამაშიდან გამოდის, ის დამარცხებულიაო.

Qui remet au lendemain trouve malheur en chemin.

— ვინც საქმეს გადადებს, ხელიდან გაუშვებს მას.

§ გადადებული საქმე—გადადებულიაო.

Qui rien ne sait de rien ne doute.

— ვინც არაფერი იცის, მას ეკვიც არაფერში ეპარება.

§ ააფრინე ალალიო, რაც არ არი—არ არიო.

Qui risque gagne (qui ne risque rien n'a rien, qui ne hasarde rien n'a rien).

— ვინც არ გარისკავს, მას არც არაფერი ექნება.

§ ცდა ბედის მონახვერეაო.

Qui s'acquitte s'enrichit (qui paie ses dettes s'enrichit).

— ვინც ვალებს იხდის, ის მდიდრდება.

Qui s'aime trop n'a point d'amis.

— თემოყვარე კაცს მეგობრები არა ჰყავს.

§ გლახა ამპარტავანი მიწას ემძიმებაო.

გლახა ამპარტავანი ღმერთსაც სძულდა დ კაცსაცო.

Qui sait bien se commander à soi-même, peut commander aux autres.

— ვინც თავის დაქერა იცის, მას სხვების ბრძანებაც შეუძლია.

Qui s'attend à l'écuelle d'autrui a souvent mal diné.

— ვინც სხვის თეფშს უცდის, ხშირად უსადილო რჩება.

§ ვინც მეზობლის იმედით იქნება, უვანშობლად დარჩებაო.

სხვისი ცოლის მოიმედე ლოგინს ნუ ფართოვებო.

სხვის ამარად ფართო კარავს ნუ დაიდგამო.

სხვის იმედზე ფართო ლოგინს ნუ დააგებო.

სხვისი იმედით მდინარეში არ უნდა შეხვიდეთო.

Qui se couche avec les chiens, se lève avec les puces.

— ვინც ძაღლებთან დაწება, ის რწყილებიაში აღება.

§ გლახასთან ნურც დაწები, ნურც დაიწეო.

გლახას ნურც აკოცებ, ნურც აკოცინებო.

Qui se fache, a tort.

— ვინც ბრაზობს, ის დამნაშავეა.

§ თუ პილბილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო.

თუ ნიორი არ გიჭამია, პირი რად გიყარსო.

ვისაც წიწკა უჭამია, პირიც იმას დაეწვისო.

Qui se hâte reste en chemin.

— ვინც ძალიან ჩქარობს, ის გზაში რჩება.

§ მოჩქარეს მოუგვიანდესო.

Qui se hâte trop, arrive tard.

— ვინც ძალიან ჩქარობს, ის ივვიანებს.

§ მოჩქარეს მოუგვიანდესო.

Qui se loue, s'emboue.

— ვინც თავს იქებს, ის თავს იქუქვიანებს.

§ თავის ქება კიტრად ღირსო.

თავის ქება კიტრადო, კიტრი კაპეიკადაო .

თავის ქება კიტრად ღირს, სხვისი აუგი არც იმადაო.

Qui se marie à la hâte, se repent à loisir.

— ვინც ნაჩქარევად ირთავს ცოლს, ის დიდხანს ნანობს.

§ ვინც აჩქარებულა, უნანიო.

ვინც მალე ჭრის, ის დიდხანს ნანობსო.

ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერო.

ათჯერ მოზმანე, ერთხელ მოთხარეო.

შვიდჯერ თვალი გადაავლე, ერთხელ ხმალი გადაავლე.

Qui sème bon grain, recueille bon pain.

— ვინც კარგ თესლს თესავს, ის პურსაც კარგს იქის.

§ რასაც დათესავ, იმას მოიქიო.

კარგი თესლი კარგ მიწაში არ დალჰებო.

რასაც გაასესხებ, იმასვე ჩაისესხებო.

კარგ საძირკვლზე კარგი კედელი ამოვაო.

კარგ მოხნულზე თესლი ერთიანად მოიმკებო.

Qui sème dru, récolte menu.

— ხშირად თესვამ ცუდი მოსავალი იცის.

Qui sème les épines recueille les chardons

— ვინც ეკალს დათესავს, ეკალს მოიქის.

§ რასაც დათესავ, იმასვე მოიქიო.

რასაც გაასესხებ, იმასვე ჩაისესხებო.

კაცი რასაც დათესს, ღმერთიც იმას მისცემსო.

რასაც დათესს მიწისა პირსა, იგივე ამოვა გაიდგამს ძირსა.

ვინც ქარს დათესავს, ის ქარიმხალს მოიქისო.

Qui sème menu, récolte dru.

— მეჩხრად თესვამ კარგი მოსავალი იცის.

Qui sème peu, peu récolte.

— ვინც ცოტას დათესავს, ცოტას მოიქის.

§ ცოტას დათესავ, ცოტას მოიქიო.

ცოტას მოთხნი, ცოტას მოხონიო.

ცოტას მხენელი და მთესველი ბედს ეძღუროდაო.

გლახა მუშას შემოდგომაზე მოუკედება გული.
ზარმაცს გული მოწვევაზე დასწყდებაო.

Qui se repent est presque innocent.

- ვინც ინანიებს, ის თითქმის უდანაშაულოა.
§ გულწრფელად მონანიებული ცოდვა კაცს ეპატიებაო.

Qui se ressemble, s'assemble.

- ერთმანეთის მსგავსნი თავს ერთად იყრიან.
§ გული გულს იცნობსო.
სული სულს იცნობს და გული გულსო.
ამჟარი ამჟარს იცნობსო.
ძალლი ძალს იცნობსო.
ცუგრია ცუგრიას იცნობსო.

Qui se sent galeux, se gratte.

- ვინც გრძნობს, რომ ქეციანია, ის იფხანს.
§ ქურდს ქული ეწეისო.
კატამ შექამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო.
ჯოხს რომ აიღებენ, ქურდი კატა დაიმალდებაო.

Qui se sent morveux, se mouche.

- ვინც გრძნობს, რომ ევინტლიანია, ცხვირსაც ის იწოცავს.
§ ქურდს ქული ეწეისო.
კატამ შექამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო.
ჯოხს რომ აიღებენ, ქურდი კატა დაიმალდებაო.

Qui sert au commun ne sert à pas un.

- ვინც საერთო საქმეს ემსახურება, ის არავის ემსახურება.

Qui s'excuse, s'accuse.

- ვინც ბოდიშს იხდის, ბრალიც მას ედება.
§ ვინც თავს იმართლებს, თავის თავს ბრალს სდებსო.
ქურდს ქული ეწეისო.

Qui s'obstine à mordre un caillou ne réussit qu'à se briser les dents.

- ვინც რიყის ქვის მოკბეჩას მოინდომებს, ის კბილებს დაიმტკრევს.
§ რასაც ვერ შესწვდება, ნუ შეეწვდებიო.
რასაც ვერ მისწვდე, ნუ მისდევ, იკმარე შენა მღლეუარი.
კამეჩის მოკიდავე ხარს რქები არ შერჩებაო.

Qui terre a, guerre a.

- ვისაც მიწა აქვს, მას ომიცა აქვს.
§ ქვაცა აქვს და კაკალიცა, თავში შემოსა კრავიცა.
ქვაც შინა აქვს, ქადაცაო.

სახლი მაქვს—კარი მიბია, ძალი მყავს—კული მიბიაო.
ბერი ფული, ბერი დარდო.

Qui tout convoite tout perd.

— ვისაც ბერი უნდა, ის ყველაფერს კარგავს .
§ ბერის მდომმა ცოტაც დაკარგაო.
მეტისმეტის მაძიებელი მოკვდა გაუხარებელიო.
ბერის მომდებს ცოტაც დაეკარგებაო .
ბერის მკამელმა ცოტაც ველარ ქამაო .
ბერის მკამელს ცოტას მკამელმა აჯო ბაო.

Qui trébuche et ne tombe point avance son chemin.

— ვინც ფეხს წაიკრავს და არ ეცემა, ის გზას აგრძელებს.
§ შეცდომა ანგარიშში არ ჩაითვლებაო.

Qui trop embrasse, mal étreint t.

— ვინც ბერს მოედება, ბერი არაფერი შერჩება.
§ ბერის მდომმა ცოტაც დაკარგაო.
ბერის მომდებს ცოტაც დაეკარგებაო.
მეტისმეტის მაძიებელი მოკვდა გაუხარებელიო.
უვანად დიდთა მძებნელთა პატარაც დაეკარგებაო.

Qui trop se hâte, reste en chemin.

— ვინც ძალიან ჩქარობს, ის გზაზე დარჩება .
§ მოჩქარეს მოუგვიანდესო.
ძალმა სიჩქარით ბრმა ლეკვები დაყარაო .
ვინც მალე ქრის, ის დიდხანს ნანობსო .
ვინც აჩქარებულა, უნანიაო .
აჩქარებულის დედა ტიროდა, დინჯისა იცინოდაო.

Qui va à noce sans prier s'en revient sans diner.

— ვინც დაუპატიებლად მოდის, ის მშირი მიდის.
§ დაუპატიებელ სტუმარს აბუჩი ჰქვიაო.
დაუპატიებელ სტუმარს აბუჩად აივღებენო.
დაუპატიებელი სტუმარი მტერზე უარესიაო.

Qui va doucement, va loin.

Qui va piano, va sano.

— ვინც ნელა მიდის, ის შორს წავა.
§ შორი გზა მოიარე, შინ მშვილობით მიდიო.

Qui veut bien juger doit deux parties écouter.

— ვისაც სამართლიანი განაჩენის გამოტანა სურს ორივე მხარეს უნდა მოუსმინოს .
§ ცალ-ცალკე მომჩივანი ბატონს მართალი ეგონაო .
ცუდია ის მოსამართლე, რომელიც ერთ მხარეს უსმენსო.

Qui veut la fin, veut les moyens.

- თუ გინდა შედეგი მიიღო, მისი მისაღწევი საშუალებაც უნდა გინდოდეს.
§ მიზანი საშუალებებს აპართლებსო.
ვისაც თვეზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო.
ორაგული თუ გინდა, ტანიც სველი გინდოდესო.
წყალში დაუსველებლად თვეზი არ დაიჭირებაო.
ვისაც მტკნარი წყალი უნდა, წყაროზე უნდა წაიდესო.

Qui veut la paix, se prépare à la guerre.

- ვისაც მშვილობა უნდა, ომისათვის უნდა მოემზადოს.
§ მეფეს მშვილობა უნდოდა და ჯარს წვრთნიდაო

Qui veut l'oeuf, doit supporter la poule.

- ვისაც კვერცხი უყვარს, მას ქათამიც უნდა უყვარდეს.
§ ვისაც კვერცხი უყვარს, ქათამის კაკანიც უნდა აიტანოსო.
ვისაც თვეზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო.
თუ ლხინი გვინდა ამქვეყნად, ქირიცა შევიწყნაროთა.

Qui veut noyer son chien, l'accuse de rage.

- ვისაც თავისი ძაღლის დახრჩობა უნდა, ცოფიანობას დააბრალებს.
§ თუ კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაეღუევაო.
კაცს თუ კაცი სძულს, მისი ლაპარაკი რახარუხია და ჭამა—ჭლაპა-ჭლუპიო.
ვინც არ გიყვარს, მისი სიარული ბრაგა-ბრუგია. და ჭამა—ხრაშა-ხრეშო.
მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

Qui veut plaire à la mère doit caresser l'enfant.

- ვისაც სურს დედას მოაწონოს თავი, მის შვილს უნდა მოუაღეროსო.
§ მე თუ გიყვარვარ, ჩემი ძაღლიც უნდა გიყვარდესო.

Qui veut trop prouver, ne prouve rien.

- ვისაც ბევრის დამტკიცება სურს, ის ვერაფერს დაამტკიცებს.
§ ბევრის მოლაპარაკეს არც ერთი არ დაეჭვრებაო.
როცა სიტყვა ხშირდება, მაშინ საქმე მცირდებაო.

Qui veut tenir nette sa maison n'y mette femme, prêtre ni pigeon.

- თუ გინდა სახლში წესრიგი გქონდეთ, არ შემოუშვათ ქალი, მღვდელი და მტრედი.

Qui vit en espérance danse sans tambourin.

- ოცნებით ცხოვრება იგივეა, რომ მუსიკის გარეშე იცეკვო.

Qui vit sans compte, vit à honte.

- ვინც სახსრების მიხედვით არ ცხოვრობს, სირცხვილს ჭამს.
§ საბანი როგორც გაგწედეს, ფეხიც ისე გაშალეო.
ფეხს საბნისდაგვარ გაშლა უნდაო.
დუქანში შედი ჯიბის-და კვალადო, წაწეე საბნის-და კვალადო.

Qui vivra, verra.

— ვინც იცხოვრებს, ის მოესწრება.

§ ვნახოთ. რა იქნებაო!

აღდგომა და ხვალეო.

ვნახოთ რა მოხდებაო!

Qui vole un oeuf, vole un boeuf.

— ვინც კევრცხს მოიპარავს, ის ხარსაც მოიპარავს.

§ აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო.

ნემსის ქურდობას აქლემის ქურდობა სჯობიაო.

R

Réchauffer un serpent dans son sein.

— დაუნდობელ ადამიანს სიკეთე არ უნდა გაუკეთო.

§ ამა რა ქნა ავის მეტიო.

ავისა კარგიც ნუ გინდაო.

თვალი რამ გამოგთხარაო და—ჩემმა სიკეთემაო.

კარგისთვის კარგი არავის უქნიაო.

გლახისა კარგი ნუ გინდა, ნურც მისი გამოსარჩენიო.

Regarder qui a le plus beau nez.

— ცუდმადობა, უსაქმოდ ხეტიალი.

Rejeter la faute sur un autre.

— დანაშაულის სხვისთვის გადაბრალება.

§ ბატონი ცხენზე ვერ შეჯდა, მეჭინიბეს უწყურებოდაო.

პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა, ბაკი მრუდელაო.

კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო.

კაცი ვერ შესწვდა ცხენსაო, უნაგირს მისდგა ტეხსაო.

საქმეს წაახდენ ნს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსო.

Rejeter le moucheron et avaler le chameau.

— ყურადღების მიქცევა წერილმანებისათვის და არა მთავარისათვის.

§ რიყეზე ქვას ვერ ხედავსო.

თუ კაცსა არა სწადია, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო.

Rendez à Cesar ce qui appartient à Cesar, et à Dieu ce qui appartient à Dieu.

— მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა.

Rendre à quelq'un la monnaie de sa pièce.

— იმავე გზით სამაგიეროს გადახდა, იმავეთი გადახდა.

§ თვალი თვალისა წილ.

თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ.

Repos est demi-vie.

— უსაქმურობა ნახევარი სიცოცხლეა.

§ ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო.

Riche habit fait fol honorer.

— მდიდრული ტანისამოსი სულელის პატივისცემას იმსახურებს.

Riche marchand, pauvre poulailier.

— მდიდარმა ვაჭარმა ღარიბულად ცხოვრებაც უნდა იცოდეს.

Rien de plus éloquent que l'argent comptant.

§ ფული პატარა ღმერთიაო.

ფული ამოდებული ხმალიაო.

Rien de trop.

— გადაჭარბებული არაფერი ვარგა.

§ მეტისმეტიო, თავში რეტიო.

მეტი სიტყვა თავს აგატკენს, მეტი კაშა კუქსაო.

Rien ne sèche plus vite qu'une larme.

— ცრემლზე უფრო მალე არაფერი შრება.

Rien ne vieillit plus vite qu'un bienfait.

— არაფერი ისე სწრაფად არ ძველდება, როგორც სიკეთე.

§ თვალი რომ გამოგთხარაო და—ჩემმა სიკეთემაო.

ვინც განეკურნე, მან დამკოდაო.

აუადმყოფი რომ მორჩა ექიმი შეჯავრდაო.

ჩუმი პურ-ღვინით მაძლარი, ცას შეეე მანგრეეს თავზედაო.

Rira bien qui rira le dernier.

— კარგად ის გაიცინებს, ვინც ბოლოს გაიცინებს.

Rouler sur l'or et sur l'argent (marcher sur l'or et sur l'argent).

— ოქროში ცურავს.

§ ფული ჩეჩქივით აქვსო.

S

Sac plein dresse l'oreille.

— ფულით სავსე ტომარა თვალს დაავაყვეტიწებს.

§ ბევრი ფული ბევრი დარდიო.

Sac vide ne se tient debout.

— ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგებაო.

Sage est le juge qui bien écoute et tard juge.

— ჭკვიანია ის მოსამართლე, რომელიც კარგად მოუჴმენს და შ.მდეგ განსჯის.

§ ვინც მალე ჴრის, ის დიდხანს ნანობსო.

ვინც აჩქარებულა, უნანაო.

ათჯერ გაზომე და ერთხელ ვასჯერიო.

შეიძჯერ თვალი გადააკლე, ერთხელ ხმალი გადააკლეო.

აჩქარებულის ღედა ტიროდა, ღინჯისა—იცინოდაო.

Sagesse vaud mieux que force.

— ძალას კჳუა სჯობია.

§ ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი შოიგონებსაო.

Sans danger on ne vient jamais au-dessus du danger.

— განსაცდელის გარეშე განსაცდელიდან გამარჯვებული ვერასოდეს გამოხვალ.

§ გმირი ბრძოლაში იბადებაო.

ვაჟაკისა სიკვდილსაც ეშინაო.

Santé passe richesse.

— ჯანმრთელობა სიმდიდრეს სჯობია.

§ ჯანმრთელობის გარეშე სიმდიდრე არაფერიაო.

Sa parole vaut un écrit (vaut l'or).

— მისი სიტყვა სარწმუნოა.

Savoir où git le lièvre.

— კურდღლის ბუნავის ცოდნა.

§ აი, სად ყოფილა ძალის თავი დამარხულიო.

Savoir quelque chose sur le bout du doigt.

— რაიმეს კარგად ცოდნა.

§ ხუთი თითივით იცისო.

Secret de deux, secret de Dieu; secret de trois, secret de tous.

— ორთა შორის საიდუმლოება ღმერთის საიდუმლოებაა, სამთა საიდუმლოება— ყველას საიდუმლოებაა.

§ ორმა თუ იცის, ღორმაც იცისო.

ღლით : ორმა იცის, შუადღისას — ორმა, საღამოს — ღორმაო.

საიდუმლო ორშიაო, თუ მესამე მიემატა—საიდუმლო ერთშიაო.

ორმა იციან—თვით იციანო, სამმა იციან—თემთ იციანო.

Se jeter à l'eau de peur de la pluie.

— წვიმის შიშით წყალში შევარდნა.

§ ცეცხლიდან გაქცეული წყალში დაიხრჩოო.

ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო.

ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაახრჩოო.

Se jeter dans le feu pour éviter la fumée.

— ცეცხლში შევარდნა ბოლის თავიდან აცილების მიზნით.

§ ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო.

ცეცხლიდან გაქცეული წყალში დაიხრჩოო.

ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაახრჩოო.

Se jeter (se mettre) dans l'eau de peur de la pluie.

— წვიმისაგან თავის დასაცავად, წყალში ჩაევარდნა.

§ ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო.

Se faire d'évêque meunier.

- ეპისკოპოსიდან მეწისქვილედ გადაქცევა.
- § რაცა ვკამე ძველად, ჩამაშხამეს ხელათაო.

Selon la jambe le coup.

- როგორც მოქნევა, დარტყმაც ისეთია.
- § როგორც ალხანა, ისეთი ჩალხანაო.
- როგორც არის ქარხანაო, ისეთი ხარ, თარხანაო.
- რაც ტურა, ისე მელაო.
- როგორც ბერიო, ისეთი ვრიო.
- შეხედე ერსაო, მერე ბერსაო.

Selon l'argent, la besogne.

- როგორც გასამრჩელოა, ნამუშევარიც ისეთია.
- § რასაც ხელზე დამისხამო, წვერზეც ემს წაგისვამო.
- რა დამისხი ხელზედაო, რა წაგისვა წვერზედაო.

Selon le vent, la voile.

- აფრა ქარის მიხედვით უნდა გაიშალოს.
- § კამა დებასა კილიაო.
- კამა-სმა ქონებამ იცისო.
- ხილი წყლის ზომა უნდა იყოსო.
- კამა ქონებაზე კილიაო.

Selon les gens l'encens.

- როგორც ხალხია, პირფერობაც ისეთი უნდა.
- § მოყვარეს მოყვრული უნდა, მტერს—მტრულიო.
- მგელს მგლურად დაუხვდი, მელას—მელურადაო.
- ბატონს ბატონურად მოეპყარ, ყმას—ყმურადო.

Selon L'occasion quelque fois honnête homme, quelque fois fripon.

- შემთხვევის მიხედვით მოქმედება, ხან პატიოსანი კაცივით, ხანაც გაიძვრა-სავით.
- § ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.
- ასე, ჩემო თანასეო, შენ ეგრე და მე ასეო.

Selon ta bourse gouverne ta bouche.

- ქისის მიხედვით ილაპარაკე.
- § ფეხი იქამდის გაკვიმე, სადამდისაც საბანი გავწვდესო.
- ფეხს საბნისდაგვარად ვაშლა უნდაო.
- დუქანში შედი ჭიბის—და კვალადო, წაწე საბნის—და კვალადო.

Semer des fleurs au bord du précipice.

- საშიშროების დამალვის ცდა.
- § მოთაფლეა.

Se noyer dans un (dans son) crachat.

— ერთ კოვზ წყალში დახრჩობა.

§ პატარა სიძნელეების წინაშე ფარ-ხმლის დაყრა.

Se noyer dans un verre d'eau.

— ერთი ჭიქა წყალში დახრჩობა.

§ კაცი ზღვას გადაურჩა და ცეარმა დაახრჩოო.

ზღვას ემალებოდა და ცეარმა დაახრჩოო.

ზღვამ არ დაახრჩო კაცი და წვეთმა დაახრჩოო.

S'entendre a qch (s'y entendre) comme à faire un coffre (comme à ramer des choux).

— არაფერი არ გაეგება.

§ ვირმა რა იცის ხურმა რა ხილიაო.

S'entendre comme larrons en foire.

